

652
1969/2



සිංහල සාහෝතික ප්‍රතිච්චිත ප්‍රකාශන



1969 3



ଲୋକଚିନ୍ତାବିହାର

ଶ୍ରୀମତୀ
1969

୦୩୬୦୨ - ୦୮୮୮୮୯୮୫୮୮

୧୯୬୯

ଲୋକଚିନ୍ତାବିହାର-ମିଶନଫ୍ରଣ୍ଡ୍‌ଗାନ୍ଧି-
ଶାକତଙ୍ଗାଦାନ୍‌ପରିସଂଗ୍ରହ-ପତଲାବିହାର-ଏଣ୍ଟରନ୍ସଲ୍-
ସାହାରତପାଇଲାସ ମହାଲାଲାତା କାମଶିଳୀର
ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଲାସ ମହାଲାଲାତା କାମଶିଳୀର

რედაქტორი

ა. შონია

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი,

მ. ვარშანიძე (პ/მგ მდიგანი),

პ. ლორია

ალ. ჩავლეიშვილი

ფრ. ხალვაში

გიორგი სალექვაცია

ლენინი ბათუმის მთაზე

ნეონის შუქით ანათებს იგი,
მარად უქრობელ შუქად ქცაული.
შემოგარვია ხეები ირგვლივ,
დასცქერის ქალაქს ცადაწეული:
შუქი გადარბის ბათუმის ცაზე,
პორიზონტამდე ზღვის ტალღებს მიაქვს
და მეზღვაურებს მხნეობით ავსებს
შუქი, რომელსაც ლენინი ჰქვია.
სადაც არ წავლენ, რომელ განედზეც,
ლენინი ყველგან სინათლედ ახლავთ.
გემი შტორმებმა ველარ დალეწეს
და ახლა მედგრად მიარღვევს ტალღას.
რომ ყველა ქვეყნის ადამიანებს
ლენინის შუქმა აუნთოს გული.
გემზე ლენინის დროშა ფრიალებს
და დედამიწას მზესავით უვლის.

ჩ ა მ ი მ ი ს ა

შომივლია ჩემი მიწა — ცხრაჭერ ვიყავ ცხრა მთაში,
ვაგინია სიცხეში და ქარბუქიან ზამთარში.
ნაღვერდლები არ ჩამქრალა ჩემი კერის ლადარში.
შენ, კვამლივით ლურჯო ვაზო, ათას გრიგალს გადარჩი,
შენს ქართველურ საგალობელს ვგალობ სხალთის
ტაძარში
და ადგილის უკვდავ დედას თავს ჩავუდებ კალთაში.

საწნახელო, ძველთაძველო,
ქვაში გამოკვეთილო,
მასვი შენი სადღეგრძელო,
მასპინძელო ჩეთილო!
ჰეი, დროო ავდრიანო,
კაი, რომ არ დაგცალდა.
ძველო ქვევრო მადლიანო,
დამარტულო ტაძართან.
შენს ძველ ღვინოს ვეწაფები,
ცეცხლისფერად შენაფერს,
დრომ ვერ გიყო ვერაფერი,
ვერც დაგაკლებს ვერაფერს!
სხილთის ახლოს ვენახს გავსხლავ —
ვაზი აყვავილდება.
გამოისხამს ვაზი ვარსკვლავს
მტევნად დაეკიდება.

მომივლია ჩემი მიწა — ცხრაჯერ ვიყავ ცხრა მთაში.
გაგანია სიცხეში და ქარბუქიან ზამთარში.
ნაღვერდალი არ ჩამქრალა ჩემი კერის ლადარში!
შენ, ტაძარი სხალთისაო, გამოგარჩევ ათასში
და ადგილის უკვდავ დედას თავს ჩავუდებ კალთაში...

გ უ რ ი ე ლ ი ძ ი ს ძ ა ლ ო!

თუ დღემდე ბედი მწყალობს,
თუკი არ ვგავარ უბირს,
შენ, სათნოების წყაროვ.
შენ ერთს გიმადლი ბრძენ,
გურიელიძის ქალო.
პუპი!
და თუ კაცობას ვჩემობ,
უხვი თუ მიდგას კალო,
შენით, მოწყალევ ჩემო,
გურიელიძის ქალო!
მგონია ახლაც ტყეში
ეძებ ასნაირ წამალს...
და ავგაროზი შენი
ცხოვრების გზაზე დაბაქვს.

დამაქვს სიკეთე შენი,
რომელიც ჰყოფნის ყველას,
რომ აშორის სენი,
რომ მიუტანოს შველი.
რაც კი რამ არის კარგი
და იპოვება ძნელად:
ფერი, სიტყვა და ჰანგი
შენ მისაჩუქრე ყველა.
შენთვის სულ ვიყავ ბავშვი
და როცა ხეხილს ჰქონდი,
ლოყაშითელა ვაშლებს
შეინახავდი ჩემთვის.
ჩემთვის აცხობდი კვერსაც
და ცალკე ღვინო გედგა

და ერთფუთიან ქვევრსაც
 ჩემი სახელი ერქვა.
 გულმა საამოდ დარტკა,
 როცა მეწვიე ბარში,
 აღარ ვიცოდი, რა მექნა —
 მხოლოდ ერთი დღე დარჩი.
 მთას მიაშურე ხელახლა
 წყაროს მაღლასა და მზის ძალს —
 არ დაგაყენა ვენახმა
 და ორთქლილმა მიწამ.
 ყელზე მომხვიე ხელები,
 შიგაცილებდი როცა


 და დამრჩა შენი ცრემლები
 შენი შხურვალე ლოცვართვები
 და რომ კაცობას ვჩეშმაბ,
 ისეთი განძი რა მაქვს —
 შენ, დიდო დედავ ჩემო,
 რით გადაგიხდი ამაგს.
 თუ დღემდე ბედი მწყალობს,
 თუკი არ ვგავარ უბირს,
 შენ ერთს გიმადლი ბრძენო,
 შენ, სათნოების წყაროვ,
 გურიელიძის ქალო,
 პუპი!

დ ა ბ ა ბ ვ ი ა ნ დ ა

3. გაგესარისა.

აღარ არსებობს ახლა არც თოვლი,
 აღარც ბათუმის ზღვა და წვიმები...
 შენი ბავშვები ჩემთან რომ მოვლენ,
 კვლავინდებურად არ ვიღიმები.
 მე აქ შენს უბანს ისევ მოვიარ,
 ვუცქერ თოლიებს დახატულს ცარცით,
 გურიის მთები დაუთოვია...
 რად არ მოდიხარ — თოვლში თუ ჩარჩი.
 შავი ზღვის ნაპირს ტალღა მიასკდა,
 სილაზე შენი კვალი არა ჩანს...
 სადა ხარ, ძმაო, დაგაგვიანდა
 და შენს ჭიშკართან ვდგავარ დარაჯად.
 დედაშენის ხმა მესმის ძილის წინ,
 მაფორიაქებს და გულს მიდაღავს:
 „ხომ არ ყოფილხარ, შვილო, თბილისში,
 ჩემი ვიქტორი ხომ არ გინახავს?“
 აღარ არსებობს ახლა არც თოვლი,
 აღარც წვიმები და აღარც ის ზღვა...
 შემხვდება დედა თვალებსოველი,
 შემაჩერებს და ვერაფერს მკითხავს...

მიწა...

რომელიც პირველად ვნახე,
ტოტი...

პირველად ხელი რომ ვახე,
მზე...

რომელის ხილვა ასე ტკბილია,
ჩრდილი...

რომელიც ასე გრილია,
მოლი...

რომელიც ცვარდაყრილია,
ზეცა...

რომელიც პირველად ვნახე,
შარა...

რომელსაც პირველად გავყე,
გზები...

რომლებზეც დღემდე მივლია,
ჩემი ქუსლით რომ გათელილია —
თითქოს ყოველი მქროლი ჩრდილია,

თითქოს ყოველი ძილ-ღვიძილია...

და დღე, რომელსაც დღემდე ვნატრობდი,
და დღე, რომლითაც ასე ვხარობდი,
დღე — მიილია...

ნ უ ჭ ა მ ი ბ რ ა ლ ე ბ

შენი ჭირიმე, იყოს, რაც არის,

შენ ნუ გაღელვებს, რასაც განვიცდი.

თორემ ვიფიქრებ, რომ ვარ ლაჩარი,

რომ ვარ ნამდვილად შესაბრალისი.

ნუ შემიბრალებ, შენი ჭირიმე,

ნუ მეფერები, ნუ დამამშვიდებ —

განსაცდელს თვითონ შევეჭიდები.

ნუ გეშინია, ვალს არ დავიდებ.

ისევ მომხიბლავს მიწის ფერები,

კვლავინდებურად მხარს ისევ გავშლი.

მაშინ მე თვითონ მოგეფერები

და გამილიმებ შენ, როგორც ბავშვი.



ორილონ ხალვაში

ბ ი ძ ა შ ვ ი ღ ი ღ ი

მე შენ არასოდეს მენახე, მაგრამ ძალიან მენატრებოდი.

ეს ნატვრა ჩემში ჯერ სადღაც ჩამალული, გაურკვეველი და ნელი იყო, მაგრამ იგი გამაფრდა, როცა შენი ჩამოსვლის ამბავი გავიგვ. შენ სიცოცხლეში პირველად ჩამოდიოდი შენიანებთან, აქ, მშობლიურ მიწაზე და, როცა შენზე ვუიქრობდი, მინდოდა ამ შეხვედრის მღელვარებით შეპყრობილი წარმომედგინე.

უცხოეთიდან მოდიოდი. იქ მარხია მამაშენი, — ბიძა ჩემი, რომელიც ბავშვობაში ბედუქულმართ მუჰაჭირთა ჭგუფს აჲყვა და შორს გაიხიზნა სამშობლოდან.

ასე უბრალოდ აქაურ ბიძაშვილსაც არ შევხვედრივარ: შენ პირდაპირ ჩემს კარებს მოადექი, მოულოდნელად დამიკაკუნე და როცა გამოგხედე, შენ შეშფოთებული ცისფერი თვალები მომაშტერე.

უქუდო იყავი. ოდნავ ქერა ქოჩირი მსუბუქი ნაოჭებით გადახაზულ შუბლს და ახალგაზრდა ენერგიულ სახეს უხდებოდა.

ჯერ გაიღიმე, რაღაც უცნაურად, გაუბედავად და ბავშვურად გაიღი-
მე, მაგრამ დახრილ წარბებქვეშ, თვალის უპეებში და დამუწულ ტუჩებზე სულის სიღრმიდან გადმოპარული ნაღველი მაინც ვერ დამალე.

— შენ ხარ? — გვითხე მე.

— ჰო, მე ვარ. — მითხარი უმალ და ერთმანეთს გადავეხვიეთ.

მეტი ვერაფერი დავიმახსოვრე იმ შეხვედრის წუთებიდან, მაგრამ ოდნავ გულდამშვიდებულნი და ოდნავ ერთმანეთს შეჩვეულნი რომ ოთა-
ხში დავსხედით, მე შენს გარეგნობაში ჩვენი ნათესაობის რალაცნარი მსგავსების ნიშნების ძებნა დავიწყე.

ალბათ შენც ეს გაწუხებდა, გულმოდგინედ რომ მათვალიერებდი.

ყველანი შავგვრმანები ვართ, ეს კი თითქმის ქერა და ცისფერთვა-
ლებაა, ვფიქრობდი და, მგონი, ოდნავ უქმაყოფილოც ვიყავი ამით.

მაგრამ სიარული? არ ვიცი, ამ ოთხ-ხუთ ნაბიჯშიც კი ვიცანი მამაჩე-
მის, ჩემი ძმის, ერთი სიტყვით, ჩვენი საკუთარი ჩვეული მანერა მიმოხვ-
რისა.

ხმა? ხმაც ჩვენი იყო, ძალიან ახლობელი, ნაცნობი და შეჩვენდოდა. შენი ხმა რომ თვალდახუჭულს გამეგონა, უთუოდ ვიტყოდი, რომელიც უკრაინულ შინაურთაგანია-მეთქი.

სუნი? ნუ გაიკირვებ. დიახ, — სუნი. თვით სიცოცხლესაც აქვს თავისი სუნი. იგი სხვადასხვაგარია, მაგრამ სიცოცხლეს თავისი საოცარი სუნი მაინც აქვს. ალბათ, ბრძები სუნით ცნობენ ერთმანეთს. შენც დაკვირვებისარ ალბათ, შენიანისა და უცხო ვინმეს სუნი რომ განსხვავებულია. არის სუნი მშობლიური, შინაური, შენთვის ახლობელი და ბევრისმოქმედი. არის უცხობის, სიშორის სუნი.

როცა გეხვეოდი, სუნი მეცნო. ყელს, ლოყას, თმას ის სუნი ჰქონდა, რაც ყოველთვის მცემს, როცა ძმას ან შვილებს ვეხვევი.

* * *

— იმ სოფელში მარტო ჩვენებურები ვცხოვრობთ. — მიყვებოდი შენ. — იზნიქის ვილაუთში ვართ. ის ალაგები თლათ აქაურ ზეგნებს გავს.

შენ მიყვებოდი... მე კი უფრო გაკირდებოდი, ვიდრე გისმენდი.

ზოგჯერ დიდი სიხარულის და კმაყოფილების გამოხატვისას თვალშეცრებლი აგირიაფდებოდა. ჩუმდებოდი, თავს ჩაღუნვდი. არჩევდი, ეძებდი სათქმელს, თითქოს რაღაცას ტოვებდი, გვერდს უვლიდი, ერიდებოდი და სხვა დროისათვის ინახავდი. აი, მაშინ უნებურად დავბაბე ყურადღება. შენ შემნიშნე, მაგრამ ვიგრძენი, გვისამოვნა ასეთი რამ ჩემში რომ აღმოაჩინე.

ჩემი ბიჭი გადაგეხვია. შენ გაიოცე. „როგორ, აქ შვილები თქვენთან ოჯაში არაია? ჩვენ ვიცოდით, რომ აქ ბავშვი როგორც კი დაიბადება, კომუნისტებს მიჰყავთ და კომუნა-ბაგებში ზრდიან“.

არა, შენ არ გეგონა, თუ ჩვენ ოჯახები გვქონდა, ჩვენი საკუთარი რამ თუ გავგაჩნდა. აქ კი მოხერხდა ისე, რომ ჩვენ შევძელით მყუდროდ, შინაურულად გვესაუბრა არცოუ ისე ღარიბულ სუფრასთან.

შენ ალბათ უკეთესად იცოდი მამაშენის ამბავი, მაგრამ მე საჭიროდ მივიჩნიო მეამბო შენთვის მამაჩემის მიერ მონაყოლი.

ყანიდან რომ დალლილი დაბრუნდებოდა ბერივაცი და შინ ჯერ კი-დევ ყველანი არ შეკრებილიყვნენ, მე დამიძახებდა, წინ დამიჯენდა, თავად გაგრილებულ კერას მიადებდა თავს და ხმადაბლა, დიდი ბზის ჩიბურის ბოლში ვახვეული, გაჭალარავებული მსხვილი წარბების ქვეშ სველი თვალების მალვით, დინჯად, გატაცებით მომიყვებოდა ძველ, შორეულ ამბებს.

— კაი ბიჭი იზრდებოდა... — დაიწყებდა დამწუხერებულად მამაჩემი შენს მამაზე თხრობას. — მედრესეში მიიყვანეს ექვსი წლისა და ხოჯას მიაბარეს. ათი წლის იყო, როცა არაბული დერსები ზეპირად იცოდა. ხო-

კა ამბობდა კარგი ხმა აქვს, დიდი ნაკითხი მუეზინი გამოვაო. მაგრა ეზანს დასძახებს, მთელი ქვეყანა გარეთ გამოვა მის მოსასმენაფო, ის ტანი ნი იყო, რუსი რომ ჩოლოქზე გადმოვიდა, აქეთ კი ახისხას მოწყვეტილი ციხეს თურქები ახისხას ეძახდნენ). მაშინ იყო, რომ მოუჩინჩევილდა ჩვენს მიწაზე ფეხი თურქს, მარა მთლად მაინც ადგილიდან ჭერ არ დაძრულიყო.

მარა მოშლით კი მეიშალა. წაუხდა საქმე, შეატყო და ხალხში დიდი შიში დათესა: გიაური მოდის, ყველას ამოგველეტავს და გადაგვწვავს. ეუბნებოდა თურქი ყველა ჩვენიანს. ვინც დარჩებით, აგვევეტავს და შორს ციმბირში გადაგვყრისო. პირველად იმათ ამოკლიტავს, ვინაც მუსლიმანობას ეზიარა და ცოტა ნუსხაფის კითხვა შეუძლია.

შეშინდა ბაბაი, — მიყვებოდა მამაჩემი კერაზე თავმიდებული. მისი ბაბაი შენი და ჩემი ბაბუა იყო. ისე არაა? — ძალიან შეშინდა ბაბაი. თქვა: შვილს რა ვუყო, თვარა მე თუ გინდა დამჩეხონ, აქედან ვერსად წავალ. ესაა ჩემი სიცოცხლის ბუდე, ჩემი სიბერის ვათანიც აქ იქნება. მოვკვდები, აქ ჩავწვები, მიწას ესიამოვნება, მისიანმა რომ არ მივატოვე და მასვე ჩავეხვივ სამუდამოდ.

ცრემლი მომაწვა და ჩემი ნაკითხი მმა ტყისკენ წავიყვანე ბილიკით. ხევში წყალთან ჩამოვჭექით. ხევს ვამბობ, თვარა იქიდან ცალი მხარე სოფლისა სულ კარგად მოჩანდა. დაღმართ გზაზე ხალხი შევნიშნეთ: ზურგზე ტვირთით ეშვებოდნენ დაბლა. ერთ სახლს ცეცხლი ეკიდებოდა გაღმა უბანში, მაგრამ არავინ აქრობდა, არც არავინ შველას ითხოვდა. გიაურს არ დარჩესო, პატრონმა წაუკიდა ალბათ ცეცხლი საყუთარ სახლს.

— სად მიდიან?! — იყვირა ვინცხამ.

— მუჰაკირად! — უპასუხა ვინცხამ.

ჩემს ნაკითხ ძმას ალი ერქვა სახელად. ისე ნალვლიანი წინათ არც ერთქერ არ მენახა ალი, როგორც იმ დღეს, ხევში რომ ვიჯექით და მუჰაკირობაში მიმავალ ხალხს ვუცემეროდით.

— მოდი ერთი კიდევ ვიმღეროთ და რაც იქნება იქნეს. — მითხრა ალიმ. რა იყო სასიმღერო, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი ძმას. ისე თავიდან შეჩვეულები ვიყავით. შინ ბაბასი გვრცხვენოდა. იმ ხევში გავიპარებოდით და იქ დავახებდით რომელიმე სიმღერას. ალის მართლაც ისეთი ხმა ჰქონდა. როცა დასჭექდა, მეგონა ცამ იქუხა-მეთქი. ავყვებოდი როგორმე, მაგრამ იგი ყურს აღარ მიგდებდა, მისი შძლავრი ხმა უმალევ გადალეჭავდა ჩემს სუსტ ხმას და თავისივე მოგუგუნე სიმღერის ექს აყოლილი ბიჭი, თოთქოს წყალდიდობის ტალღამ გაიტაცაო, ისე მიისწრაფოდა სადღაც, ისე გაჰყურებდა მწვანე ქედებს, მეგონა, ჩემს გვერდით აღარ იყო.

ხოჯა საეზნო ხმას აფასებდა მასში. მაგრამ გეკითხა ერთი ჩემთვის, გეკითხა ერთი იმ ხევისთვის, ალის ხმით რომ პირამდე ივსებოდა და მისი

ექოთი რომ კინაღამ შუა იბზარებოდა, გეკითხა ერთი იმ ფოთლებისათვის, ალის ხმაზე რომ აკანკალდებოდნენ, გეკითხა და ჩვენ უფრო უფრო თესად გიპასუხებდით, თუ რა იყო ალის ხმა, რით აგვავსებდა ლიმიშება ვატკბოძლა, რით მოგვარჩენდა იგი.

სოფლის მთავარი გზა ჩვენს ეზოს ჩაუდიოდა გვერდით და შინ რომ დავბრუნდით, აყრილი მეზობლები ბარგიანად, ქალ-ბაღნიანად იქ დაგვიხვდნენ. ბაბაი ჩამდგარიყო მათ შუა და ეხვეწებოდა, შინ დაბრუნდით, ნუ შეიშალეთო, მაგრამ ყურს თითქმის არავინ უგდებდა, პირიქით, მოუწოდებდნენ თვითონაც ჭკუა ეხმარა და თან გაპყოლოდა წმიდა სამუსლიმანოსკენ, სადაც მადლიანად, მოსვენებით, უხვად და მშვიდად იცხოვრებდა. მაგრამ ბაბამ თავისი უარი დიდ ქვალოდად დასდო ეზოს ჭიშკართან.

იმ დღეებში ბევრი აიყარა თავისი სახლკარიდან, ხოჯამ კი, მახსოვე, ჩვენთან სიარულს მოუცმირა რატომდაც. ბაბას გამუდმებით ცალკე ეჩურებულებოდა რაღაცაზე და სულ ჩემი დიდხმიანი ნაკითხი ძმისაკენ იმზირებოდა.

ბაბაი თანდათან უტყვი, ჩაფიქრებული და, მგონია, ოდნავ რაღაცით შეშინებულიც შეიქმნა.

ერთ დილით გავიღვიძე და სექვზე დაგებული ალის ლოგინი ცარიელი დავინახე. თითქოს ყველაფერს მივხვდი, წამოვარდი, დედაჩემის და-საძახებლად სამზარეულოში შევვარდი, მაგრამ იქ, ა ასე კერაზე თავმიდებული ბაბაი დამხვდა. მწუხარედ გამომხედა, ცრემლების დამალვა ვეღარ მოასწრო და საწყალმა ვეღარც ხმა დასძრა.

გიაურებით ისე დაეშინებიათ, რომ შვილი ოლონდ ცოცხალი გადარჩესო, მუჰაჯირებისათვის გაეტანებინა. დედაჩემიც თან გაპყოლოდა ალის. ბაბაი კი იჯდა თავის კერაზე თავმიდებული და ელოდა გიაურების მოსვლას, ე. ი. — სიკვდილს.

დედაჩემის წასვლამ მთლად თავზარი დამცა.

ბაბაი მამშვიდებდა, ნუ გეშინიაო, ელბეთ მომავალ გაზაფხულზე ჭვეყანა დაეწყობა და ეგენიც დაბრუნდებიანო. ასე ეგონა დედაჩემსაც. შეილი მარტო სხვას ვერ გაატანა და თვითონ წაყვა იმის იმედით, რომ წელიწადში მობრუნდებოდა. მარა რა ვიცოდი, რომ იმ დღეს სამუდამოდ დავკარგე დესა და ძმაც.

* * *

ასე მოგიყევი მამის ნამზობი ძველი ამბავი. ეს ვიცოდი მამაშენზე უცხოეთიდან ჩამოსულო ჩემო ბიძაშვილო. შემდეგ რაღა მოხდა, ეს შენ თავად უკეთესად იცოდი. მოსმენა არ მინდოდა, მეც ვიცოდი ყველაფერი.

ჩვენ სხვა რამ გვაღელვებს დღეს: შენ იქა ხარ, მე — აქ.
ახლა ჩვენ არც დრო გვაქვი, და არც სურვილი იმისი, რომ დამზადებული
ები ვეძებოთ და ისინი გავასამართლოთ.

ბედისწერამ დედამიწაზე ისე დაგვალაგა მე და შენ, რომ ორივეს
ერთმანეთისაგან განსხვავებული სამშობლოები შეგვრჩა.

— შინ ჩვენ სუკველია ჩვენებურად ვლაპარაკობთ, — მითხარი შენ.
— შინაც და სოფელშიაც, — დაუმატე და თითქოს ამით მანუგეშე.

ჰო, ამასაც არ ველოდი. ეს მართლა დიდებული ნუგეშია, ძმაო, მაგრამ
აქ დააკვირდი? — ქუჩაშიც ჭართულია, გზებზეც, რადიოშიც, დიდ მეჭ-
ლისებზეც, წიგნშიც.

ბიძაშვილობა ახლა ჩვენთვის თითქოს პატარა რამ არის. ჩვენ უფრო
დიდი ნათესაობა გვქონია — ენა, ჭართველობა.

მაგრამ თუ ენა ჩვენი ეროვნულობის, მშობლიურისა და თვით სამ-
შობლოს გამომხატველია, მაშინ შენი სამშობლო ერთი სოფელი ყოფილა,
ჩემი კი ერთი ქვეყანა. ამიტომ მებრალები, თორებ დღეს ცოცხალი კაცი
მშიერი და ტიტველი არსად არ დარჩება.

ასეთი ფიქრები მიტრიალებდა თავში, შენი ცხოვრების ეპიზოდებს
რომ მაცნობდი. გული მტკიოდა, თანაც სიხარულს ვერ ვმალავდი.

ჩვენ მოვინახულეთ ნათესავები, მამაშენის ნაცნობი ალაგები, მისი
სოფელი, მთელი კუთხე და მე შენი კმაყოფილებით ვკმაყოფილდებოდი.
შენი ბელნიერებით ვბელნიერდებოდი.

— გიყვარდა ვინმე? — გკითხე ერთხელ ღიმილით.

— ქალი? — მკითხე შენ დამორცხვებით და მიმოიხედე ირგვლივ.

— ჰო.

შეგნიშნე რა უეცარი და უცნაური სინათლით აგიფიაფლნენ თვალები.
უფრო მომიახლოვდი, უფრო მომენდე და დიდი რაღაცის სათქმელად მო-
ემზადე.

— იმ ჩეუნი სოფლის ალაგებიც აქაურ ზეგნებს გავს... — დაიწყე
შენ და გამახსენდა, შეხვედრის პირველ დღეს სწორედ აქ რომ გაგაჩერე.
თქმას აპირებდი, მაგრამ ჩემი ყურადღება გინდოდა, მე კი ფიქრით შენგან
შორს წაგსულიყავ.

მერე, ალპათ, მოგერიდა, გადათქვი.

— ჰოდა, მაღლა მთაშია ჩვენი სოფელი... მარა, ჯერ იცი რანა გით-
ხრა? — მამაჩემის სიმღერა არავის გაუგონია. ისე დასტურ კაი ხმა ჰქო-
ნდა. მინარეზე ასლა არ ჭიროდა, ჯამიკარიდან დაძახებულ ეზანს ორ
სოფელს გავამნებდა...

მე მხოლოდ თავი დაგიკარი. თქმით რაღა უნდა მეთქვა.

შენ კი განაგრძე:

— ერთ დღეს, დიდი თხუთმეტი წლის ტროყი ვიყავი მაშინ, ნენეს

შინიდან გავეპარე, გზაბაწარს გავყევი, ჩერ ტყე-ტყე ვიარე, მერა ტიალ-ში გაველი და მთის წვერისკენ შუღექი აღმართს. იქ, იმ მაღალ მინდოდა ასვლა და იქიდან შორს ჩემი მემლექეთის დანახვა. პო, პო, აქა-რობის, ჩემი მემლექეთის, საქართველოს დანახვა მინდოდა იმ მაღალი მთის წუწუმეტა წვერიდან.

ბაბაი რომ იყო ცოცხალი, სულ აქავრობისას იტყოდა. ჩემი შურდა: პაწაი ხარ, გეიზრდები, ქვეყნებში ქარაშოტები ჩადგებიან, ერთიმეორებული იართ, ჩვენებურების ნახვას მოესწრები, ჩვენი მემლექეთის ნახვას ელირსებით.

არ მენახა, მაგრამ სულ აქავრობა მესიზმრებოდა.

იმ დღეს მთის წვერიდან ბევრი ვიყურე აქეთ და მეგონა მართლა დაგინახეთ თქვენ ყველაი. გულში ამფერი რწმენა ჩავიდევი და...

ე, იმ დღეს, მთიდან რომ დაბლა ჩამოვდიოდი, ტყესთან მოსვლამდე. დევნახე, ვინცხა გოგო მარტვაი ცხვარს აბალახებდა. წვივებზე ჭრელი. პაიჭები უხდებოდა, წელზე — ზაფრანისფერი ღაზლის სარტყელი. თავშალი გადაძრობოდა და კისერზე ჰქონდა გადმოფენილი.

ძეშინოდა არ შემეშინებია და ძალიან ფრთხილად ვაბიჯებდი ფეხს მიწაზე, მარა მაინც დამინახა და რავარც შევატყვე, შეშინდა კიდეც.

შევდექ და ვუყურე, შედგა და მიყურა იმანაც.

გამჩენის მადლმა, გავიძებდა და გატყვე: ვიფიქრე, მივვარდები, ხელებს შემოვუჭირებ და გულში ჩავიკრავ-მეთქი. მარა ამას რაფრათ ვიქმნოდი და ვიყავ ისე დამდგარი, ვუყურებდი მონუსხულივით. ისიც მიყურებდა, ხანდისხან თვალებს, დამიფახურებდა მარტო.

აჲა, ამფერი რამე დამემართა. შიმიყვარდა ის გოგო ძალიან. ვიფიქრე: ვინც გინდა ის იყოს, თურქი, ქურთი, არაბი, ბერძენი, სომეხი, სულერთია. მიყვარს ეს გოგო და გათავდა. ის კი იდგა და მარტო თვალებს ლულავდა, ვითომც ააფერიო.

იცი რა გამიარა იმ ერთი წუთით გულში? გიგიკვირდება, მარა მაიცა გითხრა: მთის წვერიდან რომ მემლექეთის დანახვა მინდოდა, ჩემი მემლექეთი რომ ვეძებე თვალით, ელბეთ ეს გოგოა ის ჩემი მემლექეთი-მეთქი. დასტურ ისე ლამაზი, ჭრელი, მოლიმარი, ღართვალებიანი, საყვარელი და მკერდგავსებული წამომედგინა მუდამ ეს ჩვენი საქართველო.

მისკენ წევედი ნელა. ის მიბრუნდა, რაცხა ჩეიზუზუნა, ცხვარს მუხ-მო მეგონა, მარა ფარას დიდი გოძორძლო ძაღლი გამუცალევდა და ცოცხისელა კუდის კორწიალით იმ ჩემს მემლექეთისფერ გოგოს მუახლოვდა.

პაწაი კი შემეშინდა. მარა რაღანა მექნა ამ ტიალში.

დევესე ისევ დირესავით ერთ ალაგის და გავშეშლი. იღბალა, თუ გამიძეტა ამ გოგომ ძაღლის დასაღენკად, რაღა მეშველება-მეთქი.

მარა გადავრჩი: ძაღლი პატრონთან მივდა და მის სიახლოებზე კუწწოს ბულულივით დახოხოლდა.



გოგომ გეიცინა და ხელი გამიქანა, ნუ გეშინიაო.

ქვეყანა ჩემი გახდა ვითამ. ერთი გენგიშაი მევთქვი სულ ჭირობულების
შემთხვევაში თან გავჩნდი.

შევხედე, თლათ ბაღანაც არ იყო, მარა გუბედე თურქულათ. ვინ ხარ, გოგოვ, ძალვან მომეწონე-მეთქი.

აქავრი ტყიების ბაშბაქანის (მთავარი მეთვალყურის) ქალიშვილი ვარო. ჩენ გურჯები ვართო, დუმატა ნათქვამს და სიხარულმა სულ ტან-ში დამჭინჭრა.

მეც გურჯი ვარ-მეთქი, ვუთხარი. მაშინ მეგონა უფრო ფართოდ გამილო თვალები, თლათ მობრუნდა ჩემკენ, მხრებიდან თავზე აწიწული თავშალი ისევ ჩამაგდო დაბლა და სიცილით მითხრა: მემლექეთის დასა-ნახავად ადი მოის წვერზე?

საიდან მიხვდა ჩემს სიბლაყვეს-მეთქი, გადევრიე.

* * *

დღე არ იყო, მეტყევის გოგოს სანახავად არ გავპარულიყავ. გულისა რომ მთლად გავანდე, ზეიდან გაღმომხედა უმოწყალოდ და გიმიცხადა: ჯერ ბაღანა ხარ, რა დროს შენი ქალია.

უცებ ცხენის ოქარუნიც მომეყურა. მობრუნება ვერ მოვასწარი, თეთრნაბლიანი ცხენოსანი წამომადგა თავზე.

გოგოს შევხედე, შეცვლილი მეჩვენა და მეწყინა, რომ ჩემსკენ აღარ იყურებოდა.

— სამი დღეა გელი. — უთხრა მოსულს.

კაცმა ზურგიდან თეთრი ნაბადი მეიგლიჯა, დაახვია, ძირს დააგდო და ორივე ხელი გაუშვირა გოგოს:

— მოდი. — უთხრა ჩვენებურად. მე გაღმომხედა ეჭვით, ხომ არ ეს-მის ქართულიო.

გოგომ დახვეულ ნაბადს ფეხი დააბიჯა, კაცმა ხელებით აიყვანა და უნაგირზე წინიდან შემოიჯინა.

— ვინაა? — კითხა ჩემზე კაცმა.

— ხისიმია. — უპასუხა გოგომ.

კაცმა გამილიმა, მგონია, შეწუხდა ცოტა კიდეც, თუ რაცხა შიშისნა-ირმა რამემ გაუელვა. მაინც რიხით მომაძახა:

— ეგ ნაბადი ამის ბაბას გურონიე და დატიე იქა. ნუ შეშინდება, გვანცა ამის პატრონთან არის-თქვა, უთხარი.

გვანცა რქმევია გოგოს, ვიფიქრე. მერე ჩემთვის ჯავრით ვთქვი:

ამას უყურე ერთი შენ. გაზაფხული თოვლით დამიფარა, სიყვარული წამართვა და კიდევ ამას ემსახურე. დასტურ თოვლის დიდ გუნდასავით

იყო დახვეული თეთრი ნაბადი ჩემს წინ. რალანა მექნა. მივეღო, დავისარე და ფრთხილად ავიღე ნაბადი, მარა არ გამიშლია, რადგან ზეს გვანცას ფეხი ეხატა წითელი ტალახით.

კიდო იმით ვილბობდი გულს, რომ ის კაცი ჩვენებური მაინც გამოდგა. დღესაც არ იციან შინ, სიდანა მაქ ის თეთრი ნაბადი.

ძალლი? ღმუილით, წმუილით წამოდგა, ვითომ ისიც გულჭავრიანი იყო და დაობლებულ ცხვარს დაედევნა.

* * *

ეს ამბავი მარტო მე მომიყევი და მართალიც იყავი.

მეორე დღეს პიძაჩენს ვესტუმრეთ სოფელში. შენ ჯიბიდან ფაქიზად შეხვეული რალაც ამოიღე და მოხუც ბიძას გაუწოდე:

— ეს ბაბამ დაგვიტია და დაგვიბარა: თუ ჩემს რომელცხა ძმას ცოცხალს როისმე ჩაუსწარით, გადეცით, მისი იყოსო.

ბიძამ შეხვეული გახსნა და ხელში სათვალე შერჩა.

შენ მერე უფრო დაწვრილებით აუხსენი მამის სურვილი.

ჩემი თვალების მაგიერ ამ სათვალეებმა მაინც შეხედონ მემლექეთ-სო, უთქვამს მამაშენს სიკვდილის წინ.

* * *

შენი წასკლის უამიც დადგა.

განშორება ბევრი მინახავს, მაგრამ ეს ჩვენი განშორება სხვანაი-რი იყო.

მიგაცილებდი, ხელებს ხელებზე ვუჭერდით ერთმანეთს, გვეჩვეოდი, გვემშვიდობებოდი, რალაც დიდი მოუნელებელი ტკივილი გრჩებოდა აქ. ამას ვხედავდი, ამას ვგრძნობდი შენთან ერთად.

შენ კიდევ მოასწარი ერთა ამბის მოყოლა, შემდეგ გაიხსენე დეღა. ძმა, გათხოვილი და. სიძე ლაზიაო, მითხარი. ბარში ცხოვრობს, თხილის დიდი ბაღი აქვს, ზღვიდან მოშორებულია, მაგრამ მაინც დაღის ზღვაზე, თევზს იჭერს და მის ნავს ცხვირზე „ჭოროხი“ აწერია.

შენ კიდევ ბევრის თქმა მოასწარი, მე კი ბევრის მოსმენა და ბევრის დანახვა შევძელი, მაგრამ ყველაფერს აღარ გავიხსენებ აქლა.

მიდიოდი. ვინ იცის, ვნახავდით თუ არა კიდევ ერთმანეთს.

— ძნელია: შენ აქ, მე — იქ, — გაიმეორე ბოლოს შენ ჩემი ნათქვა-მი მატარებლის სარკმლიდან გადმოწოლილმა.

მე კი გავითიქრე: პო, „ძნელია“, მაგრამ მყავდე იქ, შენ, — ასეთი კა-რგი ჩემი ბაძაშვილი და იცოდე, რომ ძნელია. ეს მაინც კარგია.



ცამის ვარაუნიპი

ყრმა და სამყარო უთვაღავ ფერის

ი კ ვ ნ ა ნ ა

იავნანა გესალბუნა მხოლოდ,
იავნანამ დაგიწყნარა სული.
იავნანა ოკებდა მხოლოდ
ატირებულ შენს ფიქრებს და სურვილს.
იავნანამ მოგამწიფა, ლოცვავ,
იავნანამ შენ აგავსო გზნებით,
ლვთისმიერი დიდი მადლი მოგცა,
დაგილოცა, დაგილოცა გზები.
იავნანამ მოგცა დიდი გული,
იავნარდით ანთებული მარად.
იავნანა — დიდი სიყვარული
სიკვდილამდე ციურ შუქით გვფარავს.
იავნანა გვიშუშებს დიდ, ტკივილს,
როს სიბერე მახვილს გულზე დაგვკრავს,
ის სიცილად შეერევა ტირილს,
თითქოს ჩვენთვის ლიმილს პარავს ვარსკვლავს...
და ვადარებთ დედას მზეს და მთვარეს
და ვადარებთ ჩირალდნების კონებს,
მას ვუკოცნით ხელებსა და თვალებს,
მის ხატება — სიდიადეს ვმონებთ...
დედის თვალებს შევფოფინებ ნატვრით
და ხანდახან ჩემს გულს შესძრავს ელდა.
მე სულს მიღვამს დედის სახე-ხატი,
ჩემი დიდი ლვთაებაა დედა.

ზერზბქ, მე და ჩემი ნუგზერი



ეჭ, გულო ჩემო, ტკივილის ზღვა ხარ,
დასჯილი მყაცრად.
ნუ, ნუ ახედავ შებოლილ ზარზმას,
ეს არის ჯვარცმა.
გული გიზგიზებს, როგორც მუგზალი,
ვეფხვის რისხვა ვარ და საყვედური.
დამდევს პატარა ჩემი ნუგზარი
და მირღვევს დუმილს.
სულთნის მუშტები აჩნია კედელს,
სხვა რა იცოდა — მუშტი და ცეცხლი...
რომ მოიგონო შემდეგ და შემდეგ,
უცქირე, ბიჭო, დიდ გუმბათს ფერცვლილს,
ჩემო ბიჭუნავ, დაიმახსოვრე
ხატება მისი, გმირი რომ ჰქვია,
ცრემლი დედათა, მამების ღონე...
მათი ლანდები აქ ჩუმად ჰქრიან.
დაიმახსოვრე ტკივილი დიდი,
ხელაპყრობილთა ლოცვა და არზა.
შენაც გაიღე გულიდან მინდი,
გახსოვდეს ზარზმა.

ირმა გიგალობს, სამშობლოვ!

მზე აღმომხდარა...
ტოროლამ ელვად მოხაზა ირაო,
ყური დაუგდეთ,
არ გესმით?!
რომ გალობს, ჩვენი ირმაა...
ირმაო,
შენი ძახილი მთასა დაბალსა ამაღლებს,
გულს მტკივანს, სულსა მჭმუნვარეს
ალტაცებით ცად აღავლენს.
იმღერე, ნაზო ასულო, დიდება შენი ივერის,
სულის სიმების წაფვაში
განა არ ვიყავთ ძლიერი?!
განა არა ვართ ძლიერი,
არ ეღავს ჩვენი ხატება?!

შზის წილი არის,

მზის წილი, ჩვენი სულისა ნათება.
 იმდერე,

შენი ჭირიმე, მგოსანთა ქვეყნის ტოროლავ,
 შორს რობერტინო შენ გისმენს,

იქნებ შურს შენი ტოლობა,

შენ გისმენს მთათა ქვეყნები, შენ გისმენს
 ზღვათა სამეფო.

მინდა რომ იყო პირველი,

ავავილთ გვირგვინში ჩაეფლო.

ნეტავი შენსა სახელსა გულზე ხატებად იწერდნენ.

ნეტავ სულ ტოროლასავით დილის მზისაკენ იწევდე-
 მიხარის შენი გალობა,

შენი საამო პანგები,

შენ ყველგან გამომერჩევი, შენ არსად დამეკარგები.
 ირმაო,

ამდერებულო, ოქროს ზარს რეკავ ყელითა,

შენ მგალობელო გოგონავ,

იცი, რა საყვარელი ხარ?!?

ჩვენი ალერსი მხურვალე შენთვის ბადაგად იღვრება, —
 დედების გულის ციხარი შენდა საუფლოდ იღება.

მზე აღმომხდარა ცაზედა, ტოროლა ცაში აიჭრა.

ვინ გალობს, ვისი ხმა არი?!

ბიჭი ტრფიალით დაძირა.

ირმაო,

გისმენს სამშობლო,

ღირსი ხარ, კარგო, ზღვა ქების...

უსმინე ჩემო ქვეყანავ, ზღაპარო არგონავტების!...

ჩ ა მ ი ბ თ ბ რ ი ბ ა

ჩემი პატარა გოგო უღურტულა,

ბაფთებიანი, კულულა თმებით.

ის სურნელით ჩამიჩურჩულა

და აღტაცების ოცნებით ვთვრები.

და რომ ვემდური ზოგჯერ სიბერეს,

იგი ალერსით შემომხვევს ხელებს.

ტალღად სდის ჩემი სულის კიბეზე

და ტალღასავით ედება ხმელეთს.

ჭიდ ღუმილს შესძრავს ლალი კისკისით
 და მეც ღიმილით დავეწყვილები.
 მას უყვარს ლურჯი ზღვა და წყლისპირი,
 ჰექა-ქუხილი, თოვლი, წვიმები.
 საღმე ჩიტივით როს გაფრინდება,
 შიშით, ლოდინით გულს დამიწყლულებს.
 მოვა, მზეობა გამიდიდდება
 და მღვრიე ფიქრებს გადამიწურავს.
 ხან სცემს ნაღარას, ხან გალობს ჩუმად
 და შემოგარენს იკლებს თარე შით,
 ვარდის სურნელით ჩამიჩურჩულა
 და წარმიტაცა ტკბილ სიზმარეთში.
 გამებუტება, კვლავ შემირიგებს —
 ყელზე გულდაგულ შემომხევს ხელებს,
 ტალღად სდის ჩემი სულის კიბეზე
 და ტალღასავით ედება ხმელეთს.

დედა, სურათი და მხატვარი

ეს ხელი არის სვასტიკიანი
 და მან ესროლა ყმაწვილს?!
 რა ყმაწვილს!
 შენი სურათი სასტიკი არი,
 მხატვარი ჩემო, გენუკვი, დასწვი!
 ჩემი ბიჭუნა ომში მომიქლეს,
 შენი სურათი შავ დღეთ მაგონებს...
 ეკალს რად სთესავ, ვარდი მომიმკე,
 დედა ვარ, ღვთიურს მე შთაგაგონებ.
 მინდა ჭიბუქთა მხოლოდ სიცილი,
 ალად ანთება ყელსახვევების,
 მინდა ასულთა მხოლოდ სიცილი,
 მინდა სანთლებად ენთოთ ხელები.
 როცა გალობა მათი ჩამესმის,
 ჩემი ბიჭუნა მომენატრება
 და მომინდება მისი ალერსი...
 აღარ მყავს, აღარ ჩემი ხატება...
 ეს ხელი არის სვასტიკიანი

და მან ესროლა ყმაშვილს?!

რა ყმაშვილს!

შენი სურათი სასტიკი არი,
 მხატვარო ჩემო, გენუკვი, დასწვი!
 მინაშერი

დედის დუმილი მოგავდა გლოვას,
 თვალთ ჩადგომოდა ცრემლი თუ ბინდი.
 დედის წინ იღა ბიჭუნა მორცხვად,
 ყელსახვევიანს შვენოდა რიდი.

— მე ვარ მხატვარი,
 ეს მე დავხატე,
 ნუ სწყრები დედავ,
 დამშვიდიდი დედავ!

ელავდა ცა თუ დედასახატე,
 სადღაც ღაღანა მინდორი ფშვენდა.

ჩემთ ბიჭუნავ!

წამოდი, ქარებს მივცეთ აფრები,
 გადავუქროლოთ დიდ ტალღებს, გოროზს,
 სადღაც განთიადს ჩავუსაფრდებით,
 განახებ მზიან და უცხო გორებს.
 მე საიდუმლოს განახებ ყურეს,
 სად ნიჟარების უუუუნი ისმის.
 მე გეტყვი რასმე, შენ დააყურე
 და ხვაშიადი გამიგე მისი...
 ბიჭო, მეც ასე ვიყავი კოხტა,
 შენსავით რბილი ქოჩორი მქონდა,
 მერე ნისკარტით ჩიტებს უხილავთ
 თმა თითო-თითოდ სადღაც მიჭქონდათ.
 მოდი, ქოჩორზე ხელს გადაგისვამ
 და გავიხსენებ შორეულ დღეებს,
 როს ნაღვერდალი ვიყავი მზისა
 და ვუჩალებდი ნაღვერდალს ლელეს.

შენ გაიზრდები ისეთი, მჯერა:
 ციდან ვარსკვლავი შენ ჩამოგხეიდავს;
 თავს ანაცვალებ, თავს, ჯინდ ასჯერაც
 შენს დიდ მთაწმინდას და ქართვლის დედას...



* * *

რისთვის დაგარქვა დედამ მამლუქი?!
 მე ეს სახელი მკორტნის ორბივით,
 ვიცი, მამლუქი იყო ჩაუქი,
 საღლაც რაინდად იყო ხმობილი.
 ვიცი, ეტრატზე რანი აღბეჭდეს,
 კლდეს სჭრიდნენ ერთი ხმლისა მოქნევით,
 ვისაც მიუხვდნენ, სადაც გაჭენდნენ,
 ცეცხლს ყრიდა მათი ცხენთა ფლოქვები.
 არის წამება მამლუქის ბედი,
 არის ჭრილობა მოუშუშარი.
 ჩვენ იმათ ფიქრში, დარჩეში დავბერდით,
 მამლუქს ვგლოგობდით, როგორც შუშანიქს.
 ქართულ სახელით იფრენ მზის ეტლით,
 იქნები უფრო მხნე და ჩაუქი.
 ჩემს საწყისსა და ჩემს ქართულს ვეტროი,
 შენ ვინ დაგარქვა, ბიჭო, მამლუქი?!

რა ლემპზიქ, რა დიპლიქ!

ცრემლიც, ღიმილიც გულით სწადია
 და ეხარბება მას ყველაფერი.
 რა ლამაზია, რა დიადია
 ყრმა და სამყარო უთვალავ ფერის!
 ოდეს ჩემს ბადაგს წყალი ერია,
 ყრმა მოვიდა და თაფლი მაგემა,
 სევდაც, ჭრილობაც წამიერია
 და ყვილაფერიც არ იკარგება.

როს შეეჯახა ტანით მსუბუქით,
 ჩემი ლურჯი ზღვა მაშინ დამშვიდლა,
 გადაგრავნილი შვავით, ქარბუქით, —
 ჩემი მინდორიც მაშინ აფშვინდა.
 ნუ ჭირვეულობ, გულო, ნუ ლელავ,
 აბა, იმედად სხვას რას იგულებ?!
 არ შეგაშინოს მძიმე ულელმა,
 სიცოცხლეს მხოლოდ ის დავიბრუნებს,
 ის დაგიბრუნებს გზა-გზა დაკარგულს,
 ყველაზე ლამაზს, ყველაზე ძვირფასს,
 გულს აგიკვირტავს სევდით დადაგულს
 და წარლვნის ჟამსაც ის დაგიფარავს...
 ვხარობთ... სულ ყრმათა წელიწადია,
 და მოგვყვებიან მხარიმხარს ფრენით.
 რა ლამაზია, რა დიალია
 ყრმა და სამყარო უთვალავ ფერის!..



ვოლოგარ ჭანჩერია

„გიბრალტარის სიმფონია“

სრუტედან გამოსული გემები მარცოსაცით იშლებიან ოკეანეში.

ოკეანედან სრუტეში შემსვლელი გემები კი გიბრალტარის კლდეს ელტვიან.

მაღალია გიბრალტარის კლდე.

მას გემები ხშირ-ხშირად აპელენგებენ, რომ თავიანთი ადგილსამყოფელი დააზუსტონ ზღვაში.

ეს ჰერკულესის კარიბჭე მაგნიტივით იზიდავს მეზღვაურებს.

აქ შესვენება ტრადიციულად გადაიქცა.

ჩვენი გემის ღუზა რახრახით ჩაეშვა კლდის მახლობლად.

გიბრალტარის ერთადერთი გამზირი, მუდამუამ აფერადებული და აუღერებული, კლდის ძირას მიიკლავნება, ქუჩის ერთ მხარეს, კლდეში კაზინოები და მამაკაცთა გასართობი დარბაზებია, მეორე მხარეს — კაფე-რესტორანი და სავაჭროები.

თითქმის წელიწადია აქ არ ვყოფილვართ.

ჩვენი კარმენი ძია სიმონის კაფე-რესტორანში, „ზვიგენი“ რომ პქვია. სწორედ იქ ტრიალებდა მაშინ...

ამჟამად კი კარმენი „ზვიგენის“ შესასვლელთან ატუზულიყო. დაგვინახა თუ არა, ჩვენსკენ გამოიქცა და მოგვახალა:

„ოჯვენი გემის შემოსვლა ახლახან გადმოსცა რადიომ!“

შემდეგ ღიმილით მოგვესალმა:

„გამარჯობათ, ქართველებო!“

ჩვენ რამდენიმე ქართული ფრაზა ვასწავლეთ მას და აი, ბასკების სული ჩვენებური მერცხალივით აჭიქიცდა.

„გენაცვალე!“

„კირიმე!“

„მიყვარხარ!...“

ზედიზედ მოგვაყარა კარმენმა და სახეზე ჩამოშლილი გიშრისფერი კულულები თავის აქნევით მოიშორა.

მისი დიდრონი შავი თვალები სიყვარულით შემოგვნათოდა.

ჩვენც გულშრფელად შევხაროდით ბასკების ტურფა ასულს ქართულად მოჩუქურობმებული მედალიონი ვუსაჩუქრეთ. უკრაცხული კარმენმა ორივე ხელით გულში ჩაიკრა სამახსოვრო. გამდებარება გაირინდა.

რამდენიმე ხანი თვალდახუჭული იდგა.

შეფაქლულ ლოყებზე სიხარულის ცრემლები ენასკვებოდა.... თრთოდა.

იგი ნუკრივით მოსწყდა ადგილს და გაუჩინარდა...

ძია სიმონმა კაფე-რესტორანში მიგვიწვია.

გისკი ჩამოგვისხა.

შაგნიტოფონიც ჩართო.

გიტარის სიმები აწერიალდნენ.

ქალი ნაღვლიანად მღეროდა.

სიმღერა შეწყდა.

კვლავ ვაისმა იგივე მელოდია, მაგრამ ამჯერად ქართულად მღეროდა ქალი.

მე გული ამიტოკდა.

„კარმენ! ეს ხომ ჩვენი კარმენია, მეგობრებო!“ — წამოვიდახ უცებ.

სიმონმა ვანგვიმარტა:

ამ სიმღერას „გიბრალტარის სიმფონია“ ჰქვია. ქართველ მეზღვაურს ეტრუიალება, კარმენისაა...

ჩვენი გემი გიბრალტარის სრუტეს გადიოდა.

მე საჭესთან ვიდექი და გულდაწყვეტილი შევყურებდი კლდეზე აღმართულ შუქურას. ვიცოდი, რომ იქ კარმენი იდგა.

დღეს ჩვენი გემი, ისე როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ, გიბრალტარის კლდისაკენ მიისწრაფვის.

ნეტავ ჩემი სიმფონია არ მომესალბუნება?! /



ჯონი ჯიჯებულიშვილი

ვიპრები ცხელ დღეს

ჩემი ჯიხური შეყნარ ქუჩაზეა, მაღალი სახლის ძირში. იქვე, ქუჩის მეორე მხარეს გასტრონომია.

ჯიხურის კედლებში ჩასმულ მინებზე ფარდაა ჩამოფარებული. უკანა კედლებზე მსახიობთა სურათები გავაკარი. ახალდაწყებული რომ მეონდა მუშაობა, მაშინ იმდენ სურათს ვშოულობდი, ხშირად მოხვდნენ გოგონები. ...თუ კარგ ხასიათზე ვიყავი, უარს რატომ ვეტყოდი.

ყოველ დღილით ცხრა საათზე მოხუცი ქალი მიტოვებს მაწონს. ის დალით იღრე ჩამოდის სოფლიდან. სამი წელია ვიცნობ, ჩემი აქ ყოფნის პირველი დღიდანვე: დილაადრიანად ვიღაცა ქალმა მოუკავშნებლად შემოაღო კარი და შემოვიდა. მძიმე ჩანთები იატაკზე დადო, დახეული ფეხ-საცმელი გაიძრო და გამომიწოდა — ჩუსტი გამეხა, შვილო. ჩქარა გაფერე, დაგენაცვლე!

ჩამეცინა, რადგან ჩემი წარმოდგენით პირველად ლამაზი მანდილო-სანი ან ქალიშვილი მოვიდოდა. იმასაც ვფიქრობდი, თუ რა საქმიანალ ავიღებდი ფეხსაცმელს და პასუხიც კი მოვამზადე: — ერთ საათში მზად იქნება, ქალბატონო; ანდა თერთმეტ საათზე შემოიარე, გოგონი. წინაღა-მით რატომლაც სულ ამაზე ვფიქრობდი. არამცდაარამც არ მინდოდა პი-რველი კაცი მოსულიყო.

ქალმა გაკერილი ფეხსაცმელი ჩაიცვა, ჩანთების ასაღებად დაიხარა და უცებ მომიბრუნდა — მაწონს არ დაიტოვებ, შვილო? უი, ფულის მოცემა კი არ დამავიწყდა?

— იყოს დეიდა, მაწვნის ფასია.

ჰოდა, მას შემდეგ ყოველთვის მიტოვებდა მაწონს და შვილიშვილების დახეულ ფეხსაცმელებს. ერთ დღეს ბავშვები ჩამოიყვანა. უფროსი თორმეტი წლისა იქნებოდა. გამხდარი, ჯანმრთელი ბიჭი. მარომ თქვა, არღადეგები აქვს და მომეხმარებაო. მეორე ჩემთან დატოვა. მას ოქონს-ფერი თმები ჰქონდა, სახე კი საოცრად თეთრი, ავაღმყოფური. ბავშვს დიდი, ლურჯი თვალები გაუბრწყინდა ამდენი სურათის ერთად ნახვისა.

— ძია, სად იშოვე სურათები? რა ლამაზია? ეს დეიდა შარშან  შეზობლად ისვენებდა.

ზაზა მომიყვა, რომ ამ ქალის შვილთან ხშირად თამაშობდებულის ლაპარაკის დროს რატომლაც სუსტ მხრებს იჩეჩავდა.

— ძია, შენ სად ისვენებ ხოლმე?

— ზღვაზე.

— ზღვაზე! — თითქოს ეწყინა, — კარგია ზღვა?

— უუჲ, ნუ იტყვი. შენი თვალებივით ლამაზია.

— ჩემი ივალებივით? — გაეცინა, — შორს ცურავ?

— აბა? შენ რაო, ცურავ არ იცი?

— არა. მე ექიმმა უცელაფერი ამიკრძალა, თამაშიც და ცურვაც. ბურთს მაინც ვთამაშობ.

— რატომ ავიკრძალა?

— გული მტკივა, — აიწურა მხრები, — ძია, დიდი ტალღებია ზღვა... ზე? რომ დაგახრჩოს?

— რას მომერევა. აი, ნახე როვორია.

ზაზა კედელზე გაკრულ აივაზოვსკის ნახატს დააკვირდა. თვალები გაუდიდდა. ჰოი, ბიჭო, რა ლურჯი თვალები ჰქონდა!

— უუ, რამოდენა ტალღებია, ნეტავი მანახა! ძია, ის ბავშვი მკვდარია? აღარ ადგება? — მკითხა მოულოდნელად.

სურათს მხატვრის გვარი არ ეწერა, ისე კი, ძან მომწონდა.

— არა, ძინავს! აი, ნახე, ფეხბურთელები.

— აბა, ქალი რატომ ტირის? ძია, მკვდარი არ ადგება?

— აღგება, როგორ არა.

არ მინდიდა ახლა ამაზე საუბარი.

— ძია, რათ გინდა ეს სურათი, მკვდრები გიყვარს?

ბავშვი მუხლებზე დავისვი და მოვეფერე.

— ზაზა, სწავლობ?

— წელს შევალ. აბა, მაწონს ხომ არ გავყიდი, — აიჩეჩა მხრები. გამეცინა. წასვლისას სურათები ვაჩუქე. იმის მეტად არ მინახავს.

— გაუმარჯოს! — დაიძახა ბოხი ხმით ვიღაცამ და ჯიხურში შემოვარდა.

— უუ ძმა ხარ, ქუსლი ამიმალლე, რაც შეიძლება, გოგოსთან მივდივარ.

— ვა, ამ დილით?

— ჯერ ამხანაგს გავუგლი, მერე გოგოს, მის მშობლებს გავეცნობი. ფეხსაცმლის ქუსლს ოთხი სანტიმეტრი მოვუმატე.

ჩაიცვა, წამოხტა და კედელს მიეტოლა — ოო, ახლა ჩემი გოგოს სიმაღლე ვიქნები.

ქალის ტუფლს მომტვრეული ქუსლი მოვაძვრე. მერე ფოლადისაგან ქუსლი გამოვჩარხე. თან ვმღეროდი. მივეჩივი მუშაობისას სიმღერა ძოპირდაპირე სახლის ლოჭზე ახალგაზრდა ქალი გადმოდგა. ლიმიორი მომესალმა. ქერამოწითალო თმები მხრებზე ჩამოშლოდა. გრძელი მაჯურებისა წამოესხა. ახალგამოღვიძებული იყო. მას ძალიან მოსწონს ჩემი ტმა. თუ-რმე არც ჩემს მიმართ ყოფილა გულგრილი, ერთხელ ჩემზე უთქვამს. ასეთი მაღალი და გამხდარი ვაკი სწორედ ჩემი გემოვნებისაა. ეს ქალი უწინაც გამოღიოდა ხოლმე ლოჭზე და მისმენდა. ჰოდა, ასე გავეცანით ერთმანეთს. ხანდისხან დილით პერანგისამარა გაჩერდება ოთაში ფახ-ჯარასთან და ფარდებს იქითაც კარგად ჩანს. ერთხელ წელზევით შიშ-ველს თვალი მოვკარი და ეს ოხერი თითები ჩაქუჩიზ დავიძებგვე. იმ დღეს ტუფლი რომ მოიტანა, მითხრა — შენი სიმღერები პირდაპირ მაგი-ჯებსო. ვიფიქრე, კი ვიცი ვინ ვის აგიუებს-მეთქი. არაფერი მითქამს, ეს იყო და ეს. მერე გათხოვდა ვიღაც ასპირანტზე თუ დოცენტზე. ჩემი გაღი-ზიანება მაინც არ მოიშალა. ისე, მგონი კარგია: თითქოს რაღაც არის და არაფერიც არ არის!

ჩამოცხა. მაწონს თავი მოვხადე. სქელი ნალები ჭამად კი ღირდა. ია-ტაკ აღარ ვუყურებ, იმდენი ფეხსაცმელი ყრია. სიცხეში მიჭირს მუშაო-ბა. სიზმარშიც ფეხსაცმელები მელანდება: ზოგი ცხვირახეულია, ზოგი ქუსლმოლრეცილი და ათასნაირად დაგლეჭილი. მათ სუნს ძილშიც კი ვგრძნობ. როცა ცხელა, ასე მომდის ყოველთვის. მინდა შორს მოვისრო-ლო ფეხსაცმელი, შესაკეთებლად რომ მიჭირავს. ამ ხალხს რომ ჰკითხო, ჰკონია, ათ წუთში მოასწრებ ყველაფერს. ბუზლუნით მიღიან, როცა ვეტ-ყვი ჩვალამდე ვერ გავაკეთებ, მოცლა არა მაქვს-მეთქი.

— შე კაცო, რა დიღი ამბავია ამის გავეთება?! ათი წუთის საქმეა.

ასეთი ათწუთიანი საქმეები ათობით რომ ყრია იატაზე, იმას კი არ ხედავენ. სიცხეში მაინც ყველა ღიზიანდება. არაა ადვილი, იჯდე დილის რვა საათიდან საღამომდე და კერაგდე. პირველად ხის სკამს ვხმარობდი და მთელი თვე წელქვემოდ გაშეშებული ვიყავი. მერე ამხანაგს ზამბარე-ბიანი რბილი სკამი გავაკეთებინე. ვარდისფერი პლასტმასის პატარა ვენტილატორიც დავიღი. სიცხეში ასე თუ ისე მშველის.

სასწრაფოდ შესაკეთებელი ცალკე გადავაწყვე. ამ შავ, გაცვეთილ მო-კასინებს უკვე მესამეჯერ ვუცვლი ძირს. მისი პატრონი კარგი ბიჭია, სტუდენტი, დიდი მეგობრობა გვაძვს. ამ სიცხეში ქეჩის ყელიანი ფეხსა-ცმელით დადის. „ჩემი მოკასინების იუბილეზე პრეზიდიუმის წევრი იქ-ნებიო“ — მითხრა ამას წინათ.

საერთოდ კლიენტი ბლომად მყავს. მეუბნებიან ტუფლი შეკეთებუ-ლი თუა, არ ეტყობა, ახალს ჰვავსო.

აგერ გუშინწინ კრებაზე მაღლობაც გამომიცხადეს. ფანჯარასთან ვი-ჯექი. ისე ცხელოდა არც გამიგია, ჩემზე რას ამბობდნენ. ძირს, ვასურე-

ბულ ასფალტზე ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. გაცხარებით დასცვალნენ ბურთს, მზეს ვინდა დაგიდევდათ. ერთმა წამოილო ბურთი, კაცები მოატყუა და სწორედ გოლის გატანისს უმტყუნა ფეხსაცმელშესაშუალებელი წინდაწინ ვიგრძენი და ისე ამოვიოხრე, ვიღაცამ მკითხა, რაო მას უსაფრთხოების არ გეცოტავო. არა, აგრე მაგარი თამაშია და ვუყურებდი-მეთქი. მოაწყდნენ ფანჯარას და თამაშის ბოლომდე არც მოცილებიან. მერე კრება დაშ-თავრებულად გამოაცხადეს. ასე საინტერესო სხდომას არასოდეს დაცხ-რებივარ.

— მმ ქალიშვილს ცოტა გვიან რომ გავუკეთო „გვოზლიკები“, არაფერი დაშავდება. ყოველთვის ახალ-ახალს იცვლის. თმის ფერი და ვარცხნილობაც ყოველთვის სხვადასხვანაირი აქვს. ვიღაცამ დააბრალა — ბარ-ზოს გვეხარო და მორჩა! ამის შემდეგ რამდენჯერაც ბარდო შეიცვლის თმის ფერს, ესეც ცდილობს არ ჩამორჩეს. ის არადა, მგონი უსწრებს ხან-დახან. გუშინ შემოვიდა და მკითხა როგორ მოგწონს ჩემი ვარცხნილობაო.

მე ვუთხარი, ასე თმა ბარდოს შარშანდელ სურათში ჰქონდა-თქო. რომ დავარწმუნე, კინაღამ გაგიუდა და ბოლოს ამოიხრა — ახლა ნეტავი რო-გორ იკვეთდსო.

— არ ვიცი, ალბათ გადმოსცემენ უკანასკნელ ცნობებში.

ვაგვეცინა. ის ფეხის თითზე ქოშს აქნავებდა. ტკაცუნით ჩამოიცვა და წინ გადმოიხარა — შენ ამ ბერეტში რტალიური ტიპი ხარ.

— უბერეტოდ?

— უბერეტოდ... პინგვინი! — გადაიკისკისა. მერე ერთით ერთიო, მითხრა და დამემშვიდობა.

მაწონი მთლად შევჭამე და ბიჭის ფეხსაცმელებს მესამეჭერ გა-მოვუცვალე ძირი.

პირველი საათი დაიწყო.

კარგია. ახლა ქუჩებს თუ მორწყავენ.

სულ პირველად მებალესთან ვმუშაობდი. ნარგავების მორწყვა მევა-ლებოდა. მიხაროდა, ხეებს ძირში წყალს რომ დავუსხამდი. მებალე მით-ხრა ერთხელ, ხეები დაგლოცავენო და მეც სადღაც მჯეროდა...

ჯიხურის ჩინ ბოთლით წყალი მოვასხურე. ცხელმა ასფალტმა უცბად შეისრუტა.

ო, რა ხვატი იქნება დღეს!

რაღაც ცუდი, სიტყვით უთქმელი გრძნობა დამეუფლა. წელიწადში ერთხელ თუ გამიხსენებს... ბავშვობიდან მომდევს ეს ოხერი! ვერ გამომი-თქვამს: ყველაფერში რაღაცით უკმაყოფილება, თითქოს ტალახში დასუ-რილი გული მზეზე მიხმება. მე მგონი, ამის მაგვარი გრძნობა გრჩება კე-დელზე ფრჩხილებით გაფხაჭვნის დროს. კარგახანს ვიჯექი გაშეშებული. ახლა ეს აღარ მინდოდა, ისიც მეყოფა, სიზმარში ფეხსაცმელები რომ არ მასვენებს. წამოვდექი და იქვე, გასტრონომში შევირბინე.

— ლუდი ცივია, ხომ?

— კი. რა შეწუხებული სახე გაქვს! კბილი ხომ არ გტკვა?

— ჰო-მეტქი, — თავი დავუქმნი.

— იცი, ბებიაჩემს რა სალი კბილები ჰქონდა?

— უჟ, როგორ არა...

— ურთიც არ აკლდა, — ასწია სქელი წარბები. ენამახვილი ჰქონდა
ამას თავი, გაუთავებლად და მომაბეზრებლად ოხუნჯობს.

— კარგი ერთი, ნუ დამანატრე ბებიაშენის კბილებს.

ბოთლი გამოვცალე და ფულთან ერთად დახლზე დავდე — მეორეც
მომეცი!

მაღაზიაში ნაცნობი კაცი შემოვიდა. ბაღურით ცარიელი ბოთლები
მოიტანა. ლიმილით მოვევსალმა. ორმოცდაათ წელს იყო მიტანებული.
მის ლოყებს ღაულავი გაუდიოდათ. უბერებელი კაცია. ლიპჭვე ამოდე-
ბული ქამარი გაღმოგდებულ მუცელსაც უმაგრებდა და შარვალსაც. ბო-
თლები დახლზე დააწყო.

— თცი ბოთლია, — კაცუოფილებით ჩამოისვა მუცელზე ხელი, —
ექვსი კაცი ვსვამდოთ, მაგრამ ნიკო სათვალავში არაა... აღრე დათვრა; ჩეუბი აგვიტეხა... ძლიერ დავაძინეთ. უკვე მესამეჯერ მოსდის ასე, ფხისე-
ლი ოქროა! — გაშალა ხელები — აჲ, არა, ძმაო! მაგის დათრობა პოლიტი-
კური დანაშაულია. — დაასკვნა გაბრწყინებული სახით და გადაიხარხარა
საკუთარი აღმოჩენით განარებულმა.

მე მის სიცილზე გამეცინა. ლუდის ბოთლი ავიღე, იქვე საფუნთუშე-
ში სამი ლვეზელი ვიყიდე და დავუქექი ჩემს სასუფეველში. ისე მომასა-
ვათა ამ ულვოთ სიცხემ, ზღვაში ბანაობა ვინატრე.

კეტილატორი სიცხეს ველარაფერს აკლებს. საწყალი ჩემს სასიამო-
ვნოდ ტრიალებს დაუსრულებლივ, ასე მეგონა, მის დაღლილ ფრთხებსაც
ზღვა უშველიდა. გამოვრთე. უწყვეტი ხაზი სამ ნელა მოტრიალე ფრთაღ
გადაიქცა. თვალმოუშორებლივ მივშტერებოდი და დავიწყე სიმღერა ბაგ-
შვეზე, რომელსაც არასოდეს არ უნახავს ზღვა და მიფრინავს მისკენ... მან
მხოლოდ ის იცის, რომ მისი თვალებისფერია ზღვა და მიფრინავს, მიფ-
რინავს, რომ ნახოს ზღვა...

ბოლოს სიტყვები არ მეყო და გავჩუმდი. კარებთან პატარა გოგო
მოსულიყო. ფუნთუშის ჭამდა. გაკვირვებული შავი თვალები დაეჭყიტა.
თითო დავუქმნი, აქ მოღი-მეტქი. ლამაზი და სასაცილო იყო ტკბილ კრე-
ში მოთხუპნულ ლოყებით. კვლავ დავუქმნი თითო, მაგრამ გაიქცა.

ჯიხურში ნაცნობი ვაჟი შემოვიდა. ნახაზები და ყვითელი ჩანთა კუთ-
ხში მიაწყო და ახალნაყიდი წითელი ჰალსტუხი მანახა, მერე რაღაც უჭ-
ნიშვნელო თქვა.

— ნეტა რა უნდა მითხრას, ჰა? — ვიფიქრე. სიცხემ და ამდენმა ცლამ
კული გადამილია.

— ჰე, რა იყო ბიჭო?

— იცი, იმ გოგოს, მგონი, ნამდვილად... საღამოობით
 შენზე ლაპარაკობს.

— ჰოო, ასეა აბა?

— ასეა. რა ჭობს. ის დაუკრავს, შენ იმღერე. კარგად! — თითები
 გამიქნია, და წავიდა.

— ჰკუით! — ვამეღიძა.

იქნებ, ვამიხარდა კიდეც.

ის ჭერ ბავშვია. აქ მუშაობა რომ დავიწყე, მაშინ პატარა იყო, 13-14
 წლისა. თითქმის ყოველდღე ვხედავდი სკოლაში მიმავალს ან უკან დაბ-
 რუნებულს და ვერც კი შევამჩნეო, როგორ გაიზარდა. მსიამოვნებდა, რო-
 ცა დავინახვდი მსუბუქი ნაპიჯებით მიმავალს. ჩავლისას აუცილებლად
 მოიხედავს და ხელით მესალმება.

შემოივლის ხოლმე, დაჭდება, დაიდებს მუხლზე ვიოლინოს და მესაუ-
 ბბრება ახალ ფილმზე ან მუსიკაზე.

მე კი ვუყურებდი და ვფიქრობდი: „ვიღაცას მაგონებს, ნეტაფი ყინ?“
 ღმერთო ღიდებულო! შევიშლები, რომ ვერ მივხვდე. და ასე ყოველთვის
 ვცდილობდი ამომეცნ ის ღიდი შეგავსება, თუმცა ამაოდ.

ვფიქრობდი ჩემთან ყოფნა ბავშვური სიხალისით მოსდის-თქო, მერკ
 გაიზრდება და ვიღას გაახსენდება „საპოუნიკი“?

არასოდეს, არცერთ ქალთან არ შემტცხვენია ამ სახელის, ათასგზის-
 ლამაზმანებთან, ვისთანაც ვყოფილვარ უფრო ახლოს.. და მხოლოდ
 ახლა...

ამ წუთში სიტყვა „საპოუნიკის“ გაგონება უფრო საძაგელ გრძნობას
 დამიტოვებდა, ვიღრე კედელზე ფრჩხილებით ფხაჭვნა. აღგილზე ვამაშე-
 შა კვლავ კარგახანს. ღმერთო, მიშველე! დღეს მეორეჯერ წამომიარა ამ
 ოხრობამ, თუკი რაიმეს უწოდებს კაცი.

ათიოდე წუთის შემდეგ მუშაობა განვაგრძე. კარგი, ვთქვათ, ესაა სი-
 ყვარული. კარგიდა მერე?! არაფერი, სულ არაფერი. მორჩია ხომ? ჰოდა
 ასე!

აღრეც ასე გადავწყვეტდი, მაგრამ ვაღარშებული ყურადღებით
 მაიძულებდა მასზე მეფიქრა.

თებერვლის ერთ თოვლიან დღეს სახეცწითლებული შემოვიდა ჩემ-
 თან.

— რა კარგად მღერით! — წამოიძახა აღფრთოვანებით.

— ვითომ?

— ძალიან, ძალიან კარგად... აქ რატომ მუშაობთ? თქვენ ესტრადაზე
 უნდა გამოდიოდეთ.

არაფერი მითქვამს.



-- იცით, მოელი ათი წუთი გისმებდით.

,ათი წუთი, ამ სიცივეში? ეს ბავშვი გამავიუებს ნამდვეჭყაფულება

— შენ კარგი გოგო ხარ, თინა. ლამაზი თვალები გაქვს პირობება

გაწითლდა. სახე აერია. მერე რაღაც თქვა და გაიძცა. ვიფიქრე, ეწყინათქო და შევწუხდი. მეორე დილით რომ გამოარა, გამოიმა და ხელი გამიქნა. ახლა უფრო დინგად მიღიოდა. დიდხანს არ შემოსულა ჩემთა. ორი კვირის შემდეგ შევხვდი ტრამვაიში. ბილეთს ვიღებდი და დამასწრო.

— ნახეთ, ბელნიერი ბილეთია.

— გვეშველა და ესაა.

ხმამაღლა გაეცინა.

— როგორაა შენი მუსიკის საქმე, თინა?

— კარგად. ამელამ კონცერტზე გამოვდივარ.

— აღბათ, ძნელი იქნება შესვლა, — ვთქვი მე. ისე, მაინც დამაინარ მაინტერესებდა.

— სულაც არა, — აიჩეჩა მხრები, — დაესწრებით?

— ჰმ!.. კი, რა თქმა უნდა.

ნეტა რაში მჭირდებოდა? ბიჭებს დათქმული გვქონდა გემოზე გვეჭიიფა. არ გაგიუდებიან რომ ვუთხრა, კლასიკურ მუსიკას ვუსმენდი და იმიტომ ვერ მოვედი-მეთქი?

რახან ვთქვი, უნდა დავესწრო.

სალამოს ყვავილებიც კი ვიყიდე. რად მინდოდა, ახლაც ვერ გეტუ-ვით, აღბათ სცენაზე მისაცემად.

კონცერტი ჯერ არ დაწყებულიყო. დერეფანში ხალხი ირეოდა. თინას დედა დავინახე თაგული ფანჯრის რაფაზე მივაგდე, მხოლოდ პატარა, ხავერდოვანი, წითელი ყვავილი დავიტოვე.

კიბეებზე ერთი ნაცნობი კაცი ამოვიდა. დარბაზში ერთად ვისხედით. კონცერტში მისი ქალიშვილიც მონაწილეობდა. მეორე, პატარა გოგო თან ახლდა. ეს კაცი რომელიმაც სამინისტროში მუშაობს. ახალ გადმოსული იყო მეზობლად აგებულ ბინაში და ხელადვე დამიმეგობრდა. ფეხ-ბურთის ბილეთებს ყოველთვის მაძლევდა და, თუ დრო არ მქონდა, ბიჭებს გაგიხარებდი ხოლმე. თავდავიწყებით უყვარს ფეხბურთი, ჭადრაკი და მუსიკა. ამ უკანასკნელს, მგონი, თავისი ქალიშვილის შესაძლებლობით აფასებს. სცენაზე გამოვიდა თუ არა მისი გოგონა, პირდაპირ აღარ მომცა საშველი — ნახე, რა კარგად უკრავსო. შემდეგ თინა გამოვიდა. ვერ ვიტუვი, მე მხედავდა-თქო. ისე კი, მგონი, მუსიკით შთაგონებულის სახეც მივიღე

. ბოლომდე აღარ დამიცდია. ყვავილი მეზობლის პატარა გოგოს მიაჩეჩე ხელში და წამოვედი. ბიჭები უკვე ქიფობდნენ. ნათელი ღამე

იუო და საოცრად თბილოდა, თუმცა მარტის თვე იდგა. მთვარე ფრთხილი ცილ თეთრ ქსოვილივით ეფარებოდა ლრუბლების თხელი ფენიშვილების

— შენ რაო! მესამეჯერ ცლი ჭიქის და არაფერს ამბობზეს და მინდოდა გამქრალიყო.

— მაგარია გრძნობები, — თქვა ერთმა.

— ნუ იტყვიო, — დაამოწმეს ჩუმად. ხმა არ გამიღია. ვუყურებდი მთვარეს, ვხედავდი იქ, სადღაც სიფრიფანა კაბიან გოგოს, რომელიც უკრავდა მხოლოდ ჩემთვის და კვლავ შევსვი უთქმელი საღლეგრძელო.

სახეზე ავისვი ხელის ზურგი, მერე სარკის ნატეხში ჩავიხედე. წვერი მომზრდოდა, ნიკაპის ფოსოც ამოევსო. კიდევ უფრო გამხდარი მეჩვენა თავი, თუმცა ეს წვერის ბრალი იყო. დამეზარა გაპარსვა ამ სიცხეში, ოფლი ამიწვავს და მოსვენება არ მექნება.

რატომძაც ახლა გამიელვა თავში: აჯობებდა დღეს გაპარსული ვყოფილიყავი-თქო.

ტუჩებზე რაღაც რბილ ბურთულასავით დაგორავდა, ნელინელ მისიცინებდა და ბოლოს ისე აძძევდა, კოცნა მომაწყურა... კოცნა ტკბილი, სულ ნორჩი ტუჩების... მგონია, შევჭამ კიდეც!

— ნაყინს არ შეჭამთ?

— იფ, მისწრებაა პირდაპირ.

თინა შემოვიდა და დაჭდა. ვენტილატორი თავისკენ მიიპრუნა, ჩართო, მე ნაყინს ნელა ვლოკავდი.

— კარგია, ეს რომ გიდგათ.

— დიდი საშუალებაა. ზღვაზე არ მიდიხართ დასასვენებლად?

— არ ვიცი, — იჩეჩა მხრები — თუ მოვახერხეთ. თქვენ ზღვაზე ისვენებთ, ხმო?

— ჰო. წადი, აუცილებლად წადი. ახლა რა სჯობს ზღვას.

მეტისმეტად ლამაზი მეჩვენა. სადა, ვარდისფერი კაბა მუხლებს ვერ უფარავდა. რამდენჯერმე გადმოქახა — არ გამაწვალა? — წამოიძახა ბოლოს ბავშვური გულუბრყვილობით.

— თინა! ცეკვებზე არ დადიხარ?

— ოჲ, არა! ვისოთან ვიცეკვო? — შეარხია მხრები და საჩქაროდ დამატა — კარგად არ ვცეკვავ.

— რატომ, არაა ძნელი. „ღმერთო, მომაგონე, ვის ჰგავს!“

— გოვონები ამბობენ თქვენზე, იდეალურად ცეკვავსო. სად ისწავლეთ?

— არ მახსოვს, ალბათ ზღვაზე... „ერთი მიმახვედრა, ვის ჰგავს, ჰა?“ გამეღიმა, „იდეალურად“ რომ თქვა.

— მოხვალ ცეკვებზე?

სახე ვარდისფერი გაუხდა, მხრები აიწურა. „ოო, შევტოპე. მაგრამ... რომ... რომ...“

მან ჩემს თავს ზემოთ გაქრულ სურათებს შეხედა. მერე  ფერწერული სველი, პაწია ტუჩი, აი ისეთი — წელან რომ ვინატრე.

— იცით... მე... ვინ არის ეს ბავშვი?

მივხდი ვისზეც შემეკითხა. სურათიდან იღიმებოდა ოქროსფერომიანი ლურჯთვალა ბიჭი, სუსტი, მაღლააწეული მხრებით... და ახლა გავიგე; თუ რა იყო ის მსგავსება, თავდავიწყებამდე რომ მომწონდა ამ გოგონაში — მხრების აჩეჩვა!

— ვინ არის ეს ბავშვი?

მას ზღვიდან პატარა აქვარიუმი ჩამოვუტანე შარშან. შიგ ერთიციც არა თევზები დაცურავდნენ, ფსკერზე კენჭები და ნიჟარები ეყარა. მოუთმენლად ველოდი, როდის ვაჩუქებდი. თითქოს ვხედავდი, როგორ ჩაუყრადა თევზებს პურის ნამცეცებს და როგორ გაიცნობდა მის თვალებივით ლურჯ ზღვას. მოლოდინი კი დიდხანს გაგრძელდა. მოხუცი მემწვენე არ ჩანდა. სექტემბერი იწურებოდა. გადავწყვიტე, ამ ორ დღეს თუ არ გამოჩნდა, უეპველად ავალ-თქო მათთან სოფელში.

დიღით ღია კარებთან ქალი მოვიდა ნელი, დაღლილი ნაბიჯებით. შავები ემოსა. ხმაც ვერ გავიღე... მკერდზე პატარა სურათი ვიცან!

ფეხზე მდგომი დიდხანს გავსცეკეროდი მიმავალს.

უეცრად რაღაც ხმამ თუ ძალამ შემატრიალა იმ სურათისკენ, რომელზეც ქალი ეხატა ბავშვით ხელში.

„— ძია, ის ბავშვი მკვდარია? აღარ ადგება?

— არა, სძინავს!

— აბა, ქალი რატომ ტირის? რად გინდათ ეს სურათი, მკვდრები გიყვარეს?“

ცივად შემაქრულა. სურათი ჩამოვგლივე და ნაფლეთებად ვაჭცია.

„მაინც, რა ჯანდაბად მინდოდა ეს სურათი!“

ჩემს ოთახში რომ შევდიგარ, პირველად ზაზას კუთხესთან ვჩერდები. მავიდაზე დგას მისი სურათი, იქვეა აქვარიუმი. ვჩერდები, რადგან ის მოხვეს ვუამბო ზღვაზე. მეც ვუყვები დაუსრულებლივ. ისიც დაუსრულებლივ მისმენს და ბოლოს, თითქოს არ სჯერაო, მკითხავს — ძია, ასე ლამაზია ზღვა? მართლა ჩემს თვალებს ჰგავს? უჰ, ნეტავი მანახა

პატარა, თბილი ხელი ოდნავ შემეხხ და გაირინდა, თითქოს ბურუსი გაიფანტაო ჩემს წინ, ახლა შევნიშნე ცრემლჩამდგარი შავი თვალება, ხელზე დაყრდნობილი გაფითრებული სახე.

საოცრად მომინდა თინას გაცინებოდა, თუნდაც გაეღიმა. ლაშმის არი-
რებულიყო. ვინანე, ნეტავი რამ მომაყოლა ახლა ეს ამბავი. ისეთი ფრთხოები
ბაზე დავდექი, კინალმ მესამედ არ წამომიარა იმ საშინელმა ჰუმინური მასში
არადა ვერც სასაცილო რამე მოვიაზრე. სიგარეტს მოვუკიდე. ამ სიცხეში
დიდი ვერაფერი სასიამოვნო იყო, მაგრამ ამასაც მიხვედრა ხომ უნდა.
ცელულოზის მწარე გემო მეცა. თინას უცებ გაეცინა ისე, რომ მეც გადა-
მედო. შეცდომით ფილტრზე მოვუკიდე ცეცხლი. გამეღიმა. თურმე სიგა-
რეტის უკულმა მოკიდება ყოფილა ყველაფრის თავი და ბოლო. რომ გა-
დიოდა, ავხედე. ჭიხურს რამდენიმე ნაბიჭით გაშორდა და შემობრუნდა.
ოდნავ შესამჩნევად ილიმებოდა.

არ ვიცი, მომეჩვენა თუ ნამდვილად დამიქნია თავი.



ჯემალ ქათამაძე

ზ ღ ვ ა ს თ ა ნ

აქ ზღვა მარტო ზღვა როდია,
 ან მარტო წვა და ოცნება,
 ზღვასთან ზღვა გულით მოდიან
 ტალღების დასაკოცნელად.
 ზღვა ზოგჯერ ურჩობს, დიდგულობს
 შლეგი ქარებით ნაცემი.
 ზვირთზე სიყვარულს ვკითხულობ,
 თოლიის ფრთებით დაწერილს.
 ვეჭვობ — ზღვა როცა წყნარია,
 ვფხიზლობ — ზღვა როცა ირწევა,
 ირხევა ჩემი ქნარიც და
 თიოქოს სიცოცხლეც იწყება.
 და ზღვა... მარტო ზღვა როდია,
 ან მარტო წვა და ოცნება,
 ზღვასთან ზღვა გულით მოდიან
 ტალღების დასაკოცნელად.


ელიქს გიგა

დგას უგანგაშო და ხმას არ იღებს
 ელის ციხე...
 ელის ციხე.
 გარინდებული უსმენს და უსმენს
 კალმახიანი კინტრიშის ქუხილს,
 ველური ვაზით გაბარჯღულ გულზე
 გადადის მთების ცისფერი მწუხრი.
 ამოღამებულ თვალების ფოსოს

შუქივით შვენის ჩიტების ბუდე,
 ვიღაცა ლოდთან აჩაღებს კოცონს
 და მუხლქვეშ კენჭი მარილი უდევს.
 დაეფინება ტყეების ახლო
 ფერი მგლისა და ფერი ავაზის,
 ჭახათი ჩემი კლდეებზე სახლობს,
 კლდეების თაგზე ყვავილობს ვაზი.
 თან ახლობელი და თანაც შორი
 დგას უგანგაშოდ და ხმას არ იღებს,
 ამ ცვრიან ჭალებს, ხევებს და გორებს
 ახლა დუმილით დარაჯობს ციხე.

* * *

დღეს ჩემთან ცეკვავ... ჩემს გულთან ცელქობ,
 ხვალ კი, ვინ იცის... იქნება სხვასთან.
 ღრუბლები მუქი, ჭარები ლექი,
 ასე მიმოდის ბობოქარ ზღვასთან.
 შენც დგახარ ზღვასთან... არც ისე ავი,
 არც ისე თბილი გორების ნისლი,
 ჭრელი კენჭების აგროვებ ყვავილს
 და თითო-თითოდ ტალღებში ისვრი.



დავით ნაცვალეპე

ნ ა წ ი ს ფ ა ს ა ღ

მხატვრული ძრონიკა

ეს ამბავი მოხდა 765 წლის წინათ, 1204 წელს. მომხდეს რუს-ს-სლავურთა ურდინების წინაალეგ აღსდგა მთელი სა-ქართველო; ჰერეთისა და კახეთის ლაშქარი ტაშისკარით, ხოლო იმერთა, ლაზთა და აფხაზთა ლაშქარი აჭარა-ართვი-ნის გზით მოვიდრენ ოძრახეში. ეს შეერთდნენ და ტაოელებ-თან ერთად დაიძრნენ ბასიანისაკენ.

„...მოვიდა რუქნადინი, და თანა პყვა ლაშქარი დიმიტრით და ალაბით ამორმა წილებად ამის სამეფოსა, მიეგებნეს ბა-სიანის ქვეყანასა, გაიქცეს, ხოცეს და ამოსწყვიდეს, მოა-ხნეს სულტანი და ამირანი ტყვედ ერზინჯიელი, შემელი და ბივრიტელი, საჭურჭლისა ზანდუკთა ოქროთა და მარგალი-ტითა საქეთა, და დროშათა სასულტანოთა, შრავალთა კარავ-თა, ვეცხლის კურჭელთა და ოქროსათა სადა იყო სიმრავ-ლე. ეჭვმითა, ყორითა და ცხენითა აღასნეს მინდორნი და ვლნი“. „

„მართლის ცხოვრება“.

სითეთრით შემკრთალი ბინდი ელიმლამებოდა თამარის სასახლეს-ნელ-ნელა მუქმწვანე ლიბრი იყორობდა ისანს. სწორედ ამ ღროს აუწყა-მსტოვარმა მსახურთუხუცესს ვარდან დადიანს რუმის სულთნის რუქნა-დინის ელჩის მოსვლა.

მხოლოდ მეხუთე დღეს, ნაშუადლევს ინება დიღმა თამარმა რუქნა-დინის ელჩის მიღება. მეფემ და თანამეცხედრე დავით სოსლანმა უბრძანეს ზაქარია ამირსპასალარს, შეეკრიბა დარბაზი. დიღი ვეზირის, მწიგნო-ბართუხუცესის ანტონის ჭყონდიდიდან ჩამობრძანებას ელოდებოდა თა-მარი.

არასოდეს არა იქმოდა მეფე თამარი დიღი ვეზირის გარეშე ელჩთა მიღებას.

პირველი სავარძლები დავით სოსლანსა და ჭყონდიდელს ეკავათ, მე-სამე და მეოთხე — ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელსა და ამილახვარ-გამრეკელს, მათ რიგით მიყვებოდნენ მეცურტკლეთ და მანდატურთ უხუ-ცესნი ჭიაბერი და კახაბერ ვარდანიძე, ვეზირნი და სპასალარნი.

თამარმა ბრძანა დარბაზში შემოეყვანათ ელჩი. მაჩივიდა თურქი ხალიჩაზე განერთხა და თავი დაუკრა მეფეს, შემდეგ მარტინ ამოილო და გაშალა. რუქნადინი თამარ მეფეს წერდა:

„— შენ გიბრძანებია ქართველთაოს აღება ხმალისა მუსლიმანთა ხოცად, ამიტომ მე წარმომივლენია მხედრობა ჩემი, რათა აღვხოცო მამაკაცი მაგა ქვეყნისა და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელიც წინა მომეგების, თაყვანი სცეს ჩათრსა ჩემსა, ჯვარი ქრისტესი ჩემსა წინაშე დალეჭოს და მაჰმადი ალიარს.“

— სულთანის კიდევ ერთს დანაბარებს მოგახსენებთ, დიდო მეფეო! — განაგრძო ელჩმა, — უკათუ მეფე თამარმან დაუტევოს სჯული, იპყრას სულთანმა ცოლად და უკეთუ არა დაუტევოს, იყოს ხარჭად სულთან... — მაგრამ სიტყვა ვეღარ დაასრულა ჩალმოსანმა: ზაქარია მხარგრძელის მოქნეულმა ხელმა ელჩი იატაზე უგონოდ გაშელართა.

— გაათრიეთ ეს სიბინძურე და დილევში ჩაგდეთ!

კარისკაცებმა გონწასული ელჩი გაიტანეს.

— ბრიყვი მბრძანებლის დანაბარები მომახსენეს. ამირსპასალარო, რად უხეთქე სახეში და ვითარცა მკვდარი დასცი მიწაზე!

ზაქარია ერთხანს გარინდებული იდგა, მერე მორიდებით შეხედა თამარს და უთხრა:

— თუ ელჩი არა ყოფილიყო, ჯერ ენის აღმოკვეთა და შემდეგ თავისა იყო სამართალი მისი, პატრონო ჩეენო!

თამარმა არაფერი უპასუხა ზაქარიას, მხოლოდ წარბების ოდნავ შემართვით გამოხატა უკმაყოფილება. სდუმდა დარბაზი, ხმის ამოლება ვერავის გეებერა.

მეფემ დავით სოსლანსა და ჭყონდიდელს შეხედა. ამირსპასალარი კვლავ ფეხზე იდგა.

— დაბრძანდით, — აღმოხდა მეფეს, და ზაქარიაც სავარძელში ჩაეშვა.

— რუქნადინს ჩვენი სისხლი მოსწყურებია, თანამეცხელრევ!

— სამართალს ხმალი გააჩენს!

— ხმალ-მუზარადის ასხმა მომწყურდა, ცათასწორო! — კვლავ ამეტკველდა ზაქარია.

— მწიგნობართუხუცესის დუმილი რასა ნიშნავს?

— არა ვსდუმეარ, დიდო მეფეო. რუქნადინთან შებმა ადვილად არ მეჩვენების. სეფე ჯარს ვერ ვენდობით, დიდია რუმის სასულთნო, ნახევარ მილიონ ლაშქარსა მოასხამს ჩვენს მოსასპობად.

— მართალია ბრძანებს ვეზირთმავარი. შესაკრებად ნიკოფიიდან დარუბანდამდის ქუდზე კაცი მიბრძანებია, ჭორობისა და მტკვრისა ლაშქარი ჯვახეთს შეკრძეს წყობად და მიგებებად! — ბრძანა მეფემ და დარბაზი დაითხოვა, მხოლოდ ჭყონდიდელს უთხრა, დარჩიო.

— ახლა, მწიგნობართუხუცესო. სულთანს საკაფრისი მიეწეროთ:

„— მე ღვთის ძალას მინდობილმან, წმინდა მარიამ ქალწულის ჰმოსავგმან და პატიოსანი ჯვრის მავეღრებელმან ივერთა მეფე დამართან წარვითხე ღვთის განმარისხებელი შენი წიგნი, რუქნადინო, და გავიგე შენი სიცრუენი, რომელთ მოწამე თვით ღმერთი იყოს. სულთანი მარიამ დინ, გეტუობა ოქროს ბევრთა სიმრავლეს მინდობილხარ, ხოლო მე არც სიმდიდრესა და არცა ჩემი გარის ძალას ვერწმუნვი, მჯერა ძალი ღმერთისა და წმინდა ჯვარისა, რომელიც შენ დაჰგმე. აწ კი მომივლენია მხედრობა ჩემი შენს შესახვედრად.

შეფე საქართველოსი თამარი“.

შეფე დაფიქრდა და მერე ჭყონდიდელს უთხრა:

— კიდევ ერთსა გიბრძანებ: ვიდრე ამერ-იმერთა ლაშქარი გავახეთს არ შეკრბება, მსახურთუხუცესმა ელჩი სასახლეში ამყოფოს, შემდეგ კი დაასაჩუქროს და გაისტუმროს.

* * *

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ლაშქართ შეკრებას ბრძანებსო, მეფე თამარი, ლიხთიმერთა ლაშქარს მეფე დავით სოსლანი უმხედარომთავრებსო, ლიხთამერს—ზაქარია მხარგრძელი. ემცნო ხალხს დავით სოსლანის გეგუთში ჩასვლა. აფრიალდნენ გორგასალის დროშები, აქლერდნენ ხმლები და ჯაჭვის პერანგები, დაიჭირნენ ჯიხეის ძარღვისაგან დაგრეხილი მშვილდისრის ლარები, მოიმართნენ შუბები, გაილესა სათი და დაიჭელნენ ბედაურები.

ბრძოლის ხმაზე ახმიანდნენ სიონისა და მცხეთის, გრემისა და შუამთის, ანანურისა და გელათის, ბიჭვინთისა და ნიკორწმინდის, ხიხანისა და ტბეთის, ბანას და ოპიზას, ოშკისა და ხახულის, იშხნისა და ზარზმის, ბოლნისისა და პარხალის ტაძრების ზარები.

„— მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გვირგვინნი ახოვნებისა, ვიყვნეთ შეუპოვარინი ქრისტეს ჯვრისა და დიდი თამარისათვის“, — ლალადებდნენ ეპისკოპოსები და ამწყალობებდნენ ორი გზით მავალ ქართველთა ლაშქარს.

ტაშისკარით ატარებდნენ ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი და მხედართუფროსი შალვა ახალციხელი გულად კახთა და ჰერთა მებრძოლებს, რომელთ ტოლს არ უდებდნენ მესხთა, ოვსთა და ყივჩალთა რაინდები.

თხელი ნისლი ადგა ბორჯომის ხეობას, დორათ დილამის ოროლითა მღერა აოოცხლებდა მტკვრის ხეობას, მტკვარი კი ზათქითა და გრიალით მიიკვლევდა გზას ტაშისკარისაკენ.

ქაფმორეული ჭოროხიც ბორგავდა და მუქარით ეშვებოდა ლივანის ხევიდან. ოქროსფერ სხივებში გახვეულიყო მოუანგული და გამუქებული

ვეება კლდეები. მღინარის შხუილს უერთდებოდა დიდ გზაზე შემფურარი ლაშერის გუგუნი.

ოქტომბერი და იაგუნწლებით დარაბტულ ცხენზე იჯდა მეფე ქადაგის მთავარი დავით სოსლანი, ომელსაც იარაღალურვილობას პარადისულების მოსასხამი უფარავდა, წოწოლა ქუდზე ბრილიანტის ნიშანი უბრწყინავდა. მახვილი მზერა ჰქონდა დავით.

გეგუთის შემდეგ პეტრას ციხესთან შეჩერებულიყვნენ დავით სოსლანი და ივანე ახალციხელი, კინტრიშის ველზე შეემოშებინათ ლაშერთდენა, დალაძებამდის ართვინამდე უნდა მიეღწიათ. ლივანის აღმართზე მწყიბრად მიღელავდნენ ლაზი და აფხაზი ვაჟკაცები. მშენი რკინასავით შედღებული სპასპეტნი გულბათ ვარდანიძე, ლენტორ დადიანი და აბელ შერვაშიძე მიუძლოდნენ სიმარდით ქებულ აფხაზთა და ლაზთა ლაშერს. ზარივით ჟირიალებდნენ ლაზური და აფხაზური სიმღერები. ფიცხელ ბრძოლებში ქებულნი შავშელ-აჭარელნი წინ მიუძლოდნენ მხედართა გუნდებს. წითელ ტაიშებზე, თავით ფეხებამდე შეაბჯრულიყვნენ ლომქაცები გიორგი დიასამიძე და თორნიკე ბეჟუნიძე. ჩახვეული აჭარა-დანდალოს და ლივანის ხეობების გზა-ველი ეფინებოდა მეომრებს. დღე მიიწურა და გამოჩნდა ფერდობებზე შეფენილი ართვინი. სოკოებივით მოჩანდნენ მიჯრით მიწყობილი სახლები. მაღალი გალავნიდან იხედებოდა ართვინის წმინდა გიორგის საყდარი. მარჯვინი; ცაცხვების ხეივანში, აზიდულიყო ლივანის მფლობელის ვამეუ კვირიხიძის სასახლე. სწორედ აქ ინება დავით სოსლანმა იმ ღამით შესვენება.

— სპა დანაყრდეს და დაისვენოს! — ბრძანებდნენ სპათუფროსები. ორბებივით დაფრინავდნენ დიდთალავნები და წესრიგში მოჰყავდათ ლაშერი.

ზაფხული იყო. გაგანია სიცხეს აგრილებდა ჭოროხისა და ლივანისწყლის ხეობებიდან მონაქროლი ნიავი. ცხენისა და კაცის ტევა არ იყო გზებსა და ჯვარედინებზე. ბაღრი მთვარე დაქათქათებდა გზებსა და ფერდობებზე ნაბდებში მიძინებულ მოლაშერეთ. ლრმა ძილს მისცემდნენ. მხოლოდ გუშაგნი ძილ-ფხიზლობდნენ და დინჯად დაატარებდნენ ცხენებს მდინარეთა შხუილით გაყრუებულ ხეობებში..

ვამეუ კვირიხიძის სასახლეში არ ეძინათ. დაფუსფუსებდნენ მსახურნი: სუფრაზე ოშიგარი ასდიოდა შემწვარ-მოხრაკულებს. უთენია უნდა დავგრათო ლაშერი, აღრე შეწყვიტა პურლენინბა დაღლილმა დავით სოსლანმა და დაიძინა...

ორ დღეში გადალახა ძნელსავალი გზა ლიხთიმერთა ლაშერმა. წინ მიეგებნენ დავით სოსლანს კოლაელნი და ოლთისელნი, მათ უკან ჩარაზ-მულიყვნენ ოშეელი, გაგელი, ფანასკერტელი და ბოძაურელი სპასპეტნი. დავით ობიზარი მხედრობდა ზემო ჭოროხის ხეობის მებრძოლებს.

„ოძრახეში მიიღებს მეფე ამერ-იმერთა ლაშქართ, მხედართმთავრებს. მხედართუფროსებსა და სპასპეტებს“, მოახსენა გიორგი თორელმა, დავით სოსლანს.

შევნოდა გიორგის არწივისებრი მზერა, შევერცხლილი თბა-წვერი და მარცხენა თვალის ქვემოდ ხმალნაიარევი. გოლიათურად იჯდა თეთრ რაშეც ორმოც წელს გადაცილებული, მათრახივით მოქნილი რაინდი და ომახიანი ხმით აძლევდა სპასპეტებს ბრძანებას.

გუგუნებდა ტაოს მიწა ცხენთა ფლოქვებისაგან. ზრიალებდნენ კვირიკე მოძღვრის ხელთნაგები ბანას ტაძრის ზარები.

თამარმა ინება ლოცვა ბანას ტაძარში. მუხლმოდრეული შეოხვდა ღმერთს ქართველთა გამარჯვებას.

— დიდი არს ძალა ღვთისა, გეაჭები ყოვლად ძლიერო, უძლეველჲყავ ხმალი ივერთა! — ღალადებდა მღვდელთმთავარი ზაქარია ბანელი.

ოძრახეში, ციხე-ქალაქის ზემოთ, პანტნოვანის ხევიდან არწივთა გუნდი აფრენილიყო, „კარგად მენიშნაო“ — მოახსენა ზაქარია ბანელმა თამარს და ოძრახეს კოშკში ურჩია, დგომა.

— ორთავ მხრივ ჩამოუდის მაღალსა ციხესა ზეირთმორეული პანტნოვანი და მტერთაგან მიუვალს ხდის ციხეს, დიდო მეფეო!

— მართალსა მოგახსენებთ ეპისკოპოსი! — დასტურჲყვეს დავით სოსლანმა და ზაქარია მხარგრძელმა.

— დარჩეს აზრი ეპისკოპოსისა და ნება მხედართმთავრებისა. დაესხდეთ ბჭობად ოძრახესა შინა. მსტოვარნი ჩქარა მოგვაწვდილნენ მტერთა სამყოფელს! — ბრძანა თამარმა.

* * *

სეფე ლაშქრის მებრძოლნი იცავდნენ ციხის კარჭედილებს. ბუმბერაზ ქმნილებად აზიდულიყო გიუმაჟი მღინარის კლდეზე თეთრი ქვათლილით ნაშენი ციხის გალავანი. ბადრი მთვარე დაქათქათებდა სადაბაზოს. თვალისმომჭრელად ბზინავდა კანკელი. მეორედ ეყივლა მამლებს, მაგრამ მეფისა და მხედართმთავრების ბჭობა არ დამთავრებულიყო.

გვირგვინოსანის გვერდით იჯდა დავით სოსლანი.

საქართველოს კარიბჭესთან, ბასიანის მთების ხეობაში, არაქსის ველზე გადაწყდა მტერთან შებმა.

„ვარსკვლავებივით უთვალავი სჩანსო რუქნადინის ლაშქარი მრავლის კარვებით, ცხენებით, ჯორ-აქლემებით. თვალუწვდენელ ველზე უდარდელი დაბანაკებულიან. სულთან რუქნადინის კარავს ნობათიც არა უდგას, ბილწთა მოდგმა უდარდელად ისვენებსო“ — მოახსენეს დავით სოსლანს მსტოვარ-მზევრავებმა.

ლაშქართდამწყალობება შუალამეზე დაწყებულიყო. იდრევე შეყრილიყვნენ ბანას, ოშეის, ხახულის და პარხალის მღვდელთმთავრები. ორ

ნაკადად მიემართებოდნენ მტერთან შესაბმელად. ლიხთ-იმერქა ფრთას დავითი მხედართმთავრობდა, მარჯვენას — ზაქარია მხარგრძელებული წევავე ბრძოლა ელოდა ქართველთ, ამირსპასალარის გვერდით მეუე თა-მარმა მანდატურთუხუცესი, ბრძოლაში ნაწილობი ჭიაბერიც გამოიწვია.

ფრთხილად ეშვებოდნენ ქართველი მხედრები თორთომის წყლის ნაპირებისაკენ, რომელიც ბასინის მთავრებილზე იღებდა სათავეს. აქე-დან უნდა გადაევლოთ ტყით შემოსილი ბასინის მთა და შემდეგ იწ-ყებოდა არაქსის ველი. ამერთა ლაშქარი ოლთისის გზით გადაივლიდა მთას და იდას გავლით მიადგებოდა ხეობას.

მთის მალალი ქანებიდან დაშვებული არაქსი შხუილით მიიკვლევდა გზას განიერ ტაფობში. ძალიან ახლოს, საისრე მანძილზე მოჩანდნენ ნაძ-ვნარით დაყურსული ზოები ცად აღმართული მწვერვალებით.

ღრმა ძილს მისცემოდნენ ფარმუზარადაყრილნი რუქნადინის მეო-მრები, ორი დღის სავალზე დაბანაკვებული ურიცხვი ლაშქარი. კარვები-თა და ჭორაქლემებით მოფენილიყო თვალუწვდენი ველი.

ტყაანი მოებიდან ნისლი თანდათან ქვევით დაეშვა, არაქსის ველს მო-ედო, ბასინის ხეობაში ჩაწერა და რუქნადინის ლაშქარს ჩაეხვია. აღმოსა-ვლეოს კი ოქროსფერი ზოლი შეეპარა. ცისკიდური ნელ-ნელა იშორებ-და მწუხრის საბურველს, როცა ივერთა მარჯვენა ფრთა არაქსის ველზე გავიდა.

ქლიავისფერ ულაყზე იჯდა ზაქარია მხარგრძელი, ცხენს წაბლისფე-რი ზოლი და ღამესავით შავი ფაფარი გასდევდა გავაზე. რამდენიმე ნაბი-ჭზე ჭიაბერისა და შალვა ახალციხელის ბედაურები მიგელავდნენ. არც მა-რცხენა ფრთას დაუყოვნებია. ნელი, აღვირდაქაჩული სცლით ამოვიდნენ ლიხთიმერნიც ბასინის ფერდობებზე. ბზინავდა სოსლანის ტანსბური, ფარ-ხმალი და მუზარადი. ბუღა კამეჩს გაჰკვეთდა შუაზე მისგან დაყრუ-ლი ხმალი. კი არ ლაპარაკობდა, ბრდლვინავდა.

აი, დადგა ყველაზე საზარი წამი. ბრძოლის დაწყების ნიშნად ჰაერში აიჭრა ფრთიანი ისარი. ხმალშემართულნი და შუბლმოღერებულნი ივერნი დაეშვენენ ფერდობებზე. მტრის ბანაკში სეტყვასავით ცვიონდა ისრები აყვირდა ბუკი, ახმიანდა დაფდაფი. ყვიროდნენ, ხრიალებლნენ, კვნესო-დნენ დაჭრილები.

— ხმალ-მუზარადნი აისხით — აღრიალდა რუქნადინი. ისრები კი წვიმასავით ცრიდნენ. სისხლის მორევში ცურავდნენ გონმოუსვლელი თურქები. მაგრამ იმაჩვევა სულთანმა და მხედართმთავრებს აწვდინა ბრძანება. იარაღი აისხა რიცხემრავალმა, ჭარბმა ძალამ. გაცხარდა ბრძო-ლა. ისარს აღგილი ხმალმა და შუბმა დაუთმო.

ქართველთა უეცარი იერიშის შესაჩერებლად ახალ-ახალი ძალები ჩააბა ბრძოლაში ნაცადმა რუქნადინმა. წათამომართული და შუბმოღერე-

ბული მოედინებოდა მტრის ზღვა ლაშქარი. მაგრამ კლდე გული ჭურჭელი შალვა ახალციხელს. სოლივით, შეიჭრა მისი ლაშქარი მტრის ათწულებული ბში.

— ჰეი ურჯულოს, ხედავ, ცხენისაკენ მომართეს შუბები! — გაჟყვირა ძმას ივანე ახალციხელმა და ელვისებურად მოქნეული ხმლით მომართულა შუბი შუაზე გადაამსხვრია. თურქს ხმლის მოქნევა უნდოდა, მაგრამ ლა-მარ ლაზნელის ხმალმა მკერდი გაუპო და ცხენზე გადმოეკიდა.

ლაზნელი გახელებით იქნევდა დამასკურ ბასრ ხმალს და როცა წამით შეჩერდა, ხმალს დახედა, თითქოს პირს უსინჯავდა.. .და მაშინ გაუელვა გონებაში იმ წუთებმა, როცა ეს ხმალი უსახსოვრეს...

...ოხუთმეტი დღე წვიმდა. ცას ელვის ცეცხლი წითელ ზოლებს ავ-ლებდა, და წამდაუწუმ გვრგვინავდა მეხი. ღვაროთქაფი ღვაროთქაფს მოს-ლევდა, ასხამდა და ასხამდა კოკისპირულად. სახლებს შოლტავდნენ წვი-მის შხეფები, ქროდა მძაფრი ქარი, ლეგა ღრუბლები დაფარფაშობდნენ. ღორღიანი მთებიდან თავაწყვეტით ეშვებოდნენ ნიაღვრები, პატარა ღელ-ებიც მდინარეებად ქცეულიყვნენ და კაცთა ნაამაგარს წალეკვით ემუქრე-ბოდნენ.

წარღვნა იყო, ნამდვილი წარღვნა.

დილით თითქმის ყველაფერი მიწყნარებულიყო. მზემ გამოიხედა და მისი შოლოები ექსოვებოდნენ ყველაფერს. მთის მწვერვალები ჩირალდ-ნებივით აენთნენ.

გამრჯე ყმა-გლეხები აბიბინებულ ყანებს მოედვნენ.

— აგერ ონანო მოდის, გვეტყვის ყველაფერს.

— ონანო, ალბათ, მახარობლად დაწინაურდა, სასახლისაკენ მიაქ-როლებს არაბულს.

— დაიცა, წათეც და თაკვისკარელიც მოალაგებენ ცხენებს.

— ალბათ რაღაც მოხდა დიდუბეში!

— გაიგონე, ტაძრის ზარებიც შემოჰკრეს?!

— ამბობენ, ხორნაბუჭელსა და ლამარ ლაზნელს ადიდებული მტკვრის გაცურვა გადაუწყვეტიათ, მეფე დავით სოსლანთან ივანე ბაკურციხელი მიუგზავნიათ, პატრონმა გაცურვის ნება დაგვრთოსო.

— ჰო, მერე რაღა უთქვაშს სოსლანს?

— მხოლოდ ღამარისათვის მიუცია ნება, ხორნაბუჭელი კი გეგუთს, ლიხთომერს გაუგზავნია.

ამ დროს ონანო დოლისყანელმა ისნის აღმართზე შეაგდო ცხენი და სასახლისაკენ მიაბრუნა.

— ონანო, ვეჟო, არ გვეტყვი რა ამბავია?!

— ასათიძის მალემსრბოლი ვარ, სასახლეში მიმეჩქარება.

წათეს და თაკვისკარელს ყმაწყილებმა წაუსწრეს, ქავთარსა და კო-პალეს გაუსწორდნენ და ლამარ ლაზნელის საქმენი ამცნეს.

— იცი რა, ძია ქავთარ, მთელი თბილისი დიდუბეში ჩამოატავა, ხალხთსიმრავლეს ვერ იტევდა მტკვრის ნაპირი. ადიდებული უმოგებულის შხუილი ყურთასმენას ხშავდა, ტალღები ეხეოქებოდნენ ნაპირს აჭამაქმუშავა ქში შემოჭრას ლამობდნენ. გამოცდილი მეტივებიც ვერ გაბედავდნენ ტივის აშეებას. ამ დროს მობრძანდა ამხელრებული ასათიძე და ბოხი ხმით დაიძახა:

— აბა, ღამარ, ადგილი შეარჩიე!

ზღვა ხალხი ორად გაიყო და გმირს გზა უტია. ღაზნელმა ერთხანს უცქირა მდინარეს, შემდეგ ტანთ გაიხადა, პირჯვარი გადაისახა და იქვე მდგომ ხელებშეკრულ, ტანგახდილ, ავანკალებულ ორაბს მარცხენა ხელი დასტაცა და ილლიაში ამოიღო. არაბი აღრიალდა, მაგრამ ღამარმა მაგრად მოუჭირა წელზე მკლავი და დააჩუმა. ზევით გასცემოდა ღაზნელი მდინარეს, ხე არ დამატავოსო, ვერაფერი დალანდა და უცებ ადგილიდან მოწყდა და თავისი მონით მტკვარში შეცურდა.

— ვინძლო გაუჭირდეს ღაზნელს, სიონთან მეტივენი ჩადგნენ! — ბრძანა გიორგი ასათიძემ და ყმანი აფრინა სიონისაკენ. აბა, ძია ქავთარ, უნდა გენახათ, ცალი ხელით ორვორ ეჭიდებოდა აბობოქრებულ წყალს ღამარი. ერთს მოიქნევდა დევის მკლავსა და შუაზე გააპობდა მოვარდნილ ტალღას. ზოგჯერ დაელლებოდა მარცხენა ხელი და ზურგზე შემოიგდებდა არაბს, კიდევ გაჭვეთდა წყალს, ახლა მკლავს მოუჭირდა მონას, მძლავრ ტალღის ქვეშ შეცურდებოდა, დაიმალებოდა წყალში და დიდხანს არ გამოჩნდებოდა. სძლია მტკვარმა, — იძახდა ხალხი, მაგრამ ღამარი შორს ამოყოფდა თავს. ჩქარა ჩაცხრა შიში, ღამარმა გასცურა მტკვარი, ფეხი დადგა მიწაზე და ხელფეხშეკრული არაბი შლამიან ნაპირზე ისროლა.

— კურთხევა ღამარს, რაინდს კურთხევა! — გუგუნებდა დიდუბე. გიორგი ასათიძემ სასახლეში მახარობლად ონანო აფრინა! — ღასარულა ყმაწვილმა თხრობა და სიხარულისაგან გრძელი წამწამები აახამხამა.

ამ დროს გაისმა ფლოქვების თქარუნი, ლაგმების ჩხარუნი, მათრახთა ტკრციალი და სვებედნიერი შეძახილები, ღიღუბიდან დაძრული მხედრები ისნის ველისაკენ მიეშურებოდნენ. დავით სოსლანისა და შალვა ახალციხელის გამობრძანების ელოდნენ სასახლიდან. თამარს მოხსენდება ღაზნელის რაინდობა და მეფეთ-მეფე ღიღ ჭილდოსაც უბოძებსო, ამბობდნენ ყმები.

ღამარი თავყრილობაზე დააჭილდოვეს.

— კურთხევა მამაც ღამარ ღაზნელს! — დაიძახა მხედართმთავარმა ახალციხელმა.

ღამარი სამიოდე ნაბიჯით მიუახლოვდა ახალციხელის ცხენს და თავი დაბლა დახარა.

— ამირსპასალარს ზაქარია მხარგრძელს მოხსენდება გმირობის ცენტრი. ახლა კი ჩემი მხრივ მიბოჭებია ტაჭი იგი, რომელიც ანისის ათობისა, მისაჩუქრეს სომებთა დიდებულებმა... და აპა კიდევ, რაინდოვანზემომ ბინო ბრძოლებში ნაწილობი.. დამასკური ფოლადია, დამასკური!

შალვამ შემოიხსნა თავისი ხმალი და მთელი სისწრაფით სტუკორცნა რაინდის. ღამარმა ორივე ხელით დაიჭირა, სამჯერ აკოცა, გულში ჩაიკრა, თაყვანი სცა ახალციხელს. ვფიცაო, თქვა მან, მზე თამარს ვფიცავ, ღრმ-სეულად დავიცავ ჩემს ქვეყანასო. ამ დროს ქალთა გუნდს ტურფა სული ვამოეყო. ქალს სიამის ფერი დადებოდა ფაფუკ ლოყაზე, ნაზად იღიმე-ბოდა, ლერწამი ტანი უკრთოდა, ინაზებოდა, დნებოდა და უკელაფერს თვალებით ამბობდა. ქალმა ოქროქსოვილი აბრეშუმის მოსასხამი და ვა-რდთა კონა მიართვა ღამარს. ვაჟი ახლოს მივიდა ქალთან, ღიღის კრა-კოფილებით ჩამოართვა ნაბოძვარი, მადლი მოახსენა, ანთებული თვალე-ბით შეხედა და თითქოს გაიგონა კიდეც ქალის გულიდან ამოხეთქილი ფიცი, — შენი მკლავს სიყვარული. შენი ვარ სიკვდილამდე და არა-დროს კინდომებ ქმრობას სხვისასო...

მოაგონდა ყოველივე ეს ღამარს და სიამის ბალაგი ჩაეღვენთა სულ-ში, მაგრამ უცებ მოფეხიზლდა, ბრძოლა გრძელდებოდა, თავისი ღამასკუ-რი ჰაერში ააელვარა.

— ციხისწვარელო, ცხენი მიაგვარე შალვას, ხედავ რა ღრმად შეიტრა მტრის ალყაში! — დაიყვირა ამირსპასალარმა, მაგრამ სიტყვა არც კი და-ესრულებინა მხედარომთავარს, რომ თურქებს გრიგალივით მიეჭრენ გი-ორგი ასათიძის მოლაშქრენი და ერთიანად მოსრეს.

— კურთხეულ იყვნეს შენგან ნაწოვნი ძუძუნი, ჩემთ გიორგი! — ჩა-ილაპარაკა თავისთვის მხარგრძელმა და ფიცხლავ მოაბრუნა ცხენი სათ-ვალთვალო ადგილისაკენ. მზერას არ აშორებდა მტრის მთავარ ბანაკს. რუქნადინთან შებმას ნატრობდა, მაგრამ სულთანი გაურბოდა ზაქარიას, ნელ-ნელა იხევდა უკან და სპათა ამირას ზაულ ფიქარის მებრძოლთ აბამდა ბრძოლაში... მარჯვედ მოიგერიეს თურქებმა ახალციხელი მხე-დართუთროსების შეტევა. შუბებმა განგმირეს ლორეს სპასპეტი ბევლი ჭაყელი და სეით ფანასკერტელი. ბევრი ტაოელი და ლივანელი დაცუ-ველზე.

გაჭირდა ბრძოლა.

— დიდი არს ალლაპი, იკონია უბლეველი, მოვსრათ გიაურნი! — გა-იძახოდა სულთანი. მან ახლა დასძრა მთავარი ბალი იეერთა წინააღმდეგ.

— იკონის მოლაშქრენილ დარჩა რუქნადინს ბრძოლაში ჩაუბმე-ლი, ამ ლაშქარს თვით რუქნადინი სარდლობსო! — მოახსენებდნენ კო-ლაელი მზერავები დავით სოსლანს.

აწ ჯავახ-ტაოსკარელო დრო არისო, უბრძანა მხედარომთავარის გულბათ ვარდანიძეს და ლენტორ დადიანს. სწორედ ეს უნდოდა ბრძო-

ლამოწყურებულ კოლხთა და აფხაზთა ლაშქარს. გასაოცარი ზოგადობაში... ით ეკვეთნენ მტერს მკლავმარდნი ლიხთიმერნი... და შედრკნენ თურქი. აღრიალდა რუქნადინი და იბულებული გახდა დაეძრა სულიფლიმერული. მაგრამ ბედმა კვლავ უმტყუნა მბრძანებელს. ფიცხელი ბრძოლებისას საჩრდილობელის მტარებლის ცხენს წინა ფეხები ორმოში ჩაუვარდა. სულთანის ცხენი მთელის ძალით დაეჯახა წაქცეულ ცხენ-კაცს და მიწაზე დაენარცხა. ცხენთა ფლოქვებმა გათელეს მარგალიტებით ასხმული ჩინური ტახტსაბური. საშინელი ტკივილი იგრძნო რუქნადინმა მარჯვენა მკერდის არეში, მაგრამ მაინც წამოიჭრა ფეხზე:

— ვფიცავ ალლაპს, განანო მოღალატევ! — დაიყვირა სულთანმა და საჩრდილობლის მტარებელს ხმალი მოუქნია... და სწრაფად ზურგზე მოექცა არაბულს.

ვარდანიძისა და დადიანის ლაშქართ იერიში რკალში აქცევდა სელჭუკთ ბელადს. ამ დროს ყივჩაღნი უტევდნენ სპათა ამირას. კახთა დევკაცებმა მოსრეს ზაულ ფიქარის მეწინავენი, აი, ზაქარია მხარგრძელმა დალანდა ზაულ ფიქარის მოსასხამი და ცხენი მისკენ გააქანა. თურქთა ამირამ შეიცნო ამირსპასალარი და ხმალშემართულმა გამოაჭენა არაბული. მხედართმთავრებმა ჯერ ცხენები შორს ჩაუჭინეს ერთმანეთს, სპათა ამირამ ახლა ახლო შეუტია მხარგრძელს. მაგრამ ამათ იყო ხმლის ქნევა. დევი იყო მხარგრძელი თვალის ხამხამს ასწრებდა მისი მელავის სიმარდე. ზაულ ფიქარმა მარცხენა ხელით შუბი სტკორცნა ამირსპასალარის ცხენს, მაგრამ მხარგრძელმა მმიმე ფარი შეაგება და დამსხვრეული შუბი მიწას დაენარცხა. ახლა მხარგრძელმა ჩაუჭინა ცხენი ფიქარს. ელვისებურად მოუქნია ხმალი, სპათა ამირამ ვეღარ მოასწრო ცხენის შემობრუნება, მძლავრად მოქნეულმა დამასკურმა მარცხენა მკერდამდე უწია, მუზარადი ჩაფრიწა და ზაულ ფიქარი ცხენზე უზანგვებით გადმოეკიდა.

შეთხელდა რუქნადინის გარემოცვა. გულბათ ვარდანიძე ზარს სცემდა ურჯულოთ.

— მხედართმთავრები აღარა გვყავს, გვძლიეს გურჯებმა, ხედავთ მბრძანებელო, როგორ უწყალოდ ცელავს შიშეუვალი სოსლანი ჩვენს სპას, ჩქარა თქვენამდეც მოაღწევს. ვფიცავ ალლაპს, გულწრფელი ვარ თქვენს წინაშე.

— რაებსა რომავ მხდალო ზურუჟ ალინო, სოსლანი ჩემი ხვედრია!

— ვფიცავ ალლაპს, მისგან დაკრული ხმლისაგან სპილო იჩეხება!

— სოსლანი ჩემი ხვედრია! — დაიყვირა გამწარებულმა სულთანმა, შეუბლვირა თავის მხედართუფროსს, განრისხებულმა ხმალი მაღლა შემართა და ცხენი სოსლანისაკენ შემოაბრუნა, მაგრამ ზავთიანი სოსლანის შეხედვამ წელი მოსწყვიტა რუქნადინს, ტანში საშინლად გასცრა, მისდაუნებურად უკან შემოაბრუნა ცხენი და არაქსში შეაგდო.

ერზინკის ამირა ჰავი ჰალაში მიუხვდა სულთანს. გამწარებულმა ამო-
წვდილი ხმალი და ფარი მიწას დაანარცხა, კბილები დაახრჭიალა და უ-
ქნადინს დაედევნა.

— გვძლიერ გიაურებმა, თავს ვუშველოთ. სულთანი და ჰარემის უკან-
ვა გაიქცენ, ზაულ ფიქარი მოკლეს! — ყვიროდა ზარდაცემული სელია.

* * *

ოძრახეს თავზე კვლავ ფრენდნენ არწივნი. ბეჭობზე ამაყად ფრიალე-
ბდა გორგასალის ღროშა. კაცთა სისხლი უონავდა ბასიანის ხევიდან და
წითლად ღებავდა არაქს. გვმებით, მკვდარი ცხენ-აქლემებით დაფარუ-
ლიყო თვალუწვდენელი ველი. ზოგან ყრუ კვნესა და ოხვრა ისმოდა.
ვეება ლოდებივით აზიდულიყო დალეშილ ხმალ-მუზარადთა გროვა.
სისხლიანი არაქსი თითქოს სევდიანი შხუილით მიიკვლევდა გზას ხეობაში.

გულში იხუტებდა ბასიანი დაღუპულ მამულიშვილებს.

ჭრილობები სტკიოდა ბასიანს, ზეფირი თითქოს ეალერსებოდა და
უამებდა ცხელ იარებს.

ამ ღროს ვეძისელი ასული ღამარ ღაზნელის შშვიდობით დაბრუნე-
ბას მუხლმოდრეკილი შესთხოვდა ღვთისმშობლის ხატს სიონის ტაძარში.
ბექავი ღამარი კი მის მიერ განგმირულ სელჭუკთა გროვას ზევით გადა-
სწოლოდა. გაცივებული გოლიათური ხელი ჩავლო შალვასეული ხმლის-
ათვის. პირი ღია დარჩენოდა და ბროლივით თეთრი კბილები უჩანდა. გა-
ნიერ მკერდზე მუზარადი შემოფლეთოდა ივერთა გმირს, მკერდი გადა-
ლელოდა და მარცხნა მხრიდან მოუჩანდა სისხლში გასვრილი ოქრო-
ქსოვილი აბრეშუმის მოსასხამი. ზურგიდან წამოპარვოდა მტერი წყეული
და ბეჭებში ჩაეცა წვეტიანი შუბი. მხოლოდ თვალები, ცისფერი, ღიად
დარჩენილი და გარინდებული თვალები ამბობდნენ: მკვდრად ნუ მიგულ-
ებ, მე ცოცხალი ვარ, ჩემო საყვარელო, მე ივერთა მარადიულ გუშაგად
დავრჩი აქ, ბასიანში!

* * *

რუქნადინმა გაქცევით თავს უშველა, მაგრამ რუმის სასულთნოს
არაერთი მოკავშირე, მათ შორის ერზინკის სულთანიც, ქართველთა ტყვე
აღმოჩნდა. იგი, თავისმა სარდალმა ამხილა.

— ყური მიგდეთ, ბატონებო! ეს ყოვლად უნამუსო კაცია. რუქნადი-
ნმა თამარს მუქარის წიგნი რომ გამოუგზავნა, დამნებდი, მიიღე ჩემი რჩუ-
ლი და ცოლად შეგირთავ, თუ არა ხარჭად წაგიყვანო, ეს ბრიყვი გაი-
ძახოდა, მე კი ხარჭად წამოვიყვან გურჯების სათავეანებელი მეფე თამარ-
ის ყველაზე ახლობელ და ყველაზე ლამაზ ხანუმსო.

— ეს მონა, თავი რომ გადაირჩინოს, ტყუილებს როშავს, — მრისხა-
ნე კილოთი თქვა ერზინკის სულთანმა, — მე მას უდიერი საქციელისა-
თვის სილა გავაწანი და ახლა ეს ლაჩარი ხედავთ რითი მიხდის სამაგიე-
როს!

— ალაპს ვფიცავ, რაც ვთქვი მართალია, და რასაც ახლა ვიტუთ. ისიც სიმართლეა. როცა ბასიანის ქვეყნასა და ვბანაკდით, ამ წერტილში მიბრძანა, მისთვის მიმეგვარა ქართველი ქალწული, რომ ომის მოწინაშე მასთან ნებივრად გაეტარებინა. მე ვუპასუხე: — ქართველები ნამუსიანი და თავმოყვარე ხალხია. გამიგონია, ქალს დიღ პატივს სცემენ და მის შეურაცხოფას არავის აპატიებენ, ერთი ათად გადაუხდიან, როცა ჩვენს საქციელს გაიგებენ, შურისგებით ალივებიან, მრისხანე ძალად მოგვასედებიან და უპირველესად მე და შენ ყელს გამოგვჭრიან-მეთქი. მაშინ სილა გამაწნა, მშიშარა ხარო.

— ენას ამოგშანთავ შე მუდრეგო, — დაიღრიალა სულთანმა.

— ნუ დაგვიწყდება სულთანო, რომ ახლა ორივენი ტყვე ვართ და ჩვენი ძალა აქ აღარ გასჭრის, — ნიშნის მიგებით მიუგო სარდალმა.

ერზინჯის სულთანის თავხედური განზრახვა თამარ მეფეს მოახსენეს და თანაც დასძრნეს, ენაი აღმოუკვეთოთო, ზოგი კი მოითხოვდა აღუღებულ ფისის ქვაბში ჩაეფუფქათ თავხედი თურქი, მაგრამ თამარმა უარი ბრძანა. თავისთან იხმო ვაზირი და რაღაც საიდუმლო გაანდო... ერთი კვირის შემდეგ კი ვაზირს ვიღაც თან მოჰყვა. მეფის სასახლის მსახურებმა იგი უცხოდ შეიცნეს. მონათ ვაჭარია, თქვეს. ვაზირმა იგი იმ დილეგში შეიყვანა, საღაც ერზინჯის სულთანი იყო დამწყვდეული. ვაჭარმა მას მუშტრის თვალით შეხედა და ბოლოს იკითხა:

— რამდენი ოქრო მოგართვათ, ბატონებო?

— მეფეთ მეფე თამარს ვკითხავთ, — მოახსენეს მონათ ვაჭარს... მალე პასუხიც მოუვიდათ.

— ერზინჯის სულთანი ჭორის ნალის ფასად მოგყიდათ დიდებულმა მეფემ, — უთხრეს ვაჭარს.

ვაჭარი ახლა მოეგო გონის, ახლა მიხვდა თუ რად თხოვა თამარის ვეზირმა ჭორის ნალი იქონიე თან, ქართველებს წესად გვაქვს, როცა მეფის სასახლეს დასტოვებს უცხოელი, იქვე ჭორის ნალი უნდა დააგდოსო. ვაჭარმა მადლობა გადაუხადა, გუდანაბაღი იყრა და ამ გარიგებით გახარებული გზას გაუდგა.

თამარმა ვაზირი თავისთან იხმო და უბრძანა: მტკვრის ნაპირას პირუკუ დადგები და ამ ნალს მტკვარში გადაისცრიო.

მარტოდ დარჩენილმა თამარმა დახედა მის ფერხთა წინ დაგდებულ რუქნადინის დროშას, რომელიც ქართველებს დარჩათ. „ბედი შენი ბრიყვო რუქნადინ, თორემ ტყვედ რომ ჩამეგდე, ვირის ნალის დასაჭედი ერთი ლურსმნის ფასად გაგყიდდიო“. ესა თქვა და სულთნის დროშაზე გაიარ-გამოიარა.





କୋଣାର୍କ ଲମ୍ବାଳୀ

ବୀଜମନ୍ତ୍ରିକାନ୍ତରେ

ରନ୍ଧା ଯୁଗ କାହିଁରିନ୍ଦା ଦାଵିଦ୍ରି,
ରନ୍ଧା ଉର୍ଧ୍ଵମୁଖ ଉସିନିକୁଳି କାର୍ତ୍ତି,
ମେ ଗେତୁପାଦିଲା: ଫାଗିଯାନି ମତାଶି?
ଶେବେ ମେତୁପାଦିଲା: ଫାମିଯାନି ରା!
ଗ୍ରାହକାର୍ଯ୍ୟରେ ମତିଲା ଫ୍ରେର୍ଦ୍ରମଦ୍ରିଷ୍ଟ ଅବଲା,
ମାଗରାମ ମାନିବ ସ୍ବର୍ଗାନ ଗ୍ରେଷିକାର୍ଯ୍ୟରେ ଗଠି,
ରା ଗେତୁପାଦିଲା: ଏକିବେଳେ ଫଳଦର୍ଶକ ତ୍ରିଲଙ୍ଘାଶତାନ?
ଶେବେ ମେତୁପାଦିଲା: ଫାମିଯାନି ରା!
ତ୍ରିଲଙ୍ଘା ତୀଳମୂଳିର ଫାର୍ମାଚୀର୍ଗ୍ରେ ହିର୍ମାନତରିକି ଶଲୀଦା,
ମାନିବ ପ୍ରେରାର ପାନ୍ଦ୍ରାବ୍ଦିତ ତ୍ରିଲଙ୍ଘା
ରା ଗେତୁପାଦିଲା: ଫାଗିଯାନି ମିନଦ୍ଵରାଦ?
ଶେବେ ମେତୁପାଦିଲା: ଫାମିଯାନି ରା!
ଗୁରୁତ୍ବ ଫ୍ରେର୍ଦ୍ରମଦ୍ରିଷ୍ଟ ମନ୍ଦିରରେ ଗୁରୁତ୍ବ,
ଗ୍ରୀଷ୍ମକାର୍ଯ୍ୟରେ ରା ପ୍ରେର ଗାନ୍ଧାରାରେ ତ୍ରିଲଙ୍ଘା,
ଗେତୁପାଦିଲା: ଶାକଲମ୍ବି ଫାଗିଯାନି ପୁନର୍ଦା...
— ରାବ?



ორასიო კიროვი

სამი ზერილი...

სენიორ!

გიგზავნით ამ წერილს იმ იმედით, რომ გაირჩებით და რომელიმე უურნალში დაბეჭდავთ ოქვენი გვარით. ვიცი რა ძნელია რისიმე გამოქვეყნება და ამიტომაც მოგმართავთ ამ თხოვნით. ვგრძნობ, რომ ჩემს შთაბეჭდილებებს მამაკაცური სტილი მოუხდება, და თუ ამას იქმთ, მადლობელი დაგრჩებით.

უკვე ხუთი წელია ერთი და იგივე მარშრუტის ტრამვაით ვმგზავრობ დღეში ორჯერ. ხანდახან ამხანაგებთან ერთად ვბრუნდები, მაგრამ დილდილობით მუდამ მარტო მივდივარ. ოცი წლისა ვარ, მაღალი, და გამხდარი სრულიადაც არ მეთქმის. ფართო ტუჩები მაქვს, თები ჩვეულებრივი, შავი, სამაგიეროდ ჩემს თვალებზე ვერ იტყვით, მომცრო თვალებიათ. ადვილად მიმიხვდებით, რომ დიდი ვერაფერი გარეგნობისა ვარ, მაგრამ გავბედავ და განცხავ ბევრ მამაკაცს, მეტსაც ვიტყვი — „ყველას“.

თქვენ, ალბათ, კარგად იცით, რომ არც ერთი მამაკაცი არ შევა ვაგონში, სანამ კარგად არ ჩათვალიერებს ფანჯრებს, საიდანაც მგზავრთა სახეები მოჩანს. და როცა ყველა სახეს ყურადღებით შეხედავს (რა თქმაუნდა, ქალებისას, რალგან სწორედ ისინი აინტერესებს), იგი შედის ვაგონში და ჭდება.

მაშ ასე: უკვე იმავე წამს, როცა მამაკაცი ტროტუარიდან ჩამოდის, ვაგონს უახლოვდება და შიგ იხედება, შეუცდომლად გამოვიცნობ ხოლმე, რა ჭურის ადამიანია იგი — სოლიდური კაცია თუ ერთ-ერთი იმათგანი, რომლებიც ათ სენტავიოანი ბილეთით წუთიერ გამარჯვებასაც ლამობენ. მეყვესულად ვანსხვავებ იმათ, ვინც მხოლოდ იმს ფიქრობს, მოხერხებული ადგილი ვიშოვოთო, და იმათ ვინც ყველაფერს გასწირავს, ოღონდ რომელიმე ქალიშვილთან ერთად იმგზავროს.

და როცა ადგილი ჩემს გვეტდით თავისუფალია, საკმარისია თვალის ერთი გადავლება და უშეცდომლო ვხვდები, ვის უნდა უბრალოდ დაჯდეს თავისუფალ ადგილზე, და ვინ იჩენს გარკვეულ ინტერესს დანარჩენებისა-

დმი (ისინი, კარგად რომ მოეწყობიან, აუცილებლად მოყვებდან // ქალი-
შვილების ჰვრეტას), და ბოლოს, ვინ აღმოჩნდება ყველაზე გამოედავი
(ესენი სულაც არ უყურებენ თავისუფალ ადგილებს და მხრივანულის
ცდილობენ, როგორმე ჩემს გვერდით აღმოჩნდნენ). გამოიყენეთ

ცხადია, ყველაზე საინტერესო ეს უკანასკნელი არიან! ასეთ შემთხ-
ვევაში სხვა ქალიშვილებივით არასოდეს გადავჯდები სხვა ადგილზე; უპ-
რალოდ, ფანჯრისაკენ მივიწევ, რომ საწყალი კაცი მშვიდად იჯდეს.

მშვიდად იჯდესო!.. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჯერ არასოდეს არ
მომხდარა, რომ მეზობელს ექმაროს სკამის ის სამი მეოთხედი, რომელიც
ქალიშვილმა დაუთმო. თავდაპირველად ეს სენიორი ადგილზე ვერ ისვე-
ნებს, თითქოს ნემსებზე ზისო, შემდეგ მას უცებ საოცარი გახევება იპყ-
რობს. ასე გეგონება, დამბლა დაეცაო. მაგრამ ეს მაცლური გახევება!
კარგად თუ დააყვირდებით, შეამჩნევთ, რომ მისი ტანი გასაოცარი სინარ-
ნარით მიიწევს კუთხეში მიყუჟულ ქალიშვილისაკენ. თუმცა (სიმართლეს
ნუ დავუსარგვათ) ბრწყინვალედ ახერხებს ისე მოგაჩვენოს თავი, თითქოს
ლრმა ფიქრშია. იგი ყოველნაირად ცდილობს თავი ისე დაიჭიროს, თით-
ქოს თანამგზავრი სრულიადაც არ აინტერესებდეს.

ასეთები ხართ თქვენ ყველანი; კამაც რომ შეგხედოთ, ეგონება, მსო-
ფლიო პრობლემებს წყვეტენ. ამასობაში თქვენი მარჯვენა (ან მარცხე-
ნა) ფეხი ოდნავ შესამჩნევად მიიწევს მიზნისაკენ.

ჩემთვის ძნელი არ არის გამოვიცნო მეზობლის თვისებები. მე უკვე
ვიცი ვინ არის ის: მორიდებული ყმაშვილი კაცი თუ ტუტუცი ვინმე, სო-
ლიდური რეციდივისტი თუ პატარა გაიძვერა, გამოცდილი ქალების მუ-
სუსი თუ ახალგედა.

ერთი შეხედვით გეგონება, რომ სპექტაკლში მხოლოდ ერთი მსახიო-
ბი მონაწილეობს და ვერავინ ამჩნევს, თუ რა სიფრთხილით ამოძრავებს
იგი ფეხს, ამავე ღროს სულ სხვა სახის გამომეტყველება აქვს. მაგრამ ეს
ასე არა! და ყველა ქალიშვილი შეამჩნევს ამას. ყველა ჩვენთაგანს შეუძ-
ლია თავი კარგად დაიცვას. მაგრამ უპირატესად ჩემი მეზობლები თავიან-
თი ქცევით ჯიბის ქურდები გეგონებათ, განსაკუთრებით თუ ისინი ახალ-
გაზრდები ან ცუდად ჩაცმულნი არიან.

მათი ტაქტიკა უცვლელია. უპირველეს ყოვლისა — უეცარი გახევება
და არაჩვეულებრივად ფიქრიანი გამომეტყველება. შემდეგ მეყვსეული
გამოხედვა ჩემსკენ, რათა განსაზღვროს რა მანძილია ჩვენს შორის. როცა
კოორდინატები დადგენილია, იწყება შეტევა.

მე მონია, ძნელია მოინახოს უფრო თავშესაქცევი გასართობი, ვიდ-
რე უყურებდე ფეხის რთულ მანევრებს, რომელიც შეუცდომლად მისრი-
ალებს მიზნისაკენ. თქვენ სასაცილო ხართ აგრეთვე სხვა ბევრ შემთხვე-
ვაშიც. მაგრამ აბა წარმოიდგინეთ როგორ ჩანს გარედან ორმოცდათხი

ზომის ფეხსაცმლების თამაში, და მათი პატრონის გახევებული ზემდებარებული უნდა, მოძალებული ემოციებისაგან) სადღაც ჭერს რომ მიქმედებული და თქვენ მიხვდებით რა შეუდარებელი და სასაცილო სანახაობაზე და გენერაციაზე.

არ გეგონოთ რომ ამით დავამთავრე! ახლა აგიხსნით რა ხდება შემდეგ.

როგორც კი ჩემი მეზობელი ზუსტად განსაზღვრავს მანძილს, რომელიც ფეხმა უნდა გაიაროს, იგი უკვე დაბლა აღარ იყურება. რაღად უნდა რისკი გასწიოს, როცა ყველაფერი გამოანგარიშებული აქვს. ამასთან (რასაც თქვენ კარგად მიმიხვდებით) მთელი სიამოვნება ხომ შეხებაა და არა დანახვა.

და როცა პატივცემული სენიორი უკვე შუა გზაზეა, მეც იმავე მანევრს მივმართავ, მასაც ითვალისწინებული და არაფრისმთქმელი გამომეტყველებით. მაგრამ მე ფეხს მისგან არც ისე შორს ვწევ: ათი სანტიმეტრი სავსებით საკმარისია.

ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მეზობლის გაოცება, რომელმაც მიზანს მიაღწია, მაგრამ იქ ვერაფერი აღმოაჩინა, ვერაფერი! მისი ორმოცდაოთხე ზომის ფეხსაცმელები მარტობაში არიან, დამშუბრებული. ეს უკვე ნამეტანია! სწრაფი დახედვა დაბლა, შემდეგ ჩემსკენ. მე კი ვზივარ და თითქოს არაფერიაო, ფანჯრიდან ვიყურები, ფიქრებს წავულივარ სადღაც ცხრა მთას იქით. ჩემი მეზობელი მაინც ვყველაფერს ხვდება. ჩვიდმეტიდან თხუთმეტ შემთხვევაში (ამ რიცხვს გამოცდილებით, ზუსტად ვასახელებ) გაშილებული სენიორი ფარხმალს ყრიდა. ორჯერ ისინი გამაფრთხილებელი მზერით შევაჩერე. არაა საჭირო, რომ ეს მზერა ბრძანებას, აღშფოთებას ან ზიზღს გამოხატავდეს. საკმარისია თავხედისაკენ თავის ოდნავი მობრუნება, მისკენ გახედვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეხედო მას. ხომ შეიძლება ეს ყმაშვილი კაცი მართლაც მოგეწონოს. წვრილ გაიძვერაში ხანდახან საშიში ქურდი იმალება, და ეს მარტო დიდი ბანკების მოლარებმა კი არა, ქალიშვილებმაც იციან, რომლებიც თქვენი მორჩილი მონასავით არც ისე გამხდრები არიან, ოდნავ ფართო ტუჩები, შავი თმები და დიდრონი თვალები აქვთ.

მ. რ.

სენიორიტა!

დიდი მაღლობელი ვარ, რომ ამოდენა სიამოვნება მომანიჭეთ. თქვენს თხოვნას შევასრულებ და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ეს მშვენიერი შენიშვნები ჩემი გვარით რომელიმე უურნალში დავბეჭდო. მაგრამ როვორც მომავალი სტატიის თანავატორმა, უნდა შეგვეკითხოთ:

ნუთუ იმ ჩვიდმეტი კონკრეტული შემთხვევის გარდა, რომელიც
თქვენ აღნიშნეთ, არ განგიცდიათ რაღაც სიმპათიის მსგავსი თქვენი ახა-
მგზავრისადმი, მაღალი იყო იგი თუ დაბალი, ქერა თუ წაბლისფრთხოების
ქანი თუ გამხდარი? ნუთუ არასოდეს გიგრძვნიათ თუნდაც წაშმეჭიდოდეთ
რაჯება, რომელიც გაიძულებდათ უცებ არ გაგეწიათ ფეხი?

ი ყველაფერი ის, რის ცოდნაც მწყუროდა.

ო. კ.

სენიორ!

გულახდილად გეტყვით, მხოლოდ ერთხელ, ჩემს ცხოვრებაში, ეთხელ
ვიგრძენი ის აფორიაქება, რომელსაც თქვენ ამბობთ, და მივხვდი, რომ არ
მინდოდა განზე გავწეულიყავი. ეს თქვენი ბრალი იყო. მაგრამ თქვენ არც
კი გიცდიათ ამით გესარგებლათ.

თარგმნა პ. მაჟუტაპებ.



3.0. ლ. ენინი

100,

საქართველო
კულტურული
მუზეუმის
გამოცემა

აღმასრულებელი გოგონიძე

აღზრდა ულიანოვების ოჯახში

ყველა ძვირფასი თვისება, რო-
მელიც ვ. ი. ლენინს ამკობდა, მან
პირველ ყოვლისა მჯახში შეიძინა.
ამიტომ საინტერესოა, ვიცოდეთ,
როგორ ზრდილნენ თავიანთ ბავშ-
ვებს ილია ნიკოლოზის ძე და მა-
რია ალექსანდრეს ასული ულია-
ნოვები.

ვ. ი. ლენინის მშობლები თავის
დროის პროგრესული ადამიანები
იყვნენ. მამამ — ილია ნიკოლო-
ზის ძემ, ასტრახანელი ღარიბი მე-
დაბურის შთამომავალმა, ბავშო-
ბიდანვე განიცადა ის სიძნელეები,
რომლებთანაც დაკავშირებული
იყო განათლების მიღება ხალხი-
დან გამოსულისათვის. შეუპოვა-
რი შრომისა და დიდი ნიჭის მეო-
ხებით, უამრავი დაბრკოლების
გადასახვით მან შესძლო ყაზანის
უნივერსიტეტის დამთავრება. შე-
ძლევ მათემატიკასა და ფიზიკას
ასწავლიდა საშუალო სასწავლე-
ბელში. 1869 წლიდან იგი სიმ-
ბირსკის გუბერნიის სახალხო სა-
სწავლებლების ინსპექტორად, ხო-
ლო შეძლევ დირექტორად მუშა-

ობდა. მას, სახალხო განათლების
ენთუზიასტს, მოწოდებით პედა-
გოგს, გატაცებით უყვარდა თავი-
სი საქმე, რომელსაც იხმარდა
მთელ თავის ძალასა და ცოდნას.

ლენინის დედა — მარიამ ალექ-
სანდრეს ასული (ბლანკი) ექიმის
ქალიშვილი იყო. იგი აღიზარდა
სოფელში, სადაც მხოლოდ საო-
ჯახო განათლება მიიღო. სახსრე-
ბის უქონლობამ (მამამისს დიდი
ოჯახი ჰყავდა) მარიამს საშუალება
არ მისცა სწავლა განეგრძო. ამაზე
იგი ყოველთვის წუხდა. მაგრამ ის
დაჯილდოვებული იყო დიდი ნი-
ჭით და დაეუფლა სამ უცხო ენას,
კარგად იცოდა რუსული და მსო-
ფლიონ ლიტერატურა. ბევრს კი-
თხულობდა. უყვარდა მუსიკა და
კარგად უკრავდა რიიალზე. უფ-
რო გვიან მარია ალექსანდრეს
ასული დამოუკიდებლად მოემზა-
და და ექსტერნად ჩააბარა გა-
მოცდები დაწყებითი სკოლის მას-
წავლებლის წოდების მისაღებად.

ულიანოვების ოჯახში მუდამ
თანხმობა და სიყვარული სუფე-

და. ილია ნიკოლოზის ძე სანიმუშო მეოჯახე კაცი იყო, ძალიან უყვარდა ცოლ-შვილი. შვილებზე დიდ გავლენას ახდენდა მშობლების პირადი მაგალითი. ილია ნიკოლოზის ძე მთელ ძალონებს ახმარდა სახალხო განათლების საქმეს, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას, მას სიხარულს გვრიდა ყოველი ახალი სასოფლო სკოლის გახსნა. მამის ცხოვრებას, მის უნარს, მთელი ძალები მოეხმარებინა საუკარელი საქმისათვის, უბრალო აღამიანებისადმი გულისხმიერ დამკიდებულებას, ყველაფერში თავმდაბლობას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა პქონდა ბავშვებისათვის და მათაც იგი მეტისმეტად უყვარდათ.

შვილების აღზრდისას ილია ნიკოლოზის ძე გამოდიოდა ნ. ა. დობროლიუბოვის პედაგოგიური შეხედულებებიდან — მათში აყალიბებდა მტკიცე ნებისყოფას, ავითარებდა ცოდნისაკენ მისწრაფებას, ასწავლიდა ცხოვრების გაგებას, ზრდიდა მათში გულწრფელობასა და აღალმართლობას.

ილია ნიკოლოზის ძეს ახარებდა თავისი შვილების მყარი წარმატებები სკოლაში და ცდილოდა მათ წახალისებას. მთელ თავისუფალ დროს ილია ნიკოლოზის ძე ოჯახს ახმარდა. მასთან ბავშვები თავისუფლად გრძნობდნენ თავს; მამა არასოდეს არ გაურბოდა მათ კითხვებს, ყურადღებით და მარტივად უხსნიდა

გაუგებარ საკითხებს. იგი კუმმებიბლავი და მხიარული რობელი. ხშირად თუმცა ბავშვებთან. განდაოროვნება

იშვიათი აღმზრდელობითი ნიჭი პქონდა მარიამ ალექსანდრეს ასულს. იგი იყო ალერსიანი, მშვიდი, ფაქიზი, ორგანიზებული, მომჭირნე, თავმდაბალი ადამიანი და მან შეძლო ყველა ეს თვისება შვილებისათვის გადაეცა. გარეგნულად ნაზი მარია ალექსანდრეს ასული მეტად მხნე, თავდაღებული და მტკიცე აღამიანი იყო, რაც მრავალგზის გამოვლინდა უმძიმესი განსაცდელის წლებში, რომელიც შემდგომ წილად ხვდა ულიანოვების ოჯახს.

ოჯახური გარემო და აღზრდის პირობები ხელსაყრელი იყო ბავშვების გონიერისა და ხასიათის განვითარებისათვის. მშობლები არათუ არ ახშობდნენ, არამედ ახალისებდნენ კიდეც შვილების ბუნებრივ სიმკვირცელესა და სიცელეეს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ ბავშვების გონიერივ აღზრდას. ოჯახში წიგნს დიდ პატივს სცემდნენ. ილია ნიკოლოზის ძე და მარია ალექსანდრეს ასული ტაქტით, უნარიანად წარმართავდნენ ბავშვთა კითხვას. ულიანოვების სახლ-მუზეუმში ინახება საოჯახო ბიბლიოთეკის წიგნების სია, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ შესანიშნავი ოჯახის წიგნადი ფონდის შინაარსსა და შედგენილობაზე. პირველი აღგილი ეჭირა ლიტერატურას პედა-

გოგიაში, ფიზიკაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში; მეორე — სპეციალურ განყოფილებაში განლაგებული იყო საბავშვო წიგნები: სახელმძღვანელოები, ბერიოდული გამოცემები, ბელეტრისტიკა და სხვა. უველაზე მდიდარ განყოფილებას წარმოადგენდა ჩუსი და საზღვარგარეთელი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები.

პედაგოგიკის განყოფილებაში იყო კ. დ. უშინესის წიგნები: „ადამიანი როგორც აღზრდის საგანი“, „როდნოე სლოვო“, „სახელმძღვანელო როდნოე სლოვოს სწავლებისათვის“, „ბავშვთა სამყარო“ და სხვა; ნ. ა. კორფის „რუსული დაწყებითი სკოლა“, „ჩვენი მეგობარი“, პ. მ. პერევლესის „საგნობრივი გაკვეთილები პესტალოცის აზრების მიხედვით“, ფ. დიტესის „პრაქტიკული პედაგოგიკის ნარკვევები“, ი. ა. კომენსკის „დიდი დიდაგტიკა“, ნ. ი. პიროვის „რჩეული ლიტერატურულ-პედაგოგიური სტატიები“. აქვე იყო იგრ იგრეთვე ვ. ი. ვოდოვოზოვის, დ. დ. სემიონოვის, ნ. ფ. ბუნაკოვის, ლ. ნ. მოძალევსკის, დ. ი. ტიხომიროვის, კ. ვ. ელნიცკის, პ. ფ. კაპტერევის, ა. ი. გერდის, ს. ი. მიროპლასკის, ი. ი. პაულსონის და სხვათა ნაშრომები.

ულიანოვებს საოჯახო ბიბლიოთეკისათვის გამოწერილი ჰქონდათ იმ დროის საუკეთესო პედაგოგიური უურნალები: „მასწავლებელი“, „ოჯახი და სკოლა“, „სახალხო სკოლა“, „აღზრდა და

სწავლება“, „პედაგოგიური ქონივა“ და სხვა.

ილია ნიკოლოზის ქურულებული მათემატიკოს - ბუნებისმეტყველების სისტემატურად აღევნებდა თვალყურს ზუსტი მეცნიერების განვითარებას, მას ბევრი საუკეთესო გამოცემა მოსდიოდა ფიზიკას, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში; იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ბავშვების აღჭურვას მათემატიკის ცოდნით, უღვივებდა ინტერესს ამ მეცნიერებისადღმი და სპეციალურად მუშაობდა მათთან. როგორც ანა ილიას ასული იგონებს, მამა უხსნიდა მათ გაკვეთილებს ფიზიკასა და მათემატიკაში, ხოლო თანამედროვე უცხო ენებში კი დედა ეხმარებოდა. ილია ნიკოლოზის ძე ხშირად აწყობდა ოჯახში ცდებს ფიზიკაში, აჩვენებდა ბავშვებს თვალსაჩინო ხელსაწყოებს. ცხადია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვების განვითარებისა და გარესამყაროს შეცნობისათვის; მითუმეტეს, რომ იმ პერიოდში გიმნაზიებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი შევიწროებული იყო.

მამის ზრუნვას ამაოდ არ ჩაუკლია, ბავშვები მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს კარგად უუფლებოდნენ, ამასთან უმუშავდებოდათ მატერიალისტური შეხედულება სამყაროშე. ვლადიმერ ილიას ძე დიდ წარმატებას იჩენდა მათემატიკაში, ამას ადასტურებს გ. ნ. შებუევი, რომელიც იმ დროს ყაზანის უნივერ-

სიტეტში ასწავლიდა. საბუნების-
მეტყველო მეცნიერებაში კი გან-
საკუთრებით გამოიჩინდა ალექ-
სანდრე — ლენინის უფროსი ძმა.
ასევე იტაცებდა ეს მეცნიერება
ოლგასა და ღიმიტრის. ალექსან-
დრე ბრწყინვალედ სწავლობდა
პეტერბურგის უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო ფაკულტეტ-
ზე. მისი გამოკვლევა ბიოლოგია-
სა და ქიმიაში გამოჩენილ მეცნი-
ერთა ყურადღებას იქცევდა. მე-
სამე კურსზე მის მიერ შესრულე-
ბულ ერთ-ერთ შრომას ზოოლო-
გიაში ოქროს მედალი მიეკუთვნა.
ლენინის უმცროსი ძმა ღიმიტრი
ბოლომდე გაყვა ამ მეცნიერებას
და იგი ექიმი გახდა.

ულიანოვები ყველაზე დიდ
სიყვარულს და ინტერესს მშობ-
ლიური ენისა და ლიტერატური-
სადმი იჩენდნენ. ილია ნიკოლო-
ზის ძე დიდ მნიშვნელობას ანი-
ჭებდა გრამატიკას, როგორც ენის
ლოგიკას, და ილაშქრებდა ენის
გრამატიკული ფორმების სწავ-
ლებისადმი დაუდევარი დამოკი-
დებულების წინააღმდეგ. მას ბავ-
შვები გრამატიკული წესების
გაგებამდე მიყავდა თანაათანო-
ბით, სისტემატური ვარგიშით.
მშობლიური ენის გრამატიკაში
მათ დიდ დახმარებას უწევდა აგ-
რეთვე მარია ალექსანდრეს ასუ-
ლი.

იმისათვის, რომ ბავშვებს გაე-
გოთ რუსული ენის სიმშვენიერე,
მშობლები ყურადღებას ამახვი-
ლებდნენ ხალხური პოეზიისა და
მხატვრული ლიტერატურის შე-

დევრებზე. გამოჩენილი // ზუს
მწერლებისა და პოეტების ხარა-
მოებებს ულიანოვებჲის მარცხენა
12-15 წლის ასაკში გაეცემო. „შა-
მამ აღრე მოგვცა ჩვენ ხელთ ასე-
თი წიგნები, — გადმოგვცემს ანა
ილიას ასული, — და მე ვფიქრობ,
რომ ასეთმა აღრეულმა კითხვამ
ძლიერ გააფართოვა ჩვენი პორი-
ზონტი და აღზარდა ჩვენში ლი-
ტერატურული გემოვნება; მიმზი-
დველობა დაკარგა სხვადასხვა
უხამსმა რომანებმა, რომლებსაც
ჩვენი თანაკლასელები ეტანებო-
დნენ“.

ოჯახში ხმამაღლა კითხულობდ-
ნენ ა. პუშკინს, ნეკრასოვს,
თვით ილია ნიკოლოზის ძე ექტე-
და პუშკინის ლექსების დეკლამა-
ციას. ნეკრასოვის ლექსებიდან
მას განსაკუთრებით უყვარდა
„პოეტი და მოქალაქე“. რა თქმა
უნდა, ოჯახში დიდ პატივს სცემ-
დნენ აგრეთვე დასავლეთ ევრო-
პის კლასიკოსებს: გოეთეს, ში-
ლერს, ჰაინეს, ჰიუგოს. ანა ილიას
ასულს უთარგმნია ჰაინეს ლექსე-
ბი რუსულ ენაზე. ბავშვები ინტე-
რესით კითხულობდნენ პერიო-
დულ გამოცემებსაც. ამასთან
ოჯახში დაუარსებიათ ხელნაწერი
უჭრნალი „სუბოტნიკი“. მისი რე-
დაქტორი იყო ალექსანდრე, ლი-
ტერატურული კრიტიკოსი ანა,
უცვლელი და დაუღალავი თანა-
მშრომელი — ვლადიმერი.

ბავშვების მსოფლმხედველო-
ბის ჩამოყალიბებაში ცენტრალუ-
რი აღვილი ეჭირა რუსი რევო-
ლუციონერ-დემოკრატების — ბე-

ლინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის წიგნებს. მათ ნაწარმოებებს ვალოდია პირველად უფროსი დისა და მმისაგან გაეცნო. იგი მკვირცხლი, ჯანსაღი, ხალისიანი ბაგშვი, გარეგნობით ძალიან გავდა მამას, მისგან მიიღო მემკვიდრეობით მხიარული, გულლია ხასიათი. ცნობის-მოყვარე ვალოდიამ ხუთი წლის ასაკში ისწავლა კითხვა და დიდი ხნით უჭდა ხოლმე წიგნებს. 15-16 წლის ასაკში მან წაიკითხა ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაჟეთოთ“, რომელმაც მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. 1885 წელს ალექსანდრემ პეტერბურგიდან ჩამოიტანა კარლ მარქსის „კაპიტალი“. ლენინი ძალიან დაინტერესებულა ამ წიგნით და გიმნაზისტ მ. ვ. კუზნეცოვთან ერთად უდია, გერმანულიდან რუსულ ენაზე ეთარგმნა „კაპიტალის“ პირველი ტომი.

ოჯახში ბავშვები ადრეული ასაკიდან ჩაებნენ საზოგადოებრივ ინტერესთა ფართო წრეში. ისინი უსმენდნენ უფროსების ლაპარაკს. მშობლები დიდი პატივის-ცემით ეკიდებოდნენ ბავშვებს, ლაპარაკობდნენ მათთან, როგორც დიდებთან, არასდროს არ აუშევდნენ ხმას. ასეთი სიყვარული, პატივისცემა, სიიშო საპასუხო გამოძახილს პოულობდა შვილების ღრმა გრძნობებში.

მევობრული, გულითადი ატმოსფერო ოჯახში ანდამატივით იზი-

დავდა ყველას ერთ მართან ა-ლოს იყო. მშობლები და და და და და ზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას: დედა შესანიშნავად უქრავდა როიალზე, მამა ყოველთვის პირველი იყო სიმღერის წამოწყებაში. ბაგშვებს დიდ სიმოვნების გვრიდა ოჯახში ჩაის დალევა ჰაერზე, ფანქატურში.

ვალოდია ბავშვების თამაშობა-გართობის დაუცხრომელი წამომწყები იყო. როგორც ნათესავების მოგონებებიდან ჩანს, იგი ძალიან სამართლიანი ყოფილა თამაშის დროს, ვერ იტანდა ჩხუბსა და აყალმაყალს, ადრე შეითვისა დი-სციპლინა და ორგანიზებულობა: ყოველ დილით შვიდ საათზე იგი წამოხტებოდა ლოგინიდან, შეხ-სენების გარეშე, დაიბანდა ხელპირს, ცივი წყლით დაიზელდა ტანს წელს ზევით, შემდეგ კი დაალაგებდა თავის ლოგინს. სა-უზმეშდე ყოველთვის ასწრებდა გაკვეთილების განმეორებას და ცხრის ნახევარზე გიმნაზიაში იყო, თუმცა იქ მისვლამდე რამდენიმე კვარტალი უნდა გაევლო. ასე ბედებოდა ყოველდღე. გიმნაზიაში მკაფიოდ გამოვლინდა ვალო-დიას ნიჭი და შრომისმოყვა-რება, იგი პირველი მოწა-ვე იყო, კლასიდან კლასში ჭილდოებით გადადიოდა და თავის თანაკურსელთა შორის მან გიმნაზია ერთადერთმა დაამთავრა აქროს მედალზე. ფიზიულტურა და სპორტი ყოველთვის იტაცებ-და ვალოდიას, იგი იყო კარგი მო-

ცურავე, მოციგურავე და მოჭად-
რაკე.

ულიანოვები დიდ ყურადღე-
ბას უთმობდნენ ბავშვთა შრომით
აღზრდას. სულ ადრე ასაკიდან აჩ-
ვევდნენ მათ თვითმომასახურებას,
უფროსებზე დახმარებას; გოვო-
ნები თვალყურს ადევნებდნენ
იმას, რომ მათ და ვაჟებსაც ტან-
საცმელი მუდამ წესრიგში ჰქონ-
დათ. სახლის ახლოს იყო პატარა
ბაღი, რომელსაც სიყვარულით
უვლიდა დედა, მას ყველა ბავშვი
ეხმარებოდა. ზაფხულობით ბავშ-
ვებს ევალებოდათ წყლით იეპ-
სოთ ორი დიდი კასრი. ზოგი
წყალს ტუმბავდა, ზოგსაც მიჰქო-
ნდა ვედროებით, სარწყავებითა
და დოქებით. მუშაობდნენ მხია-
რულად, ერთსულოვნად.

ილია ნიკოლოზის ძემ ვაჟებს
ასწავლა ხის გამოხერხვა ლობზი-
კით. ალექსანდრეს გამოუხერხავს
პურის საჭრელი ფიცარი, დაფის
კოჭი და საჩუქრად მიურთმევია
დედისათვის. ეს საჩუქრები ეხ-
ლაც ძნახება სახლ-მუზეუმში. ვა-
ლოდია ხშირად ფარდულში თა-
ვისთვის რაღაცას აკეთებდა. მან
ურნალ „დეტსკო ჩტენიეში“ გა-
მოქვეყნებული ნახაზის მიხედვით
გააქეთა ჭოჭინა, მასვე დაუმზა-
დებია პატარა ნავები და უჩუქე-
ბია მეზობლის ბავშვებისათვის.

ულიანოვების ოჯახში აღზრდის
საღი პედაგოგიური საფუძვლების
ერთგვარი უკუფენაა ალექსანდრე
ულიანოვის ოხზულება „რა მო-

ეთხოვება ადამიანს, რომ სასარგე-
ბლო იყოს საზოგადოების შეუძლებელი
ხელმწიფოსათვის“. ამ როულ კი-
თხვეს 15-16 წლის ვიმნაზიელმა
საგულისხმო პასუხი გასცა. ადა-
მიანს სასარგებლო მოღვაწეობი-
სათვის ესაჭიროება: 1. პატიოსნე-
ბა, 2. შრომის სიყვარული, 3. ხა-
სიათის სიმტკიცე, 4. ჭიუა, 5. ცო-
დნა.

ულიანოვების ოჯახის მთელი
წყობა იყო ღრმად დემოკრატიუ-
ლი; ბავშვები იზრდებოდნენ
მშრომელი ხალხისაღმი თანა-
გრძნობის სულისკვეთებით, ოჯახ-
ში ტრადიციად იქცა ერთად გა-
სეირნება ქალაქის გარეუბნებში,
რომ უფრო ახლოს გასცნობოდ-
ნენ ხალხის ცხოვრებას, ღრმად
ჩეხებდათ რეალურ სინამდვილე-
ში. ამას დიდი კეთილისმყოფელი
გავლენა ჰქონდა ულიანოვების
ბავშვებში რევოლუციური შეხე-
დულებების ჩამოყალიბებაზე. და
მართლაც ყველა მათგანი რევო-
ლუციონერი გახდა. უსამართლო-
ბის წინააღმდეგ შეუდრეველი მე-
ბრძოლი იყო ალექსანდრე, რო-
მელიც მეფის მთავრობამ სიკვდი-
ლით დასახა. ძმების შესახებ
დამ — ანა ულიანოვა-ელიზარო-
ვამ ამაღელვებლად თქვა: „ალექ-
სანდრე ილიას ძე დაიღუპა რო-
გორც გმირი. მისმა სისხლმა რე-
ვოლუციური ხანძრის შუქით გაა-
ცისკროვნა მის კვალდაკვალ მი-
მავალი გმირის — ვალოდიას გზა“.



სოსებ მაგრალიძი

პ ა რ ი ს მ ა ზ ო ბ ლ ე ბ ი

ერთბაშად აზიდულ მესხეთ-კავახეთის მთებს, მოლივლივე შევი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირსა და კოლხეთის დაბლობის მარადმწვანე ველებს შორის მოთავსებული აჭარა ერთი ულამაზესი კუთხეთაგანია კავკასიაში. მისი მწვანე კონცხი ნამდვილი წალკოტია. ბათუმი ბუნებრივი ნავსადგურით, ქვემო აჭარა კახაბრისა და ქობულეთის დაბლობებით, ციტრუსებითა და აგარაკებით, ზემო აჭარაც ნოყერი საყანეებით, ნარევი ტყეებითა და სუბალპური საძოვრებით იმდენად მდიდარია, რომ მას ამ მხრივ ბევრი მხარე ვერ შეეძრება.

ამიტომაც მისკენ ისწრაფოდა მუდამ სრულიად სხვადასხვა ხალხი.

უდიდესმა კავკასიონლოგმა ნიკო მარმა აჭარას კავკასიის ხალხების ურთიერთობათა კვანძთაგანი უწოდა.

აჭარლები სხვა ქართველ ტომებთან ერთად მუდამ გმირუ-

ლად იცავდნენ დედასამშობლოს მთლიანობას, თავიანთი წვლილი შექვენდათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

„უწარჩინებულესი მამანი, — ლაპარაკობს ილია ჭავჭავაძე, — საღმოთ-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ,“¹ — იმისი, რომელშიც აჭარა შედიოდა (1877 წ.).

6. მარი აღნიშნავს: — „მდინარე ჭოროხის უზში და არა რიონზე, მოსახლეობდა, როგორც სჩანს, ტომი, რომელმაც შექმნა ძველი კოლხიდა“, — მხარე კულტურისა და სახელგანთქმული მითოლოგით, რომელიც უკროპას ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა გააცნეს.²

1. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 11.

2. წერილთა კრებული „ნიკო მარი, ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიქაშვილი. სამამალიან საქართველო“, თბ., 1915. გვ. 5.

საერთაშორისო ვითარებამ მოსწყვიტა აჭარა დედასამშობლოს არცთუ ისე მცირე ხნით. „საქართველოს ის ნაწილი მედგრად იბრძოდა ჩვენი სარწმუნოების, განათლების, ერთმთავრობის დადგინდებისათვის“...

ამ ბრძოლაში მას განუწყვეტლივ გვერდში ედგნენ დედასამშობლოს მკვიდრნი. მე-17 საუკუნიდან 1878 წლამდე ოსმალეთს უკირავს „ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, ერუშეთი, ლივანი (ძველი ლივანი) და ჭანეთი, ანუ ლაზისტანი. ეს ნაწილები ამ უამაღ ერთ სანჯახს შეადგენენ და ჰქვიან ლაზისტანის სანჯახი“.³

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი მძიმე, ძალიან მძიმე იყო, ხსნებული მოსახლეობისათვის. „საცოდაობა, — წერს 1877 წლის № 2 „ივერია“, — აჭარას და ქობულეთს მიადგა ომის გამო. აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუვვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გადახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წაღება თან არ შეიძლებოდა. უხვნელ-უთესავად დარჩომა, ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა — ესენი სულ იმისთანა თვისების უბედურებაა, რომელიც დიდ-ხანს გაჰქვევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი“...

რუსეთ-თურქეთის ომში თურ-

ქების დამარცხების  გად აჭარა კვლავ დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა. შემდგომმა საერთაშორისო ვითარებამ აჭარის საგრძნობი ნაწილი მოსახლეობითურთ ისევ წინანდელ მდგომარეობაში მოაქცია.

სამასი წლის წინათ დაწყებულმა აჭარლების ძალდატანებით გამაპმადიანების პროცესმა, რომელიც არსებითად მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დასრულდა, ამ ტომის აღრინდელი რელიგია შეცვალა, მაგრამ აჭარლებმა შეინარჩუნეს ქართული დედაენა, ეროვნული თვითშეენება და მებრძოლი სული. ესეც ერთ-ერთი საფუძველი იყო იმისა, რომ გასული საუკუნის ჩვენი სამოციანელები უდიდესი თანაგრძნობოთ და გულისყურით ეპყრობოდნენ აჭარლებსა და მათ მეზობელ ქართველ ტომებს. ისინი ლხინშიც მათთან იყვნენ ღამით უფრო ჟამთა სიავისას მათვე ედგნენ გვერდში, იცავდნენ და ამხნევებდნენ ხორცით, სისხლითა და სულით თანაზიართ.

ჩვენი სამოციანელები აჭარლებს ადიდებდნენ ქართველური გამძლეობის გამო და მათ შესახებვე საუკეთესო წარმოდგენას უქმნიდნენ სხვა ქართველ ტომებს. მაგალითად, დიდი ქართველი პედაგოგის — იაკობ გოგებაშვილის „ბუნების ქარში“, რომელიც 1868-1918 წლებში, ე. ი.

3. იხ. იგივე — „სამაპმადიანო საქართველო“, გვ. 16.

მთელი ნახევარი საუკუნის გან-
მავლობაში იყო უპოპულარესი
წიგნი ქართველ ახალგაზრდობა-
ში, ჯერ აჭარისა და შემდეგ მისი
მოსახლეობის შესახებ ვკითხუ-
ლობთ:

„აჭარას უჭირავს ჩრდილო-
ეთის ნაწილი მესხეთისა და ისა-
ზღვრება: ჩრდილოეთით — გუ-
რიით, აღმოსავლეთით — ახალ-
ციხის მხრითა და გავახეთით, სა-
მხრეთით — კარხალის ანუ შავ-
შეთის ქედითა და ჭოროხით, და-
სავლეთით — შავი ზღვით“.

„აჭარლები“ აგებულებითა,
ენითა და ჩვეულებით ნამდვილი
ქართველებია.

აჭარელი გურულივით მარ-
დია, მხნე და გამბედავია“.⁴

კიდევ უფრო საყურადღებოა
ის ბრწყინვალე დახასიათება,
რომელსაც ხსენებული ჩვენი
უდიდესი პედაგოგი იმავე აჭარ-
ლებს აძლევს:

„საუკეთესო ზნებითი თვი-
სებანი აჭარლებისა არის: მოხუ-
ცების პატივისცემა, სტუმრების
მიგებება, ლირსეულად თავის და-
ჭერა, თავაზიანობა, ცნობისმო-
ყვარეობა და დაუღალავი გამრჩე-
ლობა⁵.“

ყოველივე ეს ახასიათებთ
არამც თუ გურიის მეზობელ აჭა-
რლებს, რომლებსაც ჭანიეთ-ნა-
ტანების ხაზზე მე-17 საუკუნემ-
დე არაფერი და შემდეგ 1878
წლამდე გურულებისაგან ჩოლო-

ქის წყალი ჰყოფდა, არამედ მეზ
შელებს, ტაო-კლარჯელაში და
საერთოდ ოსმალეთის შიდულოფება
ცებულ სამხრეთ საქართველოს
მცხოვრებთა უმრავლესობას.

მეტიც, იქვე ისეთი გეოგრა-
ფიული სახელებიცა და რიტუა-
ლიც კი შემოუნახავთ, რომლებ-
იც მაჰმადიანის აზრსა და გონე-
ბას არ შეეფერება. მაგ., პარხალ-
ში ერთ-ერთ სოფელს ჰქვია გოჭ-
ვათი ე. ი. საგოჭე. იქვე, ლაპარა-
კობს ე. თაყაიშვილი, „დველი
წარმართული კულტის გაღმო-
ნაშოთ წარმოადგენს რთვლის
დღესასწაული: ტანგახდილი ჭი-
ბუკები ფერხულს ცეკვავენ და
ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტან-
ზე“⁶...

აჭარლის ზოგიერთ ოჯახში
გაზაფხულზე რომ ბავშვებს
კვერცხს წითლად უღებავენ,
ესეც ქრისტიანობის დროინდელი
გაღმონაშოთა. მართა ლია,
კვერცხს გაზაფხულის ბაირამზე
შუა აზიის მაჰმადიანებიც ღება-
ვენ, მაგრამ აჭარაში ეს მაჰმადია-
ნობის გავრცელებას არ მოჰყო-
ლია, — მანამდელი რიტუალია.

აჭარაში და, მაშასადამე,
ზოტ-ჩხაკოურაშიც ჭართული წა-
რმართული და რიგი ქრისტიანუ-
ლი წეს-ჩვეულებების შემორჩე-
ნის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა,
რომ აჭარის დედასამშობლოდან
მოწყვეტის ხანგრძლივი დროის
განმავლობაშიც კი ხდებოდა მი-

4. იაქობ გოგებაშვილი. —თხზ., ტ.
6, გვ. 641.

5. იქვე, გვ. 642-643.

6. ე. თაყაიშვილი. — 1917 წლის არ-
ქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ
საქართველოში, თბ., 1960 წ., გვ. 83.

სულა-მოსველა, გათხოვა-მოყვანა და გადასახლ-გაღმოსახლება გურულებსა და აქარლებს შორის. მაგ., ე. თაყაიშვილს შორეულ ოლთისის მხარეშიც შეხვედრია დედასაქართველოდან გათხოვილი ქალი. მეცნიერი წერს: ექსპედიციის დროს 1907 წელს ოლთისში ვეზდებოდი ხიმშიაშვილის გვარეულობის ოთხ ძმას, ბეგებს. ოლთისშივე გავიცანი მათი დედა. „ის ასი წლის მოხუცი იყო, მაგრამ ერთობ მხნე, მაღალი და წარმოსადევი. მშვენიერად ლაპარაკობდა ქართულს; მეხსიერებაც კარგი ჰქონდა. გამოირკვა, ის იყო ბერიძის ასული; წამოუყვანით ბეგის საცოლედ 16 წლისა სოფელ ქაჭუთიდან“⁷

ავტორს უთქვამს ჩვენთვის: „ვეფეხისტყაოსანს“ ეს ბერიძის ქილი და მისი შვილებიც გვარიანად იცნობდნენ.

ნიკო მარისაგან გავივონია: 1904 წელს ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას აჭარიდან გათხოვოლი თუ მოტაცებით წაყვნილი ქალებიც შემხვდნენ. ისინი მე ძმას მიწოდებდნენ და უჩადროდაც მეჩვენებოდნენ. მით უზრო ასეთები იყვნენ ბორჩხა — ართვინ — არტანუჯში. ამ სტრიქონების დამწერის მამა 1917-

1918 წლებში გახლდათ ართვინის ოლქის განათლების უფრო-

7. ე. თაყაიშვილი, — არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 17.

სი⁸. მასთან რომ ბათუმიდან და გაუი მიდიოდნენ, განამაღლები ბორჩხასა და ოვით ართვისული არტანუჯში უმთავრესად ისეთ ოჯახში ჩერდებოდნენ და ღმეულაც ათევდნენ, რომელთა ღიასახლისები ქობულეთ-ბათუმის მიდამოებიდან იყვნენ გათხოვილები. გვხვდებოდა გურიიდან აჭარაში გათხოვილი ქალებიც. მაგ., ჭოლა ლომთათიძის დაი სიდონია ჯერ კიდევ რეაქციის წლებში შეირთო სოფელ ქობულეთელმა უსუფ დადიანმა.

კიდევ უფრო საყურადღებო ის გარემოებაა, რომ წინათვე იყო შემთხვევები აჭარელთა გურიაში გადმოსახლებისა და გურიიდან გაქცეულის აჭარაში თავშეფარებისა.

ცნობილია, რომ ოსმალთა „რეჯიმისაგან თავის დაღწევის მიზნით, აჭარის მოსახლეობა ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს და გურიაში გადმოდიოდა. ასეთი გადმოსვლები 1840-იან წლებში გახშირდა. ჯერ კიდევ 1838 წლის მარტში ტრაპიზონის სანჯაყის, კერძოდ ბათუმის მცხოვრებთა 30 ოჯახი მოვიდა საზღვრებთან, რომლებმაც სურვილი განაცხადეს რუსეთის ქვეშევრდომობაზე“, ⁹ ე. ი. სურდათ გურიაში დასახლება.

8. ი. ბ. მეგრელიძე. — ხულოში. „ლიტერატურული აჭარა“, 1959, № 6, გვ. 75-80.

9. შ. მეგრელიძე. — სამხრეო-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 88.

აგრეთვე ცნობილია, რომ იმავე 1838 წლის 15 მარტს ანალო-გიური თხოვნით გამოცხადდა სა-ზღვრებთან აჭარელთა 17 ოჯახი. იმავე ხანებში გურიას მოადგა აჭარელთა ჯგუფი, რომელშიც „ირიცხებოდა 145 მამაკაცი, 109 ქალი“ და ბავშვები, მათ თან ჰყავდათ „71 ცხენი, 447 მსხვილ-ფეხა საქონელი, 488 ცხვარი და 9 ვირი“. 1849 წელს გურიაში გადმოსახლება სცადა 150 ოჯახ-მა და იმავე დროს „გზაში იყო ჭანეთიდან მომავალი 400-მდე ქა-რთველი მაპმადიანი“... 1849 წლის 17 მარტს „აჭარიდან გუ-რიაში გადმოსახლების სურვილი 600 კაცს განუცხადებია“ (იქვე, გვ. 82).

ოსმალების მიერ მიტაცებული აჭარიდან 2-დან 5-მდე ოჯახის გადმოსკლის შემთხვევებს კიდევ უფრო ხშირად ვხვდებით. მაგ., 1849 წლის შემოდგომაზე აჭარი-დან გურიაში გადმოსახლებულან ოჯახებით: ოთარ წითლიძე, ორი ძმა ოუმბერიძე, ჰუსეინ ხალაძე და სხვები. ცნობილია ასეთი შე-მთხვევებიც, რომ აჭარაში გარ-დაცვლილ ადამიანს გურიაში ასაფლავებდნენ, რათა მისთვის მა-მაპური წესით ეცათ პატივი.

ოსმალეთისა და რუსეთის მთა-ვრობების შეთანხმებათა საფუძ-ველზე გადმოსახლებებს ორივე მთავრობა სასტიკად ხდევნიდა. ოსმალთა დამქაშები ლტოლვი-ლებს გზაშივე იჭერდნენ და სჯი-დნენ. რუსეთის ცარიზმის ჯარის-კაცები და მესაზღვრეებიც ასე-



თებს უკან აბრუნებდნენ და გურიაში ლტოლვილებს შეიფარებ და, მასაც სჭიდნენ. მიუხედავ ამისა, „მოძმე აჭარლებს არავინ არ ლალატობდა, მათ ძმურად და მეგობრულად ხვდებოდნენ გუ-რულები, გულთბილად ღებუ-ლობდნენ და იფარავდნენ თავი-ანთ ოჯახებში, ეხმარებონ და-სახლებასა და ხვნა-თესვაში“ (იქ-ვე). მეტიც გასული საუკუნის მე-ორე ნახევარში გურია-აჭარის კო-რდონის, ე. ი. საზღვრის უფროსი იყო ოფიცერი გრიგოლ გურიე-ლი. მას უვალებოდა ამ ხაზზე ვერავინ ვერც იქით გადასული-ყო და მით უფრო აქეთ ვერ გად-მოსულიყო. მიუხედავად ამისა, მისი სახლიც კი სავსე იყო აჭარ-ლებით. ბავშვობისას ამავე ოჯახ-ში მცხოვრები ნიკო მარი თავის ავტობიოგრაფიაში წერს, რომ ოზურგეთში გრ. გურიელის სა-ხლში მუსლიმანი ბავშვებიც კი იყვნენ და მათგან თურქული ენა მესმოდაო.

გურულთაგან აჭარლებისადმი ასეთი მხარდაჭერა იმანაც გამოი-წვია, რომ ბევრი აჭარლის ოჯახს ნათესავი და მოგვარეები ჰყავდა გურიაში.

აჭარლები, ახლანდელი თურ-ქეთის რიგი მიღმოებისა და აჭარის ტერიტორიის გარ-და, როგორც ზემოთ ითქვა, გეხვდებიან გურიაშიც. აქ ისინი მახარაძისა და ჩოხატაურის რა-იონების სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის რამ-დენიმე სოფელში ცხოვრობენ.

პირველთა ზოგიერთი წინაპარი ასზე მეტი, ხოლო მეორეთა, თითქმის ასი წელია, რაც აქ დამკვიდრებულან, გამრავლებულან და მათ ახალი ნაკადებიც შევმატებიან და კვლავაც ემატებიან.

მახარაძის რაიონის ს. ლიხაურის მეზობელი აჭარული სოფელი აჭი აჭისწყლის ხეობაში გურულებითაა დასახლებული, მაგრამ ისინი მკვიდრნი არიან. აჭი აღმინისტრაციულად არა მახარაძის, არამედ ქობულეთის რაიონში შედის. ასევე ქობულეთის რაიონისაა მახარაძესთან უფრო ახლო მდებარე სოფელი ქაქუთი, რომელშიც აჭარლები ცხოვრობენ. ჩოხატაურის რაიონის ს. ქვაბლაში კი გურულებს შორის 22 კომლი აჭარელი ცხოვრობს. ამავე რაიონის ს. ზოტში დააბლოებით 270 და ს. ჩხავაურაში 70 კომლი აჭარელი ცხოვრობს.

მახარაძის რაიონის აჭარლები წარმოშობით უმთავრესად მეზობელ ქობულეთის რაიონის სოფლებიდან არიან. ჩხავაურა-ზოტ-ქვაბლის აჭარლები ხულოს რაიონის სოფლებიდან ჩამოსახლებულან და ეთნოგრაფიულად, კოლოურად და ფოლკლორულადც ზემო აჭარის მცხოვრებთა, კერძოდ ხულოელთა განშტოებას წარმოადგენ, ოდონდ მათ გურული ყოფისა და მეტყველების კვალიც დაჩინვით, აჭარი ტოპონიმიებისა და ისტორიული გმირების შესახებ ადგილობრივი, გურული ზეპირსიტ-

ჟვიერების მასალებიც შეუთვისებიათ, ცალკეულ მათგანთა ფართ ანტებიც შეუქმნიათ.

ბუნებითა და მოსახურებულებით რაიონის ცენტრი ჩოხატაურიდან 30-ოდე კილომეტრით დაშორებულ ზოტს ჰევს ქვაბლა და მათზე მაღლამდებარებული ჩხავოური (აქ უფრო წიწვიანი ტყეებია). მათშიც ჩოხატაურ-ბახმაროს გზით დადიან ცენტრიდან. ზოტიდან კი ჩხავოურამდე 10-12 კმ-ა, აქედან კურორტ ბახმარომდე — 18, ბახმაროდან ოორუქომამდე, ე. წ. იაილებამდე 40 კმ. ე. ი. ლორჯომსა და ზოტს შორის სულ 70 კმ-ა. ზაფხულობით ნათესავებში დადიან ლორჯომ-ხულოდან გურიაში გადმოსახლებული და მათი თაობები, და, პირიქით, აჭარიდან გურიაში გადმოდიან ამათი იქაური ნათესავები.

ზოტელმა მოხუცმა კოლმეურნებ ნური-ალი მახმუდის ძე ანთა-ძემ, კოლმეურნების თავმჯდომარებ რეჯებ ახმედის ძე ართმელაძემ და სხვებმა გვითხრეს, ზოტში აჭარლები 90 წელია, რაც ვცხოვრობთო. ს. ლორჯომიდან წამოსული უზეირ ანთაძე ზოტ-ამერიაში დასახლებულა; მისი შვილი მევლუდ ანთაძე კი 1873 წელს ზოტში დამკვიდრებულა. ჩოხატაურის რაიონულ გაზეთშიც ვკითხულობთ: ზოტში პირველი აჭარელი „1879 წელს მოსულა ხულოს რაიონიდან“¹⁰. პი-

10. გაზ. „კომუნიზმის განთიად“, 1968 წ. 7 ნოემბერი.

ჩხაკოურელთა უფროსი თაობის რეელის შემდეგ დასახლებულან: ევბა (ეუბ) ირემაძე, შაქირა ჭახაძე, იშილა ართმელაძე, ისიყარ ქათამიძე (ზოგიერთის თქმით—ქათამაძე), თალიბ პაიჭაძე, რიმან გიორგაძე, ყადირ მიქელაძე და სხვები. თავკაცი მევლუდ ანთაძე უსწავლელი იყო, მაგრამ კაცურ კაცად ითვლებოდა, რაც ზოტში კულტურული დაწესებულებაა, უმთავრესად მის დროს დაარსებულა. მევლუდი 1940 თუ 1941 წელს გარდაცვლილა.

ზემოხსენებული ოჯახების შემდეგ ჩამოსახლებულნი არიან: დაუდ კაცაძე, იუნუს ჭელიძე, ჯივან ტუნაძე, ბერიძე და ამავე გვარების სხვა ოჯახები.

ლორჯომლების გარდა, ბერსელაძეები ჭვანის ს. ნაღვარევიდან არიან, რამშვილები — უჩაბიძეან, პაქსაძე — ს. პაქსაძეებიდან... მოხუცები დასქნენ, კაცმა რომ თქვას, ჩხაკოურაშიც ჩვენები არიან ლორჯომ-ჭვანიდან. აქ პირველნი სულეიმან ბერიძე, ისკენდერ (ისქენდერ) ირემაძე და სხვები დასახლდნენ.

მართალია, ზოტის ტოპონიმიკური (გეოგრაფიული) სახელები ახლანდელმა ზოტელებმა შეითვისეს გურულებისაგან, რომლებსაც ეს ადგილები ძირითადად საძოვრად ჰქონდათ გამოყენებული და ადგილებსაც ერქვა სახელები, მაგრამ ახლა ეს ტოპონიმები უკვე ადგილობრივი აჭარლების კოლოურ მიმოქცევაშია შესული

და ისინი როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე დამკარგი მხრივაც საინტერესონი ურიან. ზოტიდან 8-9 კილომეტრობის გუბაზოულის სათავისაკენ ადგილს ხინისწყალს ეძახან. აქ აღმოჩნდა ანტიკური ხანის არქეოლოგიური ნივთები. ართვინის, მურღულის, სხალთისა და მთლიანად აჭარის მთიანი ზონის, მისი გაგრძელება გურიის ადგილების: ლიხაურის, ვაკიჯვარასკანის, მუღურუშ-კალაშის (ხიდისთავ-მეტიეთი), თვით ხიდის-თავის, ლომისციხისა და აქედან ზოტამდე მთელი ზოლის, შემდებ, ახალციხისა და ლეჩხუმ-რაჭის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნაკეთობანი ერთიანი კულტურის ნაშთებია.¹¹

ზოტ-ჩხაკოურელთა მეტყველების თაობაზე უნდა ითქვას, რომ, როგორც ხულოელები და საერთოდ ზემო აჭარლები, ისე პირველნიც თავითოთ მეტყველებას ასხვავებენ ქვემო აჭარელთა მეტყველებისაგან. ზემო აჭარლები რიგ ენობრივ მოვლენებში შავშელებთან და მესხებთან არიან უფრო ახლოს, ვიდრე ქვემო აჭარა-გურიასთან, და, პირიქით, ქობულეთ-ბათუმის აჭარლები ქვემო გურიის მცხოვრებთ უახლოვდებიან მეტყველებით. ეს იმდენად უფრო საგრძნობია, რამდენადაც უფრო ქველ ფენებთან გვაქვს საქმე. ძირითადად ისევე, როგორც ზემო აჭარელთა, და კიდევ უფრო საგრძნობლად ზოტ-

11. შდრ. ჩვენი შეიძლები უკურ. „მნათობში“, 1965, № 12, გვ. 132.

ლექსიკაში ნახესხებ სიტყვათა-
გან თურქიზმები ჭარბობს, უმც-
როსი თაობისაში კი — რუსიზმე-
ბი. ხსენებულ უფროს და უმც-
როს თაობათა შორის განსხვავება
აქცენტუაციაშიც იგრძნობა. სა-
ერთოდ ზემო გურიის აჭარლები
კილოურად მანც ხულოელებ-
თან არიან და ლექსიკაც სათანა-
დო გააჩნიათ.

აჭარლები ზემო გურიაში —
ქვაბლა-ზოტ-ჩხაკოურასა და მათ
ჩას ნაკვეთებზე ხიდისთავში,
ჩაისუბანში, ბუკნარსა და ნაგო-
მარში იმგვარადვე ცხოვრობენ,
როგორც ხულოელები, ოღონდ
ისინი სახლახორებიდან თითქ-
მის მთლიანად გამოსულან და
ოდასახლებში იმყოფებიან.

აჭარული კილო განსაკუთრებით
საინტერესოა ლექსიკურად. მას-
ში ძველი ჭართული ენის არაერ-
თი ისეთი სიტყვაა შემონახული,
რომელიც ახალ სალიტერატურო
ჭართულში აღარ იხმარება. „ვე-
ფეხისტყაოსანში“ დადასტურებუ-
ლი სიტყვა პაზტა — ბევრი,
მომრავლო, ზოტში ახლაც გვხვდე-
ბა. ეს ის სიტყვაა, რომლის
მნიშვნელობის თაობაზე ერთი-
მეორის გამომრიცხველი აზრები
გამოითქვა. სანამ იგი ნიკა მარმა
აჭარულის კილოს მახლობელ
იმერხეულში არ აღმოაჩინა, მა-
ინც გაუგებარი იყო. აჭარაში ძვე-
ლი სიტყვა მარტვილი, ყმაშ-
ვილის მნიშვნელობით, ახლაც
ცოცხალია. მარტვილი კი წამე-
ბულს ნიშნავდა. ეს, რომ იმ ერთ
მოქალაქეს სცოდნოდა, რომელ-

მაც ამის წინათ რუსთველობის
გობა მოიწადინა, უხეშ შემცირებულ
ასცდებოდა (უურნ. ჭმინჯაშაშვილი
1968, № 8, გვ. 179).

საყურადღებოა, რომ კომპო-
ზიტი სიტყვა მზისთვალი ახ-
ლაც ცოცხალია აჭარულში (მაგ..
ლექსში — ლაზარობა, ლაზარია).
გურიაში და კახეთშიც (მაგ., გუ-
რჯაანში) გავიგონია, მზისთვალი
არ ჩანსო, მაგრამ ეს მაინც უფ-
რო სიტყვათა პასიურ მარაგში
ჩნდება. აჭარულში იგი იმდენად
ხშირად ხმარებული ყოფილა,
რომ ფორმა „გაცვეთილა“ კიდე-
ვაც, იგი, ზითვალი — ფორმი-
თაცაა დადასტურებული. უფრო
სრულია გ. ნოლაიდელის ჩანწე-
რის მზისთვალი და გზისთვალი.
ჩვენს ჩანწერშიც პირდაპირ
მზისთვალია დაცული და იგი
მყარად ზის ლექსში (შდრ. წყა-
როსთვალი = გურ. საცივისთვა-
ლი, ურმისთვალი — ბორბალი,
წისქვილისთვალი — დოლაბი,
წისქვილი; მუხლისთვალი, ბეჭ-
დისთვალი და სხვა).

მზისთვალი მზის მნიშვნელო-
ბით ცნობილია ძველქართულ ენ-
აში; მას ნიკო მარმა მიაუყია ყუ-
რადღება, განმარტა და ასეთივე
წარმოების სომხური სიტყვაც
დაასახელა — არეგ-აკან, ვილო-
ური — ერევ-აკან (არევ-მზე +
აკან-თვალი). ჩვენ ამათი ზუსტი
შესატყვისი დაღესტნის ერთ-
ერთ ენაში შეგხვდა. ესაა დიდო-
ური — ერევ-აკან (არევ-მზე +
ბუხ—მზე, ნათ. ბრუნვა — ბეხეს
— მზისა + ოზური — თვალი).

ამგვარად, ქართ. მზისთვალი, სომხ. არეგავან ან არეგაკან, დღი. ბეჭესოზური ერთგვარად ნაწარ-მოები სიტყვებია.

აჭარულში საინტერესოა სიტყვა ავაზანი (შდრ. აბაზანა) — ნა-ვისებრი წყლის ჭურჭელი ცხო-ველთა სასმელი წყლისათვის (სა-წნახელს ჰგავს); ამავე ავაზანს სულხან-საბა ორბელიანი წყლის საგუბარს უწოდებს.

საყურადღებოა სიტყვა ბერი-ლი — დათვის ბუნაგი (შდრ. ომანო ან უმანო — ტურის, მაჩ-ვის ხერელი მიწაში, თავისებური მაღარო, აჭარ. მაღარა).

აჭარაშივე გვხვდება ნაწარმოები კომპოზიტი სიტყვები: გოგოშვილი (ქალიშვილი), ბიჭი-შვილი (ვაჟიშვილი), ბერწიაი, ბე-რწა, ბერწანი და მათი პარალელი ბერწიშვილი (ერთი წლის ხმო).

გურულ კილოში შემონახულია ტერმინი ფერხიელი — ფეხისტყა-ვი, საქალამნე. ანდაზადაც იტყ-ვის გურული: „ძალმა ფერხი-ლი წაიღო და ფეხი იშყვიტა“. ეს სახელი ფეხ-ის, ძეელი ქართ-ული სიტყვის ფერხ-იდან არის ნაწარმოები. აჭარულში ამისი ზუსტი ანალოგიაა თავრიელი — თავის ტყავი, საქალამნე. აჭა-რულ ფოლკლორში რევოლუცია-მდელი ასეთი სასიმღერო ლექ-შიც გვხვდება:

„ქალამანი შევიქერე,
ხარის თავრიელია.“

გოგუებთან შასვლა მრანდა /
ქესა-ცარიელია.“ 
(კ. ნოღაილელი. ხალხურისტურული
ყვიერება, I, გვ. 115).

ჭანური ენის ნაშთია აჭარულ-ში დუდი (მეგრ.-ჭან. დუდი —
თავი). დუდალი — კეუერა მხა-
ლის სხვიტი, კომბოსტოს თავი.
და ა. შ.

ბეგრი სიტყვა ნაწარმოებ
ფორმებშია შემორჩენილი. მაგ.,
სიტყვა როფი ცალკეც იხმარება
გურია-აჭარაში, მაგრამ უფრო
ხშირად იგი გაროფვა (გაყინვა)
ზმნაში გვაქვს.

სიტყვა კარჭალი აჭარულში
კავალს ნიშნავს. გურულში ამას
ბავშვის სარცხო ასოს — კვერცხ-
ზე, იტყვიან (კარჭალი, კ-ს ჭ-თ
ცვლით ჭანჭალი ბავშვის ასოს
კვერცხი). მაგრამ იგი დაკარტვლა
ზმნაში კავალს ნიშნავს.

აჭარაშივე ჭარფალი წვრილი
თევზია (გურ.-აჭ. ქაფშია, —
ხამსა, ფრიტა, ლიფსიტი). აქედან
ნაწარმოები ზმნა დაჭარფა-
ლება გურულში, მაგალითად გო-
ჭების და ა. შ. დაწყვეტას ნიშ-
ნავს, აგრეთვე დაჩეხსა და ძირს
დაყრას აღნიშნავს („ნოღარი
დაჭარფალაო“, გაგვიგონია).

ასეთ სიტყვებზე მეტს ვეღარ
შევჩერდებით. დავასახელებთ რა-
მდენიმე ისევ ისეთ მაგალითს,
რომელსაც პარალელი კვლავ
რუსთაველის უკვდავ ქმნილება
— „ვეფხისტყაოსანში“ მოეპოვე-
ბა.

ქართულში საერთოდ სიტყვა ღადარი, გურ.-აჭარული ღადა-რა —ღველფს, ნაკვერცხლებიან ნაცარს აღნიშნავს. ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნა გამოღადრვა გამოჭრაა. გურია-აჭარაში გაიგონებთ: ყელი გამოღადრა, მუცელი გამოღადრა (ამ შემთხვევაში იტყვიან აგრეთვე გამოფუშა ან გამოფატრა). ღადარი არაბულ-ში ნიშნავს მოღალატეს, ცბიერს. ეს სიტყვა აღრევე ნასესხები ჩანს ქართულში. მაგ., „ვეფხის-ტყაოსანში“ ვკითხულობთ:

„მაგის მეტი ვინ რა მიყოს,
თუ არ მომკლას მუხთლად,
ღადრად“ (754,4).

აღსანიშნავია ისიც: ძველად გუ-
რული საკალანდო (საახალწ'ლო)
ტახს რომ ღაკლავდა, პირში
ღადარს ჩაუყრიდა, — უკანასკ-
ნელ ამოსუნთქვას ღორში შემ-
ვრალი ავი სული ამოჰყვება და
დაიწვებაო. აი, პირის ამ ამოწ-
ვას, გამოთუთქვას ეწოდებოდა
პირის ამოღადრვა, ხოლო ყელის
გამოჭრას კი —ყელის გამოღად-
რვა. ამ პირველ გამოღადრვაში
ღადარი პირდაპირი მნიშვნელო-
ბითაა ღაცული.

აჭარულ კილოში საყე საბ-
ჭენს, ბოძს, სარს (გურ. ბარჭვი,
ბიჭვინა) ნიშნავს, მაგალი-
თად, თავანში (ეს სიტყვაც საგ-

ნტერესოა) ან ნალიაში — სა-
ყენს.

ვუკოლ ბერიძის აზრით „ვაკ-
ხისტყაოსანში“ სიტყვა უკრაშებულ-
რისა საყენი“ (1481, 1) შეტაფო-
რად, შედარებადა გამოყენებუ-
ლი და ის საყე წვერ-ულვაშს,
წარბებს აღნიშნავს. აჭარულშივე
იხმარება სიტყვა ციციელი, რო-
მელიც ფორმა ცისიერის ფონე-
ტიკური ცვლილებითა მიღებუ-
ლი, და ნიშნავს მეხს (შ. ნიუა-
რაქ), მეტეორს. ეს სიტყვა ისევ
„ვეფხისტყაოსანში“ პოულობს
სემანტიკურ პარალელს. მასში
ნაცარ-ი ნიშნავს ჩვეულებრივ ნა-
ცარსაც: „ისხემდეს თავსა მტვე-
რსა და ნაცარსა“ (419,3) და
მეხს, მეტეორს, მსხვილ სეტყვა-
საც. ისევ „ვეფხისტყაოსანში“
ვკითხულობთ:

„ამით დაესხნეს რისხეასა,
ზეცით მოსულსა, ნაცარსა“
(სტროფი 1613,3).

ჩვენ შეგნებულად და განგებ-
დავასახელეთ აჭარული ლექსიკის
ისეთი მაგალითები, რომლებიც
„ვეფხისტყაოსანში“ პოულობენ
პარალელებს. ასე რომ გავვეთ
და ძველი ქართული კლასიკური
მწერლობის სხვა ძეგლებიდანაც
მსგავსი მაგალითები ამოვკრი-
ფოთ, კიდევ უფრო თვალსაჩინო
გახდება ის დებულება, რომ აჭა-
რული ლექსიკურად საინტერესო
კილოა.

აჭარული მუსიკა ხომ კიდევ
შეტას ყურადღებას იმსახურებს.

აქ ვეღარც ეთნოგრაფიულსა
და ფოლკლორულ ფაქტებს მოვი-
ტანთ, რადგან ისინი ჩვენი წერი-
ლის მიზანდასახულობას სცილ-
დებიან. მხოლოდ აღვნიშნავთ,
რომ აჭარული ეთნოგრაფია, ზე-
პირსიტყვიერება მითოლოგით,
ხალხური სიმღერებისა და ცეკ-
ვების ჩათვლით გაცილებით მეტი
ყურადღებას იმსახურებს, ვიღრე

მას დღემდე ეთმობოდა. ბევრი
რამ გააკეთა ამ დარგში აწერის /
სვენებულმა აჭარის მრავალ
მხრივმა მკვლევარმა ჯემაზენოვანი
თის ძე ნოღაიდელმა (1906-
1966), მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია
შესასწავლი და გამოსარკვევა,
რასაც უკვე მეორე ათეული წე-
ლია ემსახურება საჭართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბა-
თუმის სამეცნიერო-კვლევითი ინ-
სტიტუტის კოლექტივი.



ნებავრე ინიკილი

ბათუმელი მენავთობები სამარტო
ომის მრისხანი ჭლებში

1941წლის 22 ივნისს, დალის 4
საათზე საბჭოთა ხალხის მშეიღო-
ბიანი ცხოვრება ჰიტლერული
გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ
დაარღვია.

„მტერი სასტიკი და ულმობელია, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — იგი მიზნად ისახავს ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ნავთი“.

მტერს ჩვენი ხალხის დამონაბა
სურდა. ამიტომ საჭირო იყო შე-
უბოვრობა, და სიმამაცე, მთელი
ჩვენი ცხოვრების სამხედრო ყაი-
დაზე გარდაქმნა, ფრონტისა და
ზურგის ერთიანობა.

ჩვენი ჯარების იძულებით უკანდახევასთან დაკავშირებით ქვეყნის დასავლეთით არსებული უძნიშვნელოვანები, საწარმოები, მათ შორის ნაგთობგადასამუშავებელი ქარხნები, ევაკუირებული იქნენ აღმოსავლეთით.

ასეთ პირობებში არმიის სა-
წვდვითა და საცხი ზეთებით მო-

მარაგების მთელი სიმძიმე ბაქოსა-
და ბათუმის ქარხნებს დააწვა.

ბაქოელმა და ბათუმელმა მე-
ნავთობეებმა ღირსეულად და-
ძლიეს დაბრკოლებანი და მო-
კლე დროში საწარმოთა მუშა-
ობა დაუმორჩილეს ფრონ-
ტის ინტერესებს. ისინი შეუწყ-
ვეტლივ ამარავებდნენ ფრონტის
ნავთობპროცესტებით.

ომის გამოცხადების პირველი
დღეებიდანვე ბათუმის ნავთობ-
გადასამუშავებელი ქარხნის კო-
ლექტივი მაღალი შეგნებით შეუ-
დგა თავისი მუშაობის საომარ ყა-
იდაზე გარდაქმნას, რაც ფართოდ
აისახა საქარხნო გაზეთის „ნეტ-
ეპროეგონშიკის“ ფურცლებზე.

ამ გაზეთის ერთ-ერთ ნომერში
გამოქვეყნებული იყო ქარხნის
პარტიული კომიტეტის ყოფილა
მდივნის ვახტანგ ყურაძევილის
საინტერესო წერილი. იგი 1937
წელს წითელი არმიის რიგებში
გაიწვიეს და სატანკო ბრიგადაში
მსახურობდა ტანკის მეთაურად.
ვ. ყურაძევილი ბათუმელ მენავ-

თობებებს სწერდა: — ტანკებისა და ავიაციისათვის საჭიროა ბენზინის მარაგი, თქვენ მიერ გამოშვებული პროდუქციის უკმარობა მტერზე გამარჯვებას დაყოვნებსო.

მენავთობეთა წერილები, მოგონებები და საარქივო მასალები მოწმობენ, რომ ომი დიდი ცვლილებები შეიტანა ქარხნის ცხოვრებაში.

იმისათვის, რომ ქარხანას ჰყოლოდა მუდმივი კადრები, საჭირო იყო ქალების მიზიდვა წარმოებაში და მათი ჩვალიფრივაციის ამაღლება. ეს იყო ქარხნის ხელმძღვანელების მთავარი საზრუნვი კადრების დარგში. ქალები ნამდვილ პატრიოტულ გრძნობას იჩენდნენ და დანადგარებთან და დაზგებთან დგებოდნენ ფრონტზე წასულთა ნაცვლად.

1941 წლის ნოემბერში, როცა ქარხნის მუშა თელორე ტიმჩენკო ფრონტზე გაიწვიეს, მისი ადგილი ქარხანაში მეუღლემ გალინა ტოტემინინამ დაიკავა. თედორე ბრძოლაში დაიღუპა გალინას მოუკვდა ბავშვიც. მარტოხელა ქალმა მშუხარების გადატანის კეთილშობილური გზა აირჩია. მან არა ერთი უდედმამო ახალგაზრდა დააყენა ცხოვრების გზაზე, ისინი გალინას თვითით დედალ თვლიდნენ.

ფრონტზე წასული ქმრები შეცვალეს იგრეოვე ლიდა დიდიამ; თამარ ჭრუშაძემ, ჭუჭულა გარუჩვამ.

1942 წლის ზაფხულში გერმა-

ნელთა დიდი არმია სტალინგრადის დაპყრობასა და გოლგაზე გადასვლის ლამობდა, იგო მძირი კავკასიაში შეჭრას დამდინარებულები ჩამოვა, მას საფრთხე შავი ზღვიდან და სამხრეთ საზღვრებიდანც ემუქრებოდა.

ასეთ ვითარებაში უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის სპეციალური ბრძანების შესაბამისად ნავთობმრეწველობის სამინისტრომ გამოჰყო კომისია „მთავარნავთ გასაღების“ საქართველოს კანტორის მმართველის თავმჯდომარეობით, რომელსაც 23 ივნისის ბრძანებით დაევალა ეწარმოებინა ნახევარი მილიონი ტონა გამჭვირვალე პროდუქციის გადაქაჩვა თბილისის მახლობლად. იქვე მომზადდა ნიადაგი საკიროების შემთხვევაში ახალი მარაგის გადასაქაჩვად.

24 ივნისს დაუშვეს ბრძანება „ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ნაწილობრივი დემონტაჟისა და აღმოსავლეთით ევაკუირების შესახებ“.

ნაწილობრივი ევაკუაცია განხორციელდა აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში.

უმაღლესი მთავარსარდლის მითითების საფუძველზე 1943 წლის დამდეგს მოხდა 1927-1930 წლებში გაყვანილი ათდიუმიანი ნავთობსადენის დემონტაჟი და გადასაქაჩვა სადგურების ევაკუაცია.

მილების ნაწილი გამოყენებულ იქნა ბაქო-გურევის ნავ-

თობსადენის გასაყვანად, ხოლო
დანარჩენი ტანკების წარმოებას
მოხმარდა.

გარდა იმისა, რომ ბათუმის ნა-
ვთობგადასამუშავებელი ქარხ-
ნის პროდუქცია წარმოადგენდა
„პურს“ საომარი ტექნიკისათვის,
შესანიშნავი ტრადიციების მქონე
კოლექტივს მთავრობამ დაავალა
ფრიად საპასუხისმგებლო საქმე
— ფრონტისათვის ერთ-ერთი
მეტად მნიშვნელვანი საომარი ია-
რალის წარმოება. საამისოდ ქარ-
ხანაში შეიქმნა სპეციალური სა-
მქრო.

ქარხანას ნახაზები გადმოეგზა-
ვნა 1941 წლის 27 დეკემბერს,
ხოლო მიღებას ქარხნის დირექ-
ტორმა ხელი მოაწერა 30 დეკემ-
ბერს.¹

საომარი იარალების წარმოებ-
აში ქარხანას დაეხმარა საქართვე-
ლოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
მიის ქიმიის ინსტიტუტი, რომე-
ლიც სისტემატურად ამოწმებდა
მასალებსა და ნაკეთობათა ხა-
რისხს, გაზომილებებს და სხვ.²

ქარხნისადმი დახმარება დავა-
ლებული ჰქონდა აგრეთვე „მთა-
ვარლითონგასალებას“ და საქარ-
თველოს სსრ ადგილობრივი მრეწ-
ველობის სახალხო კომისარიატს.
ამ დაწესებულებების მუშაობის
კოორდინირებას და ხელმძღვანე-
ლობას ახორციელებდა სა-

ქართველოს კომპარტიის ცენტ-
რალური კომიტეტი.³

ქარხნის დირექციაში დაუტი-
ულმა ორგანიზაციულ-სტრუქტურა
პარტიულ და სახელმწიფო ორ-
განოვებთან შეთანხმებით საომარი
იარალების წარმოებისათვის გა-
მოჰყო სპეციალური ჯუფი მექა-
ნიკურ-შემცეობელი საამქროს
უფროსის გ. ხასოიანის, ამა-
ვე საამქროს ინჟინრის (ამჟა-
მად ქარხნის მთავარი მექა-
ნიკოსის) დარმანიანისა და საერ-
თო წარმოების მექანიკოსის აფა-
ნასეევის ხელმძღვანელობით. და-
მატებით ბათუმის სახელოსნო სას-
წავლებლიდან მოიწვიეს ხარატე-
ბი.

საომარი იარალების საამქროს
მუშაკებს შეუქმნეს სათანადო
მატერიალური ბაზა და პირობე-
ბი, განთავისუფლეს ისინი სხვა
სამუშაოებისა და დატვირთვისა-
გან. საამქროს მუშაკები მთელი
შეგნებითა და პასუხისმგებლობი-
თ მოეკიდნენ დავალებულ საქ-
მეს, მათ კარგად ესმოდათ თუ რა
სამსახურს უწევდნენ ფრონტს,
სოციალისტურ სამშობლოს.

საქართველოს კპ ცენტრალუ-
რი კომიტეტისა და საქართველ-
ოს სახელმისაბჭოს დადგენილე-
ბით 1942 წლის პირველ კვარტა-
ლში ბათუმის ნავთობგადასამუ-
შავებელ ქარხანას ამიერკავკასი-
ის ფრონტის დაკვეთით უნდა
დაემზადებინა დიდიალი საომარი
იარალი.

1. სკკპ ისტორიის ნარკევები, 1968,
83. 122.

2. აჭარის ასსრ სახ. არქივი,
133. საქმე 23. ფ. 27.

3. აჭარის ასსრ სახ. არქივი. ფონ.
133, საქმე 23, ფურც. 24.

იანვარში მუშაობა გაჩაღდა, თვის ბოლოს კავკასიის მეცნიერება სამორ მსროლელ დივიზიას გამოსაცდელად გადაეგზავნა საომარი იარაღების პირველი ნიმუშები.

მუშაობა გაგრძელდა 1943 წელსაც.

ასე შეასრულა ქარხნის კოლექტივმა მისთვის უჩვეულო, ძაგრავ სასახელო დავალება — ფრონტს მიაწოდა ფრიად მნიშვნელოვანი საომარი იარაღი.

ბათუმელ მენავთობეთა მონოლითური კოლექტივი, რომელმაც ომისწინა ხუთწლედებში მრავალი სიძნელის გადალახვის სახელოვანი ტრადიციები შეიძინა, ომის პერიოდში ეწეოდა დაბაბულ შემოქმედებით შრომას. რათა ყველაფერი გაეკეთებინა ფრონტისათვის.

ქარხნის კოლექტივის საქმიანობას, აზრთა და მიუწრაფებათა ერთიანობას უნარიანად წარმართავდნენ ქარხნის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

როგორც საარქივო მასალები მიგანიშნებს, ამ დიდ მიზანს ემსახურებოდა ომის წლებში პარტიული და სამეურნეო აქტივის როლის ზრდა. კრებებსა და სხდომებზე ისმენდნენ ქარხნის დირექტორის, პარტიული კომიტეტის მდივნის, საქარხნო პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარისა და სხვა პასუხისმგებელი პირების კვარტალურ დაწლიურ ანგარიშებს.

სერიოზული ყურადღება ეჭიელდა მუშათა საყოფაცხოვებების პირობებს. ქარხნის დირექტორის მოადგილე მუშათა უმრავლესობა გების დარღვეული მ. ბერიძე¹ მოადგილობრივ კრებაზე აღნიშნავდა, რომ მუშათა მომარაგების განყოფილება ქარხანაში ჩამოყალიბდა 1942 წლის აპრილში. პირველ თვეებში პროდუქტებით მომარაგების საქმეში მრავალი სიძნელე ელობებოდათ, რომელთაგან ზოგიერთის დაძლევა არ მოხერხდა. მეორე კვარტალის გეგმა მხოლოდ 78 პროცენტით შესრულდა, მესამე კვარტალის კი 98 პროცენტით, ხოლო მეოთხე კვარტალში მიაღწიეს გეგმების გადაჭარებით შესრულებას!.

1943 წლის დამდეგს საქართველოს მშრომელებმა გადაწყვიტეს თავიანთი სახსრებით აეგოთ საბრძოლო ავიაესკადრილია „საბჭოთა საქართველო“.

ცნობას ავიაესკადრილია „საბჭოთა საქართველოს“ აგების შესახებ ახალი, მძლავრი პატრიოტული აღმავლობით შეხვდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივი. 1942 წლის 20 იანვარს გაიმართა ქარხნის მუშაკთა ხალხმრავალი მიტინგი.

ავიაესკადრილია „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებ ფონდში ჩვენ შეგვაქვს ჩვენი შრომით, დანაზოგები, — განაცხადეს მიტინგზე მუშებმა და სპეციალის-

1. აქარის ასსრ სახ. არქივი, ფონ. 133, საქმე 842, ფ. 5-6.

ტებმა საწარმოს მთელმა კოლექტივმა პირველ დღესვე 90 ათას მანეთზე მოაწერა ხელი, ხელმოწერა შემდეგშიც გაგრძელდა.

1942 წლის ბოლო და 1943 წლის პირველ თვეებში, როცა მტერს ეჭირა ჩვენი ქვეყნის უდიდესი ტერიტორია და მიმდინარეობდა ყველაზე გააფთრებული ბრძოლები ვოლგისათვის, ნავთობპროდუქტებით ფრონტის მომარაგება ყველაზე მწვავე საკითხს წარმოადგენდა.

ასეთ პირობებში ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაზე უფრო ბათუმიდან იყო მოსახერხებელი ფრონტის მომარაგება ნავთობპროდუქტებით. ტვირთი იგზავნებოდა გაგრა - სოხუმი - გალის რეინიგზით, შავი ზღვით, და ავტომანქანებით კავკასიის უღელტეხილებზე. ბათუმი ამარაგებდა ნავთობპროდუქტებით შავი ზღვის ფლოტს.

ამ დავალებათა შესრულების შესახებ განსეინი „საბჭოთა ფერა“ წერდა:

„სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის № 16 სამქროს მუშები მაღალი ტემპით მუშაობდნენ. გადაწყვეტებით შეისრულეს რათებერვლის ვალდებულებანი, მათ კიდევ უფრო მეტი ენერგიით გააჩაღეს მუშაობა მარტის თვეში.

წითელი არმიის 25 წლისთვეზე უმაღლესი მთავარსარდლის ბრძ-

ანების პასუხად № 18 და სხვა ხა-
ამქროების ბევრმა სტანციებზე
მა შეასრულა სოციალური
ხელშეკრულებით აღმუსტებულ
დებულებანი. გამოირჩეოდა სტა-
ნანველის ამხანაგ სერგო ჩან-
ტლაძის მუშაობა. მან საწარმოო
გეგმა გადაჭარბებით შეასრულა
და საუკეთესო მაჩვენებლებს მი-
აღწია. ს. ჩანტლაძემ აიღო ვალ-
დებულება, რომ შემდგომში გვგ-
მას უკეთესი მაჩვენებლებით შე-
ასრულებდა!“

ასეთი შემართებითა და ენთუ-
ზიაზმით მუშაობდა ქარხნის მთე-
ლი კოლექტივი.

1944 წლის დამდეგს დაიწყო
სსრ კაგშირის ტერიტორიის საბო-
ლოო განთავსუფლება გერმა-
ნელი ოკუპანტებისაგან. ჯარების
რაოდენობით და საომარი ტექ-
ნიკით წითელ არმიას 1,5-2,5-ჯერ
მეტი უპირატესობა ჰქონდა მტერ-
თან შედარებით. მკვეთრად გაუმ-
ჯობესდა ჩვენი ფრონტების მომა-
რაგება. დაიწყო წითელი არმიის
ფართო შეტევითი ოპერაციები.
გერმანელ იჯუპანტებისაგან გან-
თავისუფლებულ რაიონებში შე-
უდგნენ დანგრეული ფაბრიკა-
ქარხნების აღდგენას. კერძოდ,
აღდგენილი იქნა მთელი რიგი
ნავთობგადასამუშავებელი ქარ-
ხნები, კრასნოდარში, ვორშინში,
ტუაბსეში, სრული დატვირთვით
დაიწყო მუშაობა მოსკოვის ქარ-
ხანაში.

ის დიდი სიძნელეები, რომლის

1. გამ. „საბჭოთა ფერა“, 1943 წ.
14 მარტი.

ვადალახვასაც სამშობლო მოითხოვდა ბათუმელი მენავთობეებისგან, როგორც ფრონტთან ყველაზე ახლოს მყოფი ქარხნის კოლექტივისაგან, 1942-1943 წლებში ძირითადად დაძლევული იყო. 1944 წლის დეკემბერში ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა პირველად გადმოიღო ურალის ჯაშანკორპუსის ქარხნის ბრიგადირის აგარკოვის მეთოდი, რომელმაც ელექტროშემდულებელთა შცირერიცხვანი ბრიგადების გაერთიანებით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშების რაოდენობის შემცირების მისაბამი მაგალითი მოგვცა.

ბათუმელმა მენავთობეებმა გაეცრიანეს პირველი და მეოთხე სამქროები, რითაც განთავისუფლდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მუშები. ამან საშუალება მისცა ქარხნის ადმინისტრაციას უკეთ გადაენაშილებინა კადრები.¹

ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის მეოხებით საჭუთარი საშუალებებით აღილზე ვამოინახა ერთ-ერთი დეფიციტური მასალის შემცვლელი, რამაც წლის განმავლობაში ქარხნას 324 ათასი მანეთი დაუზოგა.²

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნისათვის უაღრესად სერიოზული საკითხია იმ საჭარ-

მოებთან ურთიერთობის დაზუსტება და ტექნიკურ-მეცნიერებული გაუმჯობესება, რომელ საჭარმოებზედაც დამოკიდებულია ძირითადად ეს ქარხანა. ასეთები იყო: ბაქოს ნავთობკომბინატი, რომლისგანაც ლებულობდა ნედლეულს — ნავთობს მიღაუვანილობითა და რკინიგზით; ბათუმის „მთავარნავთგასალება“, რომელიც იბარებდა ქარხნისაგან მხა საექსპორტო ნავთობპროდუქციას; ამიერკავკასიის რკინიგზა და ნავთობმიღაუვანილობა თავისი გადასაქართვი სადგურებით, რომელიც ემსახურებოდნენ ნავთობის შემოზიდვის ბათუმში.

ამ საკითხებზე საერთოდ და კერძოდ, მიღება-ჩაბარების საკითხზე მრავალი თაობირი გაიმართა და ახალი ხელშეკრულებები გაფორმდა 1943 წლის ბოლოს. 1944 წელს და 1945 წლის დასაწყისში.

1943 წლის სექტემბერში ჩატარდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნისა და ბაქოს ნავთობკომბინატის წარმომადვენლების გაერთიანებული სხდომა ნავთობის მიღება-ჩაბარების საკითხზე.

მსჯლობის შემდეგ დაადგინეს: ნავთობის მიღება-ჩაბარების სამუშაოთა გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალის ნავთობის ჩაბარება ყარადურება და კანდიბაურები; აღებული იქნას მისაღები ნავთობის სინჯი წყლისა და სილის რაოდენობის განსაზღვრისათვის მხოლოდ

1. სექ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის არქ. ფ. 1, აღწ. 9, საქმე 1/12.
2. იქვე.

დღისით, ნავთობის მიღება და
ჩაბარება სწარმოებდეს მხოლოდ
დღისით.

მეტად კარგი ინიციატივა გა-
მოიჩინეს ბაქოს რკინიგზელებაში
და ნავთობის მრეწველობის მუ-
შაკებმა. მათ იყიდეს მენავთო-
ბეთა და რკინიგზელთა შეწყობი-
ლი, რიტმული მუშაობის უზრუნ-
ველსაყოფად მთელი რიგი ღო-
ნისძიებების განხორციელება.

ბათუმელი რკინიგზელები და
ნავთობმრეწველობის მუშაკები
მხურვალედ გამოეხმაურნენ ბა-
ქოელების ამ ინიციატივას. 1944
წლის 9 აპრილს „მთავარნავთობ-
გასაღების“ ბათუმის სამართვე-
ლოს მუშა-მოსამსახურეთა კლუ-
ბში ჩატარდა ბათუმელი რკინი-
გზელებისა და ნავთის მრეწვე-
ლობის მუშაკთა შექრება, რომ-
ელმაც განიხილა და დაამტკიცა
ბათუმელ რკინიგზელთა და მე-
ნავთობეთა სოციალისტური შე-
ჯიბრების ხელშეკრულება.

როცა აუცილებელი იყო კრე-
კინგდანადგარების სისტემის ახ-
ლებურად რეკონსტრუქცია წარ-
მოების რენტაბელობისა და
შრომის ნაყოფიერების გაზრდი-
სათვის, ურთიერთდახმარების მი-
ზნით ბათუმიდან ბაქოში ვიდი-
ოდნენ გამოცდილი ინჟინრები და
ტექნიკონები. ამავე მიზნით ჩა-
მოდიოდნენ ბათუმში ბაქოელი
სპეციალისტები. გაცხოველებუ-
ლი ურთიერთობა ჰქონდა ბათუ-
მელ მენავთობებთან ვანო სტუ-
რუას სახელობის ბაქოს ნავთობ-
გადასამუშავებელ ქარხანას ომ-

ის წინ და ომის მრისხანე წლები
ში.

გამოცდილების ურთიერთდაბრუნვის
არების მიზნით ბაქოში ჩატარდა
ერთ-ერთი კრეკინგდანადგარის სა-
ნიმუშო რეკონსტრუქცია ბათუმე-
ლი ინჟინრების მონაშილეობით.
1944 წლის 17 ოქტომბერის ვ. სტუ-
რუას სახელობის ქარხანის
ინჟინრები კვასნიკოვა და პუსეი-
ნოვი ბათუმში ჩამოვიდნენ და ინ-
ფორმაცია გაუკეთეს ბათუმელ მე-
ნავთობებს რეკონსტრუქციის შე-
დეგების შესახებ, რათა ერთო-
ლივი ძალებით გადაეწყვიტათ
ბაქოსა და ბათუმის კრეკინგდან-
ადგარების რეკონსტრუქციის სა-
კითხი.

გერმანელები ფიქრობდნენ,
რომ პირველივე სერიოზულა
დარტყმისა და წითელი არმიის
პირველი წარუმატებლობის შემ-
დეგ თავს იჩენდა კონფლიქტე-
ბი მუშებსა და გლეხებს შორის,
გაღვივდებოდა შუღლი სსრ კავ-
შირის ხალხთა შორის. მავრამ
ისინი მწარედ მოტყუცდნენ. ლე-
ნინის პარტიამ სსრ კავშირია გა-
დააქცია ერთიან, ურღვევ ბანა-
კად. მთელი ჩვენი ზალი დარა-
ზმა მტერზე გამარჯვებისთვის.

საბჭოთა კავშირის სალხები
და, კერძოდ, ამიერკავკასიის ხა-
ლხები, ქართველი, აზერბაიჯანე-
ლი, სომეხი მეომრები ფრონტე
მხარდამხარ იბრძოდნენ და სი-
სხლს ღვრიდნენ. მუშები, გლეხე-
ბი, ინტელიგენცია ზურვში თავ-
დადებულად შრომობდნენ სოც-

იალისტური სამშობლოს დასაცავად.

1945 წლის 9 მაისს გერმანელ ფაშისტთა სრული განადგურებით დამთავრდა სსრ კავშირის დიდი სამამულო ომი, ამავე წლის 3 სექტემბერს მოკავშირების წინაშე იაპონიამ სრული კაპიტულაცია მოახდინა, რითაც დარულდა მეორე მსოფლიო ომი.

თვითეულმა საბჭოთა რესპუბლიკამ, ქალაქმა, რაიონმა, საწარმომ, დაწესებულებამ, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ თავისი წვლილი შეიტანა მრისხანე და ვერაგ მტერზე გამარჩვების საქმეში. მათ შორის თვალსაჩინო როლი შეასრულა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ.

ქარხნის მუზეუმში, რომელიც მენავთობეთა კულტურის სასახლეშია მოწყობილი, მთელი კედელი უჭირავს სსრ კავშირის სამულო ომისადმი მიძღვნილ სტენდს, აյ ასახულია საწარმოს კოლექტივის დამსახურება ამ ომში.

„ჩვენ გამარჯვების ფიცი დავდეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!“ ასეთია სტენდის საერთო სათაური, რომ-

ლის ქვეშ წითელ დაფაზე / სწორია: „შრომითი და წაბროვოვი დიდების მატიანე სამშობლოს უმცირესობა ის წლებში“. შემდეგ მოცემულია ციფრები. „ქარხნის 481 მუშაიარალით ხელში იცავდა სამშობლოს. 186 ქალმა შესცვალა ქმრები, მამები და ძმები. ცხრა მილიონ 804 ათასი მანეთის ეკონომიკა მისცეს სამშობლოს გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა. ომის წლებში ქარხნის კოლექტივს თავდადებული შრომისათვის ექვსხერ მიენიჭა სსრ კავშირის ნავთობმრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

ქარხნის 511 მშრომელმა ფრონტზე თუ ზურგში წარმატებისათვის მიიღო ორდენი და ჟედალი“.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივის დიდი დამსახურება მტერზე გამარჯვების საქმეში აღინიშნა იმითაც, რომ მაც სამუდამოდ გადაცა . საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. ეს დროშა ახლა აქ ინახება, როგორც ძვირფასი რელიქვია.



თესლი მაღაზონი

ზღვა და გალაკტიონი

ჩვენი ცოქის უდიდესი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ბევრჯერ სწვევია ბათუმს. იგი მუდამ აღტაცებული იყო აჭარისა და მისი დედაქალაქის სიმშვენიერით. უცვარ-და ზღვა, უაფრაურილი ტალღები, უკიდეგანო სივრცე...

აჭარის პოეტებთან, მყითხველებთან გულითად შევეღდრე-ბუ გალაკტიონი უპირატეს უზრადღებას უთმობდა ზღვის ორმატიკას და ამბობდა, ქართულ პოეზიას „ზღვის ფერი და სუნთქვა“ აკლიათ.

აჭარაში გალაკტიონმა უველაზე მეტ ხანს დაბა 1944 წლის ზაფხულში. მაშინ მან აქ შექმნა მთელი წიგნი „ოქრო აჭა-რის ლაცვარდში“, რომელიც აქვთ გამოსცა. სწორედ ამ პე-რიოდს ეხება პოეტ ნესტორ მაღაზონის მოგონება.

გალაკტიონი უველ დილით ზღვის პირას გადიოდა და შუადღემდე იქ რჩებოდა. მერე დაბრუნდებოდა თავის ნომერში (სასტუმრო „პირველ მაისში“), ისადილებდა და ათოდე წუთის შემდეგ ჩაიკეტებოდა, მას ჩე-ულებად არ ჰქონია ნასადილევს საწოლში მოსვენება. უველ შემთხვევა-ში, ასე იყო ბათუმში ყოფნისას.

უკვე სამუშაოდ განწყობილი, წელს ზევით უველაფერს გაიხდიდა. ფოსტლებს უწინდოდ ჩამოიცამდა, საწოლთან მიღებულ საწერ მაგიდას მიუჩდებოდა და მუშაობდა შეუსვენებლივ: წერდა, ხევდა, ასწორებდა, მერე ხმამაღლა კითხულობდა, კვლავ ასწორებდა. და ასე ფუსფუსებდა შუალამებდე. შემდეგ ივახმებდა, ცოტა ხნით ქუჩაში გავიდოდა, მერე დაბრუნდებოდა, ნაწერს გადახედავდა და იძინებდა.

ერთ დღეს, დილით ძლიერ ნაწვიმარ ამინდში ზღვისპირა პარკის გავლით მომიხდა სამსახურში წასვლა, ზღვა ისევ შეფოთავდა, უზარმაზა-რი ტალღების გრიალი და თქაშუნი ქალაქშიც ისმოდა.

მე, ენგელსის ქუჩაზე გამოსულმა, რუსთაველის მხრიდან პედაგო-გიურ ინსტიტუტში შევიარე, ორიოდ წუთში ჩემი საქმე მოვათავე და ნი-

ნოშვილის ქუჩით, რომელიც ზღვისპირა პარკს გასდევს, გამომცემლობრივის გაცემის გაცემის გაცემი.

ერთი კვარტალიც არ გამევლო. მღელარე ზღვის ცდუნებას უკარისტირებს... ტალღები კისრისტებით ასედებოდნენ ბორდიურებს. სამსახურში მაგვიანნებოდა, სულმა წამდლია, პარკის ჭიშკარი შევალე. ცოტა წავინაცვლე და რას ცხედვ — ბობოქარ ტალღების საწირზე გარინდულა ბრგე ვაჟკაცი და სივრცეს გაჰყურებს.

მივუახლოვდი...

— გალაკტიონ! — უნებლიერ, საკმაოდ ხმამაღლა წამოვიძახე მე. მას არც გაუგონია, ზრც განძრეულა. დიდხანს ვიდექით ასე. მერე ვეღარ მოვითმინე და პოეტისკენ წავედი. არც ჩემი ფეხის ხმა, არც კენჭების ჩხრიალი გაუგონია... შეიძლება, იმიტომაც, რომ ეს ხმები იყარგებოდა ტალღების გაბმულ ხმაურში. მივედი. გვერდიდან მოვუარე და პირდაპირ დავდექი, ახლა მანაც მომაპყრო მზერა.

— ძალიან მოვწონთ, ბატონო გალაკტიონ?

გალაკტიონმა გაიღიმა მისთვის ჩვეული ფართო ლიმილით, წარბები შეათავაზა, მხრებში გასწორდა, ნაბიჯი ჩემსკენ გაღმოღვა და მარჯვენა მკლავი მომხვია.

— ხომ კარგია, ძამიკო? ხომ იდეალურია? აი, სიცოცხლე და უსასრულო ენერგია! ზღვა, ზღვა, ზღვა!

რამდენჯერმე გაიმეორა მან და დადუმდა.

— ავყვეთ ნაპირს. ასე უფრო სინტერესოა. აბა, წყნარი ზღვა რა ზღვაა. — ვატაცებით, თითქოს თავისთვის, თქვა მან, მარჯვენა ხელი მარცხენა მკლავში მაგრად, ძლიერ მაგრად ჩამჭიდა და ასე წავედით.

პარკის შუაგულამდე ასე ვიარეთ, კოლონადების ახლოს, ძელსკამზე ჯერ მე დამსვა, ხელი გამიშვა და თვითონაც ჩამოჯდა. მე შვება ვიგრძენი, ნახევრად დაბურებული მკლავი რომ გამოთავისუფლდა.

— საკირველია, ჩემო ძამიკო, რომ ჩვენი პოეტები ზღვაზე არაფერს წერენ. ამაზე უკეთესი ოემა სადა! დღეიდან მე სულ ზღვასთან მექნება საქმე. იგი იქნება ჩემი ლექსის საგანი, უცვლელი თემა...

ეს თქვა, ცოტა ხამს იყუჩა და მერე მოშევრით წამოღვა.

მეც სამსახური ახლა მომაგონდა. სწრაფად ავდექი და ლენინის ქუჩისაკენ ავიღე გეზი. გალაკტიონი უსიტყვოდ გამშორდა. იგი გრძელი ნაბიჯებით მიდიოდა. ალბათ, ეჩქარებოდა, ქალალზე გადაეტანა თავისი შთაბეჭდილებანი.

სალამოს რვა საათი იქნებოდა. სამსახურში შევრჩი. ტელეფონის ზარი.

— ბოდიში, ძამიკო. სახლში არ იყავით და... დიდხანს დარჩებით მანდ?

— რა გნებავთ, ბატონო გალაკტიონ?

— ლექსი მინდა წაგიკითხო... მოვალ...



— არა. მე ახლა სახლში მივდივარ მაინც და გამოგივლით.
შები აღარ ვაცალე, ყურმილი დავდევი და სასწრაფოდ ქუჩაში გამოვადება
გალაკტიონი მაგიდასთან ზურგშექცევით იდგა და შემოსახულებულება
საკენ იყურებოდა. ჩემ დანახვაზე იგი დაიძრა, კარებში შემომეგება, ორი-
ვე ხელი მომხვია და მაგიდასთან თითქმის ატატებული მიმიუვანა, სწრაფად
გამიშვა ხელი, მაგიდაზე ხელნაწერი აღტაცა და მომაჩეჩა.

— ლექსი, ძამიკო, წაიკითხეთ...

მე ხმამაღლა დავიწყე კითხვა, შეწუხდა. ალბათ, ჩემი კითხვა არ მოე-
წონა. ფურცელი ნერვიულად გამომტაცა და თვითონ შეუდგა კითხვის. კითხულობდა ხმამაღლა, გატაცებით და ზღვასავით მშფოთვარედ აღელ-
ვება ხელს უშლიდა კითხვაში და ხშირად მთელი სტროფის გამეორება
უხდებოდა.

მე ჯერ გალაკტიონი ასე არ მენახა...

კითხვა დაამთავრა. გაირინდა.

— ჩინებულია! — აღტაცებით ვუთხარი მე, მარჯვენა დავუკოცნე.
მაღლობის ნიშნად თავი დავხარე და უსიტყვოდ გამოგბრუნდი.

იგი კარებში დამეწია, ხელი გულზე დაიდო და გულუბრყვილოდ,
ბავშვივით შემეხვეწა:

— ამ ლექსით გავხსნათ წიგნი...

— დიდი სიამოვნებით. — ვუთხარი მე.

იგი მეტად კმაყოფილი დარჩა. მე კი გაოცებული წამოვედი: აბა, რა
თხოენა სჭირდებოდა, როცა მან იცოდა, რომ მისი აზრი და სიტყვა ჩემ-
თვის კანონი იყო.

მგონია, არ მღალატობს მეხსიერება: ეს ლექსი იყო „დასაწყისი“,
რომლითაც იხსნება წიგნი „ოქრო აჭარის ლაუვარდში“.



მოთხოვთა უშიშარ ჩევოლუციონერზე

პარმენ ლორია, „სართიჭალელი ჭაბუკი“. მოთხოვთა აჭარა, 1969წ.

ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკას პარმენ ლორიას შემოქმედებაში თავიდანვე თვალსაჩინო აღილი ეკავა, განსაკუთრებით ოცდაათიან-ორმოციან წლებში. მისი რომანები „საუკუნის დაბადება“, „მევლუდი“, „ტალღები“, აგრეთვე რამდენიმე მოთხოვთა ასახვდა ბათუმის მუშათა და აჭარის გლეხობის ბრძოლას მეფის თვითმყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. მათი ბევრი მოქმედი პირი რეალურად არსებობდა, აღწერილი მოვლენების უმრავლესობაც ნამდვილად მოხდა და ისტორიულ ფაქტად ითვლება.

ბოლო ოცი წლის მანძილზე პარმენ ლორიას არცერთი ისტორიულ-რევოლუციური ნაწარმოები აღარ შეუქმნია, თუმცა ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა უყურადღებოდ არ დაუტო-

ვებია, კერძოდ, ავტობიოგრაფიულ რომანში „დაზგიდან დაზგამდე“, აგრეთვე ზოგიერთ სხვა თხზულებაში. და აი, პროზაიკოსი კვლავ მიუბრუნდა თავის საუკარელ თემატიკას. „საბჭოთა აქარამ“ სულ ახლახან მკითხველს მიაწოდა მისი ახალი, ისტორიულ-რევოლუციური მოთხოვთა „სართიჭალელი ჭაბუკი“.

მოთხოვთის მთავარი მოქმედი პირი გიგო მათიაშვილი რეალური პიროვნებაა. რევოლუციურ მოძრაობაში იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაეგა ჩვენი საუკუნის დამდეგს, მეგობრობდა ისტორიაში კარგად ცნობილ არსენა ჭოჭიაშვილს, ხალხის ჭალათის — გენერალ გრიაზნოვის მკვლელს. იყო დიდი რევოლუციონერის კამას ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და თანაშემწე, მისი ბევრი ლეგენდარული საქმის ქტიური მონაწილე. პარტიის

დავალებით იღვწოდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, მონაშილეობდა სპარსეთის (დღევანდელი ირანის) რეგოლუსტიურ მოძრაობაში. გარდაიცვალა ორიოლის სისასტიკით განთქმულ საკატორლო ციხეში თებერვლის რევოლუციის წინ.

სამწუხაროდ, ისტორიულმა წყაროებმა მათიაშვილზე მეტის-მეტად ძუნწი ცნობები შემოგვინახა და მისი რევოლუციური საქმიანობის შესახებ ძლიერ ცოტა რამ ვიცით, და რაც ვიცით, თითქმის მარტო პარმენ ლორიას შემწეობით. ახლა ძნელი დასადგენია, რატომ მიეცა დავიწყებას ესოდენ თვალსაჩინო რევოლუციონერის სახელი, შეიძლება იგი დაჩრდილა ლეგენდარულმა კამომ, მაგრამ ასეა თუ ისე, სანთელ-საკმეველმა, როგორც იტყვიან, გზა არ დაკარგა. მათიაშვილი მაინც ცნობილი გახდა. იგი თითქმის მკვდრეობით აღადგინა მწერალმა.

ვიდრე მოთხოვას დაწერდა, პარმენ ლორიამ შეტად საყურადღებო სტატია გამოაქვეყნა გიგო მათიაშვილის შესახებ გაზრდა „ახალგაზრდა კომუნისტში“ და, შეიძლება თამამად ითქვას, პირველმა წარუდგინა იგი ქართველ საზოგადოებას და ამცნო მისი გმირული საქმეები. სტატიამ დიდი ინტერესი და ფართო გამომატება გამოიწვია. მწერალს მოუვიდა მკითხველთა ბევრი წერილი, რომლებშიც გულწრფელ მადლობას უხდიდნენ

მათიაშვილის პიროვნებებსა და მისი რევოლუციური მოლვაზე ბის წარმოჩენისათვის ატყობინებდნენ, თუკი რაიმე გაეგონათ ამ უშიშარ მებრძოლზე.

სტატიაზე მკითხველთა ესოდენ ცხოველმა გამოხმაურებამ და საყოველთაო ინტერესმა, როგორც ჩანს, პარმენ ლორიას ბიძეი მისცა დაეწერა მოთხოვა და მხატვრულად გადმოეცა მათიაშვილის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები, ეჩვენებინა, თუ რა თავგანწირვა და მსხვერპლი მოითხოვა მეფის საძულველი რეჟიმის დამხობაში, ახალი ცხოვრებისათვის გზის გაკაფევმა.

მოთხოვაბის ცენტრში, რათქმა უნდა, თვითონ სართიჭალელი ჭაბუკი გიგო მათიაშვილია. პირველად ჩვენ მას ვეცნობით საპატიმროში, უკვე მომაკვდავსა და ძალაგამოლეულს, თუმცა სულიერად ჭერ კიდევ დაუმორჩილებელსა და კერპს. მხოლოდ შემდეგ გადმოგვცემს მწერალი მის საარაკო თავგადასავალს, გვაცნობს იმ გზას, რომელმაც საკატორლო ციხეში მოიყვანა უშიშარი ვაჟკაცი, და სოციალურ გარემოს, სადაც აღიზარდა და გამოიწროო ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლი. სხვათა შორის, პროზაკოსი არც შემდეგ იცავს თხრობის ქრინოლოგიურ წესს, ეპიზოდებს, მოვლენებს კინძავს არა თანმიმდევრულად, არა დროის კვალობაზე, არამედ წი-

ნაწარ შემუშავებული ქარგის
შესაბამისად.

ჩვეულებრივ ბიოგრაფიულ ნა-
წარმოებში, სადაც აღწერილია
გმირის ცხოვრების გზა ბავშვო-
ბიდან სიკვდილამდე, სიუჟეტის
განვითარების ასეთ ხერხს იშ-
ვიათად მიმართავენ. მკითხველს
უძნელდება გადაადგილებული
ფრაგმენტების, პერსონაჟის ხა-
სიათის ფორმირების ცალკეული
ეტაპების ერთ მთლიანობაში
აღქმა. და თუ მწერალმა მაინც
ეს ხერხი ამჯობინა, ამის ერთი
მიზეზი, ალბათ, ისიც არის რომ
მათიაშვილის ბიოგრაფიაში ჭერ-
კიდევ ბევრი „ცარიელი“ ადგი-
ლია და მათი შეესება ფანტაზი-
ოთ, გამონაგონით, შეუძლებელია,
რამდენადაც მოთხოვდის გმირი
რეალურად არსებობდა, ისტო-
რიული პიროვნებაა.

ჩვენ არ ვაპირებთ ამის გამო
ვუსაყველუროთ მწერალს. ყო-
ველი ლიტერატურული ხერხი
კარგია და გამართლებული, თუ-
კი მისი საშუალებით ავტორი
დასახულ მიზანს აღწევს. ამ მო-
თხოვდით 3. ლორის სურდა ეჩ-
ვენებინა მამათა თავდადება სა-
ერთო - სახალხო საქმისადმი.
თვითგამსხვერპლების უნარი, შეე-
ქმნა მებრძოლი რევოლუციონე-
რის მხატვრული სახე, სახე აღა-
მინისა, რომლის მაღალიდეური.
დიადი მიზნით გაცისქოვნებუ-
ლი ცხოვრება მაგალითი იქნებო-
და ახალი თაობისათვის. ამ მი-
ზანს მწერალი უთუოდ აღწევს

და, მაშასადამე, სიუჟეტის განვი-
თარების არჩეული ხერხიც გა-
მართლებულად უნდა იქმნებოდა
ნიოთ.

სასაყვედურო სხვა გვაქვს.
მოთხოვდაში ორი მკაფიოდ გა-
მოკვეთილი სიუჟეტური ხაზია.
ერთი ხაზი გვაცნობს გმირის
ცხოვრებას ციხეში, მეორე ციხ-
ის გარეთ, „თავისუფლებაში“. სა-
მწუხაროდ, პირველს აშკარად
დაპკრავს სენტიმენტალიზმის, ხო-
ლო მეორეს — სათავგადასავ-
ლო — დეტექტური ელფე-
რი. ამით მოთხოვდა არაფერს იგ-
ებს, პირიქით, კარგავს, რადგან
მას არც მხატვრული, არც იდე-
ურ-შინაარსობრივი ფუნქცია
არა აქვს და არსებითად გამიზნუ-
ლია არც თუ ისე მაღალი გემოვ-
ნების მკითხველის გულის მოსა-
გებად, მისაზიდად. მაქსიმ გორ-
კიმ სიუჟეტს „ხასიათის ზრდისა
და ორგანიზაციის“ ისტორია
უწოდა და ყველაფერი, რაც ას
ისტორიას არ ემსახურება, ზედ-
მეტია, უფუნქციო და უსარგე-
ბლო.

ნაწარმოებში სასიამოვნო სია-
ხლეა გამომძიებელ რუსინოვის
მხატვრული სახე. ჩვეულებრივ
3. ლორის უარყოფით პერსონაჟს
არავითარ დადებითს არ უტოვე-
ბდა, მაში მხოლოდ ბოროტსა
და არაკეთილს, დასაგმობს ხედავ-
და. ცხოვრებაში კი ასეთ ადამი-
ანებს ძლიერ იშვიათად ვხვდე-
ბით. რაღაც დადებითი, რაღაც
კეთილი საწყისი ყოველ ადამიან-

შია და მისი უარყოფა შიშველი
ტენდენციურობის მაჩვენებელია.
შორს რომ არ წაიდეთ, ამის მა-
გალითია რუსთაველი. მის ფატ-
მანს უარყოფითთან ერთად ბევ-
რი დადებითი თვისებაც გააჩ-
ნია. რუსინოვის მხატვრული სა-
ხის შექმნისას პ. ლორია რუსთა-
ველის კვალს გაცყვა. რუსინოვს
იგი ხატავს როგორც მეფის ერთ-
გულ მსახურს, გაიძვერა და გაქ-
ნილ კარიერისტს, მაგრამ მაცვე
დღროს ტაქტიან, მცოდნე და ჰქვი-
ან ადამიანს. ეს ოდნავადაც არ ან-
ელებს მკითხველის სიძულვილს
რუსინოვის პიროვნებისადმი, და-
მაჯერებლობას კი უთუოდ მა-
ტებს როგორც თვით მხატვრულ
სახეს, ისე მთლიანად მოთხრობა-
საც.

სამაგიეროდ მაცევიჩი „ტრადი-
ციული“ ციხის უფროსია, სასტი-
კი, დაუნდობელი, სისხლისმე-
ლი, რომელსაც არც კი შეიძლება
უწოდო ადამიანი. მასში გაერთი-
ანდა კლასობრივი მტრობისა და
პირადული შურისძიების გრძნო-
ბა, რამაც იგი მხეცად, ჯალათად
აქცია. შემთხვევითი არ არის, რომ
სამი ტყვიით განგმირული მაცევი-
ჩი პატიმრებმა „ფეხებით დაით-
რიეს და ნახევრად დამსხვრეულ-
დაგლეგილი ეზოში გადაგდეს“.
ჩვენ არ ვიცით, ნამდვილად რო-
გორ დაიღუპა მაცევიჩი, ვწე-
რალს, ალბათ, გააჩნია სათანადო
მასალა და უფლება არა გვაქვს
არ დაუუჯროთ მას. მაგრამ ეს
არ არის მთავარი. მთავარი ის არ-
ის, რომ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება

მხატვრული სახის სიმართლე,
თუმცა მწერალმა მის შესახებ
ლად მხოლოდ ერთი — მარტოზაფი
რი გამოიყენა. მას ხელს უწყობა
რუსინოვის მხატვრული სახეც,
მეითხველი რწმუნდება, რომ შე-
ფის მთავრობას ჰყავდა არა მარ-
ტო რუსინოვები, არამედ მაცევი-
ჩებიც. ერთნი იძიებდენ და
სჯიდნენ, „სუფთად“ მოქ-
მედებდნენ. მეორენი კი ხო-
ცავდნენ და ხელი სისხლში
ჰქონდათ გასვრილი. რუსინოვი
და მაცევიჩი ერთმანეთს ივებდენ
და ნათელ შარმოდვენას გვიქმნი-
ან მეფის ხელისუფლებაზე.

მოთხრობის დადებითი გმირე-
ბიდან ყველაზე სრულყოფილია
გიგო მათიაშვილის მხატვრული
სახე. ვწერალი საქმაოდ დაწვრი-
ლებით გვაცნობს მისი ცხოვრე-
ბის გზას აღრე ბავშვობიდან ცი-
ხეში დაღუპვამდე, დამჯერებ-
ლად გვიჩვენებს ამ უშაშარი რე-
ვოლუციონერის ხასიათის ფორ-
მირების პროცესს. სართიაშვილე-
ლი გლეხის ბიჭი თვით უზარმა-
ზარი რუსეთის მეფისათვის ხდე-
ბა ცნობილი. თავის ამხანაგებთან
ერთად იგი შიშის ზარს სცემს
შავრაზმელებს, მეფის ერთგულ
სატრაპებს. უშაშარი და გაბედუ-
ლი, იგი სრულიადაც არ ურის თა-
ვზე ხელაღებული, როგორც ხში-
რად გვიხატავდნენ ტერორისტ-
რევოლუციონერებს. სადაც პირ-
დაპირი ვაჟაცობა არ ვაუდის,
იქ გიგო ხერხს მიმართავს (ბაჟურ-
ხანოვის მკვლელობა). მდიდარი
ტექნიკური ნიჭი და მოსაზრებუ-

ლობა, სიტუაციაში სწრაფად კარგვევის უნარი საშუალებას აძლევს მას თითქმის ყოველთვის მიაღწიოს დასახულ მიზანს.

ცხადია, გიგო მათიაშვილი ტერორისტად არ დაბადებულა, მისი ხასიათი გამოიჭედა ცხოვრების სიღუხჭირესთან მკაცრ ბრძოლაში. მას თითქოს დედის საშოდან გამოყევა შეუპოვრობა, ბედთან შეურიგებლობის სულისკვეთება. მწერალი აგნებს ისეთ დამახასიათებელ დეტალებს, რომლებიც მკაფიოდ გვიხატავენ გმირის ბუნებას. გავიხსენოთ თუნდაც გიგოს ქალაქში ჩამოსვლის ეპიზოდი. უფროსმა ძმამ ურჩია შეესწავლა მისი ხელობა, გამხდარიყოთერი. გიგომ გადატრით უარყოეს წინადადება — ნემსი და სათით რა ვაჟკაცის საქმეაო, და თვითონ შეუდგა სამუშაოს ძებნას. სწორედ აქ გამოჩნდა მისი ხასიათის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. იგი ეძებდა ისეთ სამუშაოს. რომელიც არა მაჩტო ღუჯამა პურს გაუჩენდა, არამედ კმაყოფილებს, სიამოგნებასაც მიანიჭებდა. იპოვა კიდევაც — წყალსადენის მშენებლობაზე მოეშეკრდა ყველანი განაცვითრა ბუნებ-

რივი ნიჭით და საქმის ზეცვლით.

ასე თანდათან, თითქმის მცდელობაში ნაბიჯ, დამახასიათებელი დეტალებით კინძავს მწერალი უშიშარი რევოლუციონერის ბეატვიულ სახეს. ყოველი ახლი ეპიზოდი გმირის ხასიათის რაღაც ახალ ნიშანს გამოხატავს და, ბოლოს, ერთ მთლიანობაში აღვიქვამთ ყველა დეტალს, როგორც მოზაიკის ცალკეული ქვები ქმნიან ერთიან სურათს. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბოლო წლებში პ. ლორიას არ შეუქმნია უფრო ძლიერი, უფრო სრულყოფილი მხატვრული სახე, ვიდრე ვიგო მათიაშვილის მხატვრული სახეა. იგი მწერლის უდაო გამარჯვებაა.

მოთხრობაში სხვა დატებითი გმირებიც არიან, მაგრამ ვითი ღახასიათება ჰორს წაგვიყენდა და არც არის აუცილებელი. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსი ქალიშვილის კატერინა პავლევნას უთუოდ მიმშიღველი მხატვრული სახე მოჭარბებული სენტროგნტალიზმით სცოდავს.

ასეთია ჩვენი შრიოთ, პ. ლორიას ახალი მოთხრობის ზოგიერთი ლირსება-საკლოვანება.

მ. შავგულიძე

ტელეკრი გულთებ

რევაზ ართილაყვა, „ლია სარკმელი“. ლექსები. „საბჭოთა აჭარა“, -1969წ.

ახლა, როცა ხშირად ღაპა-
რიკობენ უფერული ლექსების მო-
ძალებასა და პოეზიის ინფლაციის
საფრთხეზეც კი, მკითხველი
ერთგვარი სიფრთხილით ეკიდე-
ბა უცნობი ან ნაკლებად ცნობი-
ლი ავტორების წიგნებს.

რ. ართილაყვა ნაკლებად არის
ცნობილი. რა თქმა უნდა, ძნე-
ლია პოპულარობა მოიპოვო ის-
ეთ მაღალი რანგის პოეტების
სამშობლოში, როგორიც ჩვენი
საქართველოა. ბრწყინვალე პოე-
ტური შედევრებით განებივრე-
ბულ ქართველ მკითხველს ვერ
მოაწონებ და მით უფრო ვერ
შეაყვარებ თავს თუ მწერლობა-
ში შენი, თუნდაც საცალფეხო
ბილიკი არა გაქვს ამორჩეული.
სარეცენზიონ კრებული ამგვარი
ბილიკის გაჩენის მეორე დღაა,
ავტორის მეორე წიგნია.

ამჯვეუნად მხოლოდ ადამიანი
აძლევს კველაფერს აზრსა და ში-
ნაარსს თავისი შემოქმედებითი
შრომითა და შეუპოვარი ბრძო-
ლით. ამიტომაც პოეტი ყოველი
საგნისა და მოვლენის უკან ხდე-
ავს ადამიანს — ბუნების გვირ-

გვინს, სამყაროს ბატონ-პატი-
რონს.

მიწაზე დავალ
ამაყად,
რადგანაც მკვიდრი ვარ
მიწის,

ოცნება უსაზღვროდ
გამალლებს,
გულიც სიმალლისაკენ
იწევს.

ხელში მიჟირავს
ცა მყირად,
ღმერთი ვარ,
ცეცხლი ვარ,
მთა ვარ,
მე თავადა ვარ
სამყარო,
სამყარო ჩემშია
თავად.

კრებული იხსნება ამ ლექსით,
რომელიც უნებლიერ გვახსე-
ნებს მაქსიმ გორკის სიტყვებს —
ადამიანი ამაყად უღერს!

ეს ფრაზა, რაც ღრო გადის,
მით უფრო მეტ აზრსა და ელ-
ფერს იძენს. ჩვენი ეპოქის ადამი-
ანს „ეცოტავება მიწა“ და შო-
რეულ პლანეტებს უტევს, „უსა-

სრულო სამყარო მორჩილად უჭირავს ხელში“. პოეტი იქნებ აკარგებს, მაგრამ არაფერია, ადამიანის გენიას, ნებისყოფას, დიალი მიზნისაკენ სწრაფვას წინ ვერაფერი ალდგება, დღეს თუ არა, ხვალ ან ზეგ კოსმისური რეისები ჩვეულებრივ მარშრუტებად იქცევა, ვარსკვლავეთისკენ მანძილი და დროც შემცირდება.

კოსმონავტიკის მიღწევათა პოეტიზაცია ერთობ დამახასიათებელია თანამედროვე მწერლობისათვის. მეცნიერება უხვად ასაზრდოებს პოეტის შემოქმედებას, უფრო კონკრეტულსა და ზუსტს ხდის პოეტურ აზროვნებას. თუ უწინ ვარსკვლავებით მოჭედილი კა აბსტრაქტული და სასიყვარულო სიმბოლიკის ფარგლებს არ სცილდებოდა, ახლა იგი ადამიანის სამუშაო ადგილად, „დედამიწის ფილიალად“ წარმოგვიდება.

უსაზღვრო ცის გაეხსნათ სარკმელი
და მიწა ვაღიდოთ ცამდე,
ზეცაშიც ბევრია საკვლევი,
მიწაზეც ბევრია საქმე.

(„ახალგზარდული“)

ამ სტრიქონებში მიწიერისა და ზეციერის კავშირი, მიწის პირველობა უბრალოდ, მკაფიოდ, ყოველგვარი კონსმოგონიური ტერმინების გარეშეა გადმოცემული: კოსმოსის დაპყრობით მიწას ვადიდებთ ცამდე. რ. ართილაყვასაერთოდ გაურბის იშვიათ სიტყვებსა და უცხო ტერმინებს. მის ლექსებში ურიგოდ არ გრძნობენ თავს რიგითი, ნიადაგსახმარი სი-

ტყვები, რაც მთავარია, აზრის მშეობენ ისე. რომ მკითხველი თვალს არ სჭრიან. ურთოფუძულო თვით ავტორს, ისე მის ლექსებში დაპკრავს წმინდა ყმაწვილური მორცხვობა, სიწითლის გრძნობა. იგი ხმას ძალით არ იბოხებს, არ ყვირის, რომ ქვეყანა გააყრუოს და გააკვირვოს. მთელს კრებულში სულ ოთხიოდე ადგილს არის დასმული ძახილის ნიშანი. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. ჩანს, თანაბარ და მშვიდ სასაუბრო ტონს, რომელიც არ იწევს ძალიან ზევით და არც ეშვება ნორმალურ ადამიანურ ხმაზე დაბლა, არ სჭირდება ხელოვნური ამაღლება, დაძაბვა, მოჩვენებითი პათოსი.

აი კიდევ ერთი სტროფი, და ის-იც „კოსმოსური“.

მიწამ სილალს მიმაჩვია და ვარსკვლავებს ვერეკები ქარავნალ.
ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალმწად.
(„მიწამ სილალს მიმაჩვია“)

თითქოს პროზაულადაც კი არის ნათქვამი, მაგრამ რაოდენი შინაგანი სითბო აქვს, როგორი პოეტური უშუალობა. გეგონებათ, ამ სიტყვებს ამბობს მაღალ მთაზე ასული, ვარსკვლავებს და მგზავრებული მწყემსი ბიჭი, რომელსაც ჭერ ცხოვრების სუსტი არ უნახავს და არც ტყუილი უთვისამს არასოდეს.

მარტივად და საღად თქმა, ბუნებრივობა — ის რა არის პოეტის სახელმძღვანელო პრინციპი. იგი საერთოდ არ არის მოწოდების,

ლოზუნგის კაცი, მაგრამ ერთ-ერთ ლექსში („ისე რთულია ეს სიმარტივე, ისე დიდია ეს სისა-დავე“) მისთვის უჩვეულოდ იმ-აღლებს ხმას: „ძირს ყველაფერი, რაც არის ქვეყნად ხელოვნური და ნაძალადევი!“ ან კიდევ — „ეს გაუმარჯოს ბუნებრივ სიც-ილს, ეს გაუმარჯოს ბუნებრივ წუხილს!“ ამგვარი რეჩიტატი-ული ფორმა ალბათ იმიტომ აირ-ჩია, რომ მყითხველისათვის უფ-რო გასაგები ყოფილიყო წიგნის ავტორის პოეტური მრწამსი.

იმ ლექსებშიც კი, სადაც მარა-დიულ, ფილოსოფიურ თემებს ეხება („ლუწი და კენტი“, „სამ-ყარო ხომ ვრცელია“, „ასი წლის რომ იყო...“, „თავიდან ასე უთქვამთ“), რ. ართილაყვა საო-ცარს არაფერს ეძებს, არც ცდი-ლობს ვინე გააკვირვოს ტვინსა-ჭყლეტი სახეებით. და ეს მით უფ-რო კარგია, რომ მა ბოლო დროს ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი ნამეტანს ცდილობს ლექსი გადა-ტვირთოს გაუგებარი სახეებით და შეგვიქმნას ისეთი შთაბეჭდი-ლება, თითქოს გვამდიდრებდეს მაღალი რანგის, ღრმა ფილოსო-ფიური გააზრების პოეზიით.

პოეტი ადამიანში, საგნებსა და მოვლენებში ეძებს შინაგან სი-ლამაზეს და არა გარევნულს. გო-ჩვენებითს. ასეთია იგი საკუთარი ლექსის მიმართაც.

ლამაზი სახეები
წამით აგვანთებენ,
ლამაზი სული კი
დაცხლს გვიჩენს უქრობს,


სულის სიმახინჯეს
უფასენით ანათემას, უძრავულები-
ხოლო სხეულისას გამჭლირთვა
აუგიანთ უფრო.
სამყარო ხომ ვრცელია,
ურცელი, იმდენა...
ჩვენი სურვილები
ათასჯერ ვრცელია,
ძნელია ცხოველება
მარტო იმედებით,
უიმედობა კი
ათასჯერ ძნელია.
(„სამყარო ხომ ვრცელია“)

ამ სტრიქონების ლაკონიურო-ბა, გამოსახვის მკაფიოობა, სიცხა-დე, აღქმის სისწრაფე თითქმის უტოლდება ფრთიანი სიტყვის ემოციურ-ზემოქმედებით ძალას.

მთელი კრებული შთაგონე-ბულია მშრომელი, შემოქმე-დი ადამიანისაღმი უსახლვრო სიყვარულით, ჩვენი ხალხის ძლი-ერებისა და უძლეველობის რწმე-ნით, ჯანსაღი ოპტიმიზმით. მო-რალური სიწმინდითა და სიფაქი-ზით.

ადამიანი უპირველეს ყოვლი-სა სიკეთის, ძმობისა და მეგობ-რობის მთესველია, მაგრამ მან მა-ხვილიც უნდა ლესოს მტრებისა-თვის, „რადგან ცხოვრება ასე მოითხოვს“. სამშობლოს ამაღლ-ება, გალალება მილიონთა შრო-მის, ბრძოლისა და თვეგანწირვის ნაყოფია. მამულის ვალი ყველას კისრად გვაძევს. ის არის ჩვენი სული და გული, სისხლი და ხორ-ცი, თვალი და ყური, ჩვე-ნი აჩსობის პური, გრძნობა და აზრი, სიცოცხლის არსი.

პოეტი აცოცხლებს მშობლიურ
მთაგორებს, მდინარეებს, ზღვას
და ადამიანური თვისებებით წე-
მოჰყავს ადამიანურ ურთიერთო-
ბათა სფეროში. ზღვამ იცის
„ზღვა დარდიცა“ და „ზღვა სი-
ხარულიც“. მისი „ტალღა სულ-
წასული“ მშვანე კონცხის უბეს
კოცნის. „კოცნით დამთვრალ ტა-
ლღებს ძილი ეპარებათ“. ჩანჩქე-
ბი იღლებიან, იქანცებიან და „გა-
დადიან ნაკადულში“. ნიავი მიმო-
რბის ჭალაში როგორც „ბავშვი
უქუდო“. მზესუმზირს მთელი
დღე რომ მზეს უმზერს, მთვარე
რაღა დააშევა?

მთვარე ბრაზობს —
შერე როგორ,
მზეს სიტურფეს ეცილება,
მზეს კი,
როგორც თამამ გოგოს,
ნება-ნება ეცინება.
(„მზესუმზირები“)

ამგვარი, ხალცურ ყაიდაზე და-
წერილი ლექსებიც ამშვენებს
კრებულს. ისინი გამოირჩევიან
ხალცური შემოქმედებისათვის
დამხასიათებელი სისხარტით,
მოქნილობით, უშუალობითა და
ემოციური ძალით.

ყველაზე მეტ წარმატებად მა-
ინც მიგვაჩნია ლექსების ციკლი
„გზები და მგზავრები“, რომ-
ლითაც იხურება და შეიძლება
ითქვას, ჯამდება კრებული. იქნებ
აჯობებდა, წიგნიც ასე მოგვენათ-
ლა. „ღია სარქმელი“ ჭვრეტითს
ასლციაციებს იწვევს, მაშინ როცა
საგნები და მოვლენები, რომლებ-

თანაც პოეტი გვაახლოებს, ციც-
ხლი შეგრძნებით, უშუალო
ხებით არის აღქმული. უკრავულები
ლექსების ეს ციკლი გვაცდებულ „ტუ-
რისტულ ლირიკას“. იგი დაუ-
სრულებელი მოძრაობის, მარა-
დიული ძიების, სიკეთისა და
პროგრესისაკენ ადამიანის დაუო-
კებელი ლტოლვის ერთგვარი ფი-
ლოსოფიული გააზრებაა. ყოველ-
გვარი დამყაყებულობისა და
უმოქმედობის წინააღმდეგ მიმა-
რთული პოეტური სიტყვაა.

ისევე როგორც მოძრაობა,
გზაც უსასრულოა. მართალია,
ამ გზაზე „ზოგი მიიწევს წინ და
ზოგი ბრუნდება უკან“, „ზოგი
დადის და მაინც დგას ერთ აღვ-
ილზე“, „ზოგი ისწრაფვის მაღლა,
ზოგი ეშვება დაბლა“. მაგრამ
საერთოდ მოძრაობა წინსვლი-
თია, განვითარებადია.

მშვიდად როდი ვართ გზაშიც,
ვოცნებობთ ახლ გზებზე
და ყველა თანამგზავრში
თანამოაზრეს ვეძებთ.
(„ეზები და მგზავრები“).

გზას ანათებს ადამიანის გო-
ნება, აზრი. გზაც თავის დაღს
ასვამს ადამიანს, აფიქრებს ახალ
გზებზე, ამხნევებს და წინ ეწევა.
გზაზე ვარ და გზისგან დაღლილ
გზა მამხნევებს ისევე.
(„მგზავრული“)

ვინც უკანასკნელ კილომეტ-
რებს ითვლის, მისთვის გზას აბა
რა მნიშვნელობა აქვს. იგი ძვირ-
ფისია ქვეყნის ნამდვილი ბატონ-



ეროვნული
მუსეუმი „შეკაბული“

პატრონისათვის — შემოქმედებითი შრომის აღამიანისათვის. ამიტომ გზაც არ არის გულგრილი, მან „თავისი გზა იცის“, „თათქოს მგზავრია ისიც, ერთგულ თანამგზავრს ეძებს“.

ამით დავამთავრებდით წერილს; რომ კრებულში არ იყოს უფერული და სუსტი ლექსებიც კი.

სიშმარივით გადასულა
საუკუნე, ასი წელი,
როგორც კველი სიდუხეირე
ადათებიც დავწვიო ძველი.

(„ნინოშვილის გურიაში“)

როგორ გინდათ დაიჯეროთ,
რომ ეს სტრიქონებიც რ. ართი-
ლაყვას ეკუთვნის!

ასევე სუსტია ლექსი „შუშა-
ნიკ“. ამასთან ძალზე გაზვიადებუ-
ლად, ყოვლად უმართებულოდ
არის გაგებული იაკობ ცურტავე-
ლის ცნობილი ნაწარმოების პერ-
სონაჟი.

დღეს ჩვენში კეთილი რაც არის,
როთაც კი ვაბაყობთ ჩვენ ამდენს,
ნამდვილი ქართული რაც არის,
შენ მოგიტანია ჩვენამდე.

თხუთმეტი საუკუნის მანძილზე თუ შუშანიკით გვედგა სული. მაინც არ ყოფილა ჩვენი საშველი.

„ნამდვილი ქართულის“ პრე-

ტენზია აქვს აგრეთვე ლექსები „რიქიფე“.

საქართველოს სადლეგრძელო,
ძმებო შევსვათ ქართულ ლვანით.

დამისხი, რომ საქართველო
ვადლეგრძელო ერთხელ კიდევ-

საქართველოს სიყვარულში
მეც ყანწივით დავიცალო.

ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, თვალწინ დაგიდგებათ „ქეიჯში გამშპარი“ კაცი. მას საქართველო მაშინ ახსენდება, როცა ხელში უჭირავს ღვინათ სავსე ყანწი, მაშინ აჩენს იგი პატრიოტული გრძნობის მოზღვავებას, მაშინ გვევლინება ჩვენი ერის ღირსების დამცველად. ნაბახუსევს კი... ვინ იცის ამდენ მაგინებელს შეგძენს.

შენი ქვეყნის წრფელი სიყვარულის, მისთვის თავდადების ყანწურ-ბახუსური გამოხატვა, მეტი რომ არა ვთქვათ, პრიმიტიულია და დღევანდელ „ნამდვილ ქართულთან“ არაფერი აქვს საერთო. ამას ცხადყოფს თვით რ. ართილაყვას არაერთი ლექსი, რომელიც შთაგონებულია ხალხისაღმი ერთგულებით და უპრეტენზიო სამსახურით, დროისა და მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობით.

პ. შანიძე.

ՅԱԴԵՐ ՀՐԱՎՅԱ

ପ୍ରକାଶକ ମହିନେର ପରିଚୟ

კულტსახლი მართლაც კულტურის
კერა იყო ჩვენს სოფელში.

იმართებოდა კონცერტები, იღგმე-
ბოდა პიესები.

ხალხი კულტსახლის მუშაობით კმა-
ყოფილი იყო.

მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი აირია.

ეს მოხდა გაშინ, როცა კულტისახლის
საცეკვეოესო სპექტაკლებზე კონკურსი
გამოცხადდა.

ამბობდნენ, გამარჯვებულებს ჭერ რა-
იონში და მერე დედაქალაქში მოუწევს
შასვლაო.

სოფლის ხელმძღვანელობამ იფიქრა:
ამ საქმეს ჟელები ვერ უშველიან, თა-
ვი არ შევიტრცხინოთ და კულტსახ-
ლის ხელმძღვანელობა გადაახალისა, —
დანიშნა ახალი დირექტორი, მოიწვია
ახალი რეკისორი.

— ჩვენ სერიოზულად ვემზადებით
საკონკურსოდ, გვაქვს იმედი, ჩვენი¹
ახალი დაღვგმა გარღატეხის მაუწყებელი
იქნება კულტსახლის მუშაობაში და
უიურის პრიზიც ჩვენი იქნება! — დიდი
რისით აცხადებდა კულტსახლის ახალი
დირექტორი და მომავალი გამარჯვების
სიხარულით ახვირში იცინოდა.

— მი ბეზუსლოვნო პობელიმ! — მოკლედ იძლეოდა ინტერვიუს ახალგაზრდა

რევისორი, რომელსაც უიურის იმედი
ჰქონდა.

ჩვენი სოფლის მრავალტრიადიანი გა-
ზეთი, რაონის გაზეთი თუ რადიოგადა-
ცემა ყოველ მესამე დღეს ჩვენი-
კულტურსახლის მომაკალ სპექტაკლზე ლა-
პარაკობდა.

— რა ამბავია, თუ იცით, ამისთანას-
რას ამზადებენ? —ერთმანეთს ეკითხე-
ბოდნენ სოფლელები.

— ରୂ ପିଲା, ରୂପ୍ତା ଫ୍ରାଙ୍କିଶ୍ଵର ରୂପ୍ତା
ମହାଦେବ, ଅଳ୍ପାତ, ତୁବାନୀ, ରୂପ ମାଗାଞ୍ଚ
ଉତ୍ତର ବେଶର୍ଷେବା ସାଥ ପ୍ରକାଶିତରୁଲେ ଘୋ-
ପିଲା.

ორი თვე რომ გავიდა, ერთ დღე,
კულტისახლიდან გაცხარებული გამოვა-
რდა ახალგაზრდა რეაქტორი:

— ხელოვნიერი ნადა ზამენით!
— სხვათა შორის, საღალაც თქვენ მა-
რთალი ხართ, მეც აგრე ვფიქრობ! —
კვრი დაუტა დირექტორმა.

დირექტორი ადრე ქათმის ფერმის
გამგედ მუშაობდა და თეატრი ისე იც-
ოდა, როგორც ინდაურმა გალობა. ეში-
ნოდა, რეჟისორმა ხელოვნების უკოდი-
ნარობაში არ გამომიჭიროს და ყვე-
ლაფერზე თავს უწევდა.

— ზაირე შტო ია ზაფუმალ? — თვალი მოჭურა ჩეკისორმა, — ვმეტე აფორლენი ბუდეთ ფოტოპანორამა იკინკადრი... ეტა ველიკოლეპნა!

— სხვათა შორის, მაგაზე წუხელ
კოინტობი! — მითაც დირაჭილია:

და გაკვერცვება რომ დაეფარა, ცხვირუში ჩინცინა.

მუშაობა კიდევ უფრო დაიძაბა: რა-
ოთხიდან მოიწყეს კინოპროექტის მუშა-
ცები, იყიდეს ახალი კინოპროექტი და...
ერთი ტრაქტორის ფასი კიდევ წავი-
და.

კონკრეტურსზე წასლის დრო რომ მოა-
ხლოედ, მუშაობა მთლიად გაცემლდა:
კინოკლიუმების შოვნა ორი უღელი ხა-
რის ფასი დაჭდა, ორი ძროხის ფასი
კიდევ ერთ ახალ კინოპროექტს დასჭირ-
და.

უკელას ეგონა, რომ კულტსახლი რა-
ღაც არაჩეულებრივს ამზადებდა.

მოახლოვდა სპექტაკლის გასინჯვას
დღეც.

ხალხი ღელავდა.

უკელას უნდოდა ენახა ახალი სპექ-
ტაკლი, — საკონკრიტოდ და სასიგე-
ლოდ გამზადებული, ტრაქტორებისა და
ხარების ფასად ღირებული.

წარმოდვენის წინასწარ გასინჯვას სო-
ფლის ინტელიგენცია და რაიონიდან
მოსული არმდენიმე კაცი ესწრებოდა.
ფართა არც ისტნებოდა და არც ისტრე-
ბოდა, ასეთი იყო რეკისორის ჩანაფიქ-
ტო.

პიესა ირ მოქმედებად, შესანიშნავად
იყო გაზრდებული: პირველ მოქმედებაში
ორი იყო ასახული, მეორე მოქმედება
კომედიას წარმოადგენდა და შეიგ ჩევ-
ნი სოფლის ომისშემდგომი ცხოვრება
ირეცვებოდა.

საგანგებოდ შეტჩეული მაყურებე-
ლი სულვანაბული ელოდა სპექტაკლის
დაწყებას. მეტადრე თავმჯდომარე ღე-
ლავდა: ვაითუ ამდენი ფული წყალში
ჩამიცვდეს!

ღელავდა თავმჯდომარე და რაიონი-
დან მოსულ უიურის წევრს მეგობრუ-
ლიდ ულიმოდა, იცოდა, ამ კაცზე ბევ-
რი რამ იყო დამიკიდებული.

ერთგვარი მღელვარება რეჟისორსაც
გადასდებოდა.

უფრო გამედულად იყო ყოფილი ქა-
თმის ფერმის გამგე. იგი დარბაზში სა-

ქმინად დადიოდა და ყველა შევ-
ციდებლად იღიმებოდა, ურთიერთ-
დარბაზში სინათლე ჩატანული
საექტაკლი დაწყო.

სცენაზე ქალიშვილი შემოიკრა, სამ-
სედრო ფორმა ეცვა. მას ექვსი ახალ-
გზრდა ჯარისკაცი მოსდევდა.

— ვამე, რა უნდათ ამ ქალთან? —
იკითხა ვიღაცამ.

— რმის ამბავია... მედიცინის დას ჯა-
რისკაცები სიყვარულს უხსნიან.

— მერე, სად გავონილა ასეთი რმი? —
ისევ გავვიტრე ვიღაცამ.

ამ დროს იზრიალა დარბაზმა, სცენის
თავზე საშინელი წივილ-კივილი ატულა,
დარბაზში მესერშმიტები შემოიჭრნენ.

— ვამე, ნენა! — იკერტა თავმჯდომა-
რემ, სიბერებული სკამიდან წამოიჭრა,
იქვე რაღაცას ფეხი წამოკრა და ძირს
ზღართანი მოადინა.

მესერშმიტები გაქრნენ, დარბაზში
სინათლე აენთო.

პარტერში თავმჯდომარე გაშელარ-
თულიყო, სცენაზე ჯარისკაცები გაწო-
ლილიყვნენ.

— როგორ, ხალხი იმში სიკვდილს გა-
დარჩა და ახლა აქ, კულტსახლში და-
გაბოცეინებოთ? — ფარიბრდა თავმჯდო-
მარე, — აქედან ნახევარი მაყურებელი
ვერ გავა ცოცხალი!

— უქას ვაინა დოლენი ზნატ ვსე! —
თქვა რეჟისორმა.

— შესანიშნავი სპექტაკლია, — დაიწყო
მასწავლებელმა ვალიკომ, — ოთხი წელი
ფრინტზე დავუავი და ასეთი რმი არ
მინახას!

— საქმე ის არის, როგორ მიიღებს
მაყურებელი, — ჩაერია სასოფლო საბ-
ჭოს თავმჯდომარე.

— პაკა პუბლიკუ ნე ნადა პაკაზათ...
ეტა მი სპეციალისა დლია კონკურსა! —
თქვა რეჟისორმა.

მას რა ენაღვლებოდა, მოწვევლი
იყო და, დიდ ხელფასთან ერთად, ყო-
ველდღე თოხლო კვერცხს ყლაპავდა.

— კაკ ნე პაკაზათ, — გადაირა თავ-
მჯდომარე, — წარმოდგენა ხალხს თუ

არ ვუჩენეთ, აბა რა ჯანდაბად მინდა!
მაგრამ რაიონში წინასწარ იყო საქ-
მე ჩაწყობილი.

ის კი არა, თავმჯდომარე ისე შეკე-
რეს, ბანკეტის მოწყობაც კი იყისრები-
ნეს.

დათვალიერების დღეს რა ლინო, რა
მანდარინი, რა შემწარი და მოხრაუ-
ლი დაიძრა რაიონისაკენ!

მაგრამ წარმოდგენის შემდგ მაინც
ცხარე კამათი გაიმართა. საქმე იქამდეც
მიიღია, პურმარილზე კინაღამ უარი
ოქეს შიურის წევრებმა.

მაგრამ მერა, რა უნდა ექნათ, თავმ-
ჯდომარეს სცეს პატივი და მიიღეს
პურმარილი.

ბანკეტზე დასწრება კი იმას ნიშნავ-
და, რომ დედაქალაქში წასლის საქმე
ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით გა-
დაწყვეტილი იყო.

მაგრამ რა გინდა, ხიფათს რა გამო-
ლევა!

შიურის წევრები პურმარილით რომ
გამოიბრუნენ, კრიტიკოსებად მერა იქ-
ცნენ.

— პურმარილი პურმარილია, მაგრამ
ეს სპექტაკლი არ არის და მოღით, დე-
დაქალაქში გაგზავნაზე თავი შევიკავოთ,
—თქვა ერთმა.

— შტრი ვი გავარიტე! — გაიკირვა
რეკისორმა, — სპექტაკლ ბეჭუსლოვნო
პობელი!

— ეერა! — წამოდგა შიურის მეორე
წევრი, — სირცევილს ვპატოთ. — შიგ ბე-
ვრი სიყალბერა და არ გვაპატიებენ!

კოლექტივის თავმჯდომარეს დანა
პირს არ უღებდა.

არ იცოდა, რა ექნა და რა ეთქვა.
ახლა ნანობდა: რა ხათაბალში ჩაიგ-
დო თავი, კონკურსში რას ეგმებოდა,
ან ახალი რეკისორი რად უნდოდა, ან
კულტსახლის ყოფილ დრექტორს რას
ერჩოდა...

სურარაზე ლვინო ისმებოდა და სპექ-
ტაკლის მაგინებელთა რიცხვი იზრდე-
ბოდა.

— უელაფერი უკულმა ჩემთან რევა-
ხდება! — დარღობდა თავმჯდომარე,
ლვინო კულტსახლის რომ კარგ გუნდზე
აყენებს, ეს უიური რამ გადარიცხულული
ისევ კულტსახლის ახალმა დიოცესი-
რმა ისახლდა თავი: საცხე ჭიქა აიღო
და სიტყვა ითხოვა.

— მე, მთელი ჩემი კოლექტივის სა-
ხელით, დიდ მაღლობას მოგახსენებთ
შენიშვნებისათვის და მყაცრი კრიტიკი-
სათვის. მართალია, ჩვენ ამ სპექტაკ-
ლით ვერავის გავაკვირვებთ, ჩვენს ცე-
რამა... ბოდიში სპექტაკლს... სერიოზუ-
ლი ჩავარდნები აქვს, სადღაც რევენ
მართალი ბრძანდებით, მაგრამ, სხვათა
შორის, ამას ჩვენც ასე ვფიქრობით.
ადვილი შესაძლებელია მაყურებელმა
ჩვენი სპექტაკლი არ მიიღოს, შესაძ-
ლებელია კვერცხი ცუდი ხარისხისა...
ბოდიში, კიდევ ფერმაში მგონია თავი!..
მაგრამ მოღით, ეს საქმე საბოლოოდ დე-
დაქლაქებელ მაყურებელს და მთავარ
შიურის მივანდოთ... თქვენთან კი ძალი-
ან დიდი მაღლობა, კიდევ და კიდევ
მაღლობა, — უკველ სიტყვაზე თავს
აკანტურებდა კულტსახლის ლირექტო-
რი, — მაღლობა ასეთი სამართლიანი
საყვედურისათვის! — სიტყვა დაამთავ-
რა და ცხირში ჩაიცინა.

— კი კაცია, კარგად უძლებება ფერ-
მას... ბოდიში, კულტსახლი! — ჩაულა-
პარაკა კულტგანყოფილების გამგემ ში-
ურის წევრს, თავმჯდომარის გასაკონად.

— კი, ძალზე სერიოზული და ისეთია!
— არ გააშშილა მოსაუბრე შიურის
წევრმა.

მეორე დღეს რაიონის გაზეთი წერდა
ჩვენი კულტსახლის ახალ დადგამზე,
მის წარმატებაზე და იმაზეც, რომ უი-
ურიმ სპექტაკლი ღირსად ცნო უჩვენონ
დედაქლალებს.

— კი, მარა, ერთი, ჩვენთვისაც ეჩვე-
ნებინათ! — საყვედურობდნენ სოფლე-
ლები.

— შენ რომ გაჩენონ, კარგს არაფერს
იტყვი, ამიღომ ჯერ ზევით აჩვენებენ,
კონკურსზე გაიმარჯვებენ და მერა
შენც მოგეწონება.

ს აედხიერი დღეც დადგა, როცა
ჩვენი წარმოლგენა ზარ-ზეიმით დაიძ-
რა დედაქალაქისაკენ.

დედაქალაქის მომთხოვნება მაყურე-
შელმაც და, განსაკუთრებით ჟიურიმ,
მეტად გულთბილად მიღო ჩვენი...
პურ-ღვინო, მანდარინი, შემწვარი და
მოხარშული...

ერთი კვირის შემდეგ კონკურსის შე-
დეგებიც გამოცხადდა.

ჩვენი კულტსახლის წარმოლგენას
ჯერ აქებდნენ, მერე მიწასთან ასწორე-
ბდნენ და საბოლოოდ სიგელით აჯილ-
დოებდნენ...

მათ დაბრუნებას ჩვენც დიდი ზეიმით
შევცდით და ამ ზეიმს მაყურებლებთან
შეხვედრა ვუწოდეთ.

წარმოითქვა ქების სიტყვები, გამარ-
ჯებულებს აიხინად მივესალმეთ.

ზეიმის ბოლოს სიგელები ჭაღალებით
დირექტორს, რეჟისორს და ეიტრის
ერთ წევრს, რომელმაც იმფრიზების მეტე
დაგვდო, რომ ჩვენებს დედაქალაქიდან
სოფელში ჩამოჰყეა.

სპექტაკლი?

სპექტაკლი არ გვინახავს... ამდენ
თრევაში და დავიდარაბაში დაშლილი-
ყო, დეკორაციები გზაზე დაქვეიღიყო,
ორი ძროხის ფასად ლირებული კინო-
აპარატი საღლაც მთლაც დაკარგული-
ყო.

—ვფიქრობ, ჩვენ დამსახურებული
შეფასება მივიღეთ! —ამბობდა დირექ-
ტორი და ცხვირში იცინოდა.

—ტაკ, კანცე კანცოვ მი პაბედილი!
—გამარჯვებას იფერებდა რეჟისორი.



ପରିଚୟ

୧. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ଲେଖିଥିଲା	3	୩. ଉ. ଲୋଗନୋଭୋ — 100.	
୨. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ ଦା)	7	୪. ବୈଶିଶ୍ବରିନେଠେ — ଏକିକିତ୍ତା ଉଲ୍ଲଙ୍ଘନିକାରିତା ଦେଖିଲା ଅନ୍ତର୍ଭାବରେ	58
୫. ବେଳୁଦ୍ଵାରା — (ଲେଖିଥିଲା)	15	ପରିବହନ	
୬. ବେଳୁଦ୍ଵାରା — „ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ ଯେତାକିମାନଙ୍କରେ“ (ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ)	22	୭. ବେଳୁଦ୍ଵାରା — କାରିସ ମେଖିବିଲ୍ଲେ- ଦୀ	59
୭. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ବେଳୁଦ୍ଵାରା ପରିବହନରେ ଯେତାକିମାନଙ୍କରେ“ (ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ)	24	୮. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ବାତାମାନି ମେଖିବିଲ୍ଲେ- ଦୀ ପରିବହନରେ	70
୯. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ଲେଖିଥିଲା	34	ପରିବହନରେତାକିମାନଙ୍କରେ	
୧୦. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ବାତାମାନି ଯେତାକିମାନଙ୍କରେ ଯେତାକିମାନଙ୍କରେ (ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ) କିମାନଙ୍କରେ)	36	୧୧. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ବାତାମାନି ଯେତାକିମାନଙ୍କରେ ଯେତାକିମାନଙ୍କରେ (ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ) କିମାନଙ୍କରେ)	78
୧୧. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ବାତାମାନି ଯେତାକିମାନଙ୍କରେ ଯେତାକିମାନଙ୍କରେ (ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ) କିମାନଙ୍କରେ)	48	ପରିବହନରେତାକିମାନଙ୍କରେ	
୧୨. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ବାତାମାନି ଯେତାକିମାନଙ୍କରେ ଯେତାକିମାନଙ୍କରେ (ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ) କିମାନଙ୍କରେ)	49	୧୨. ବେଳୁଦ୍ଵାରା — ବାତାମାନି ଯେତାକିମାନଙ୍କରେ ଯେତାକିମାନଙ୍କରେ (ବିନୋଦିତ ପରିବହନରେ) କିମାନଙ୍କରେ)	91

2

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 19/VI, 1969 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი,
შეკვეთის № 1735, ემ 00750, ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 1.800.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფიულების ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის 22).

3260 40 558.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литературали Аджара“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 78118